ალქსნისი ბათუმში, თურმე, დამკვირვებლად ჩასულა A8

კახეთში "ალორძინება" აღარ არსებობს A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 18 მარტი, 2004 წელი. №65 (614)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### ენერგოკრიზისი და ცივი მარტი

ყინვა და სინათლე საქართველოში საკრალურ ურთიერთკავშირშია. ამინდის გაუარესებამ საბითუმო ბაზრის ისედაც მძიმე პროგნოზები კიდევ უფრო დაამძიმა და ერთობ შემაშფოთებელი გახადა.

A4

## უცხოეთი

### ჩეჩნეთი: დარტყმა მასხადოვზე

ორი გავლენიანი საველე მეთაურის დაკარგვამ მასხადოვის პოზიციები მნიშვნელოვნად დაასუსტა და, სანაცვლოდ, ჩეჩნეთში რადიკალი ისლამისტების - ბასაევის, აბუ ალ ვალიდის, დოკუ უმაროვისა და აბდულ-მელიქ მეჟიდოვის გავლენა გაზარდა.

A5

## საზოგადოება

### თვითიზოლაცია თუ ბლოკადა

"ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა საფრთხის წინაშე დგას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგის ჯგუფი", - ასეთია ჩოლოქის საგამშვებო პუნქტიდან გამოძევებული არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოთხოვნა.

A6

## სამართალი

### მსუბუქი სასჯელი

იმერეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა საქართველოდან უცხოეთში ჩვილი ბავშვებით უკანონოდ ვაჭრობით დაკავებული ორი დაჯგუფება გამოავლინა. მათი საქმიანობის შესახებ გამოძიება უკვე დასრულებულია.

A7

## პოლიტიკა

### კონსტანტინე გამსახურდია სამშობლოში დაბრუნდა

ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე უკვე საქართველოშია. ორი დღის წინ, გვიან ღამით, თბილისში ჩამოსული ექსპრეზიდენტის ვაჟიშვილი მომენტალურად ექცევა მედიის საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სულ ახლახან დაფუძნებული პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" თავმჯდომარე, საქართველოში დაბრუნებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, პირველ პრესკონფერენციას მართავს.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | |
| ქუთაისი | 11 | |
| ბათუმი | 9 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 12 | |
| თელავი | 6 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 5 | |
| ახმეტა | 7 | |
| ქიათურა | 8 | |
| გაგრა | 10 | |
| სამტრედია | 12 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0300 |
| ევრო | 2.4817 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6686 |
| რუბლი | 0.0711 |

# კონსტრუქციული და პრინციპული

ვერიკო თევზაძე

*"ბათუმში ჩემს ჩასვლას კონკრეტული მიზანი აქვს: ერთი მხრივ, დაძაბულობა უნდა განვმუხტო, მერე მხრივ, დავაყენო ის პრინციპული საკითხები, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ვერ გადაწყდა," - გუშინ შუაღამისას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ ასლან აბაშიძესთან პირისპირ საუბრისას ის ერთდროულად კონსტრუქციული და პრინციპული იქნება.*

გაგრძელება A2 გვერდზე



პრეზიდენტის ბრიფინგი.

# ახალ რეალობაში აბაშიძის შანსები ნულის ტოლია

დავით აფრასიძე

*აჭარის ირგვლივ გართულებულ ვითარებას ხშირად აფხაზეთის კონფლიქტს ადარებენ. საუბარია "რუსეთის გეგმის" გაგრძელებაზეც, რომელიც საქართველოს დანაწევრების მცდელობაში გამოიხატება. საუბრობენ თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირების განვითარების სხვადასხვა სცენარზე და ამ პროცესებში მოსკოვის ინტერესებსა და შესაძლო როლზე.*

### იქცევა თუ არა აჭარა მეორე აფხაზეთად?

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთსა და აჭარას შორის პარალელების გავლება, როგორც კონფლიქტის მიზეზების, ასევე მისი დინამიკის კუთხით, გაუმართლებელია.

რაც შეეხება მიზეზებს, აფხაზეთის კონფლიქტს საფუძვლად ედო როგორც პოლიტიკური, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ეთნიკური მიზეზები. ამგვარი მიზეზი კი, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობის

გაგრძელება A8 გვერდზე

# რეფორმები - წარმატებული მომავლის გარანტია

ვერიკო თევზაძე

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ევროპისა და ევრაზიის დახმარების კოორდინატორი კარლოს პასკუალი თბილისში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. როგორც კანცელარიაში გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, პასკუალი საქართველოში იმისთვის ჩამობრძანდა, რათა **"ძირეულად მიმოეხილა ის პროგრამები, რომელსაც ამერიკა ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს."**

**"შეერთებულ შტატებს გულწრფელად სჯერა, რომ "ვარდების რევოლუციამ" საქართველოს მისცა შესანიშნავი შანსი,ააშენოს დემოკრატიული, ეკონომიკურად წარმატებული მომავალი",** - ასეთი კომენტარი გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრეზიდენტ სააკაშვილთან

გაგრძელება A2 გვერდზე



კარლოს პასკუალეს და რიჩარდ მაილსის ბრიფინგი კანცელარიაში.

# აბაშიძის ამოცანა

## რაც გააჩნია, იმის დიდხანს შენარჩუნება

მაია ჭალაგანიძე

*საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჯერ კიდევ განვითარებადი დარგია და საყოველთაო ინტერესის საგანი მხოლოდ არჩევნებისას, პოლიტიკურ ძალთა რეიტინგის შედგენისას ხდება. ეს გავიარეთ, კვლევის შედეგებმა კი, მოგეხსენებათ, რევოლუცია ააგორა. ახლა ე.წ. პოსტრევოლუციური ხანაა, ანუ, წესით, ემოციები უნდა ჩაცხრეს, მოვლენების ანალიზსა და პროგნოზებს უნდა მივყოთ ხელი. მაგრამ, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცე გქვია (უკვე 12 წელია), ასე ადვილად მართებულ რელსებზე ვერ დადგები. უცაბედ გარდაქმნებს ასევე უცაბედი შედეგები მოაქვს. ჩვენდა სამწუხაროდ, რევოლუცია მხოლოდ დაპატიმრებებში არ აისახა. დღეს საკმაოდ რთულ ვითარებაში ვართ. წლობით კორუფციაში და უკანონობაში ჩაძირულ ქვეყანას სუსტი იმუნიტეტი აღმოაჩნდა და დესტრუქციული მუხტი ცენტრისა და რეგიონის დასნეულებულ ურთიერთობებში აკუმულირდა. ახლა რეიტინგების დრო აღარაა. ანალიტიკური ადამიანები, როგორც წესი, დაძაბულობის ჟამს ტელეკამერებთან არ იცლებიან და ამდენად, საზოგადოებისთვის ნაკლებ ცნობილნი არიან. ჩვენი დღევანდელი სტუმარი, თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტოლოგი ნოდარ სარჯველაძე სწორედ ასეთ ადამიანებს ეძებს ორი დაპირისპირებული მხარის შუაში ჩასადგომად. მისი აზრით, დღეს საზოგადოების დაკვეთა მოვლენათა დინჯი ანალიზი უნდა იყოს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ნოდარ სარჯველაძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

# "ჩვენ არავისი გვეშინია ისე, როგორც საკუთარი ლიდერების!"

### აჭარლები დანარჩენი საქართველოსთვის ხმის მიწვდენას ცდილობენ

მაკა ჭაიანი

*"ჩვენ ძალიან შეზღუდულები ვართ. გვარბევენ თავისუფალი აზრისთვის, გვდევნიან. მე, მე კი არა ჩვენ – ძალიან ბევრნი ვართ აქ. გვინდა, დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი; გვინდა, მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ აჭარა არ არის ის, თუნდაც ხუთი ათასი ადამიანი, რომლებიც ჩოლოქთან არიან თავმოყრილნი," – აჭარელმა ქალბატონმა, ბათუმის უნივერსიტეტის პედაგოგმა, მზია ქათამაძემ ჩოლოქთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის "24 საათის" საშუალებით გამოთქმა ისურვა.*

გაგრძელება A6 გვერდზე

# ბლოკადიდან მესამე დღეს

მარიამ ჭაქვაძე

*აჭარაში შექმნილ კრიზისულ ვითარებასთან დაკავშირებით, გუშინ, ერთმანეთის მიყოლებით, პრესკონფერენცია გამართეს პრემიერ მინისტრმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა. პირველი სამი, ჟურნალისტებთან შეხვედრის ადგილად ფოთს, ნავსადგურის სამშენებლო კომპლექსის სააქტო დარბაზს ირჩევს, ეკონომიკის მინისტრი – თბილისს.*

ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა აჭარის რეგიონში დღეს არსებულ ვითარებაში ასლან აბაშიძე დაადანაშაულა. მისი თქმით, ამ რეგიონის ბლოკადა ჯერ კიდევ პრეზიდენტის აჭარაში ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო. რეხვიაშვილის ინფორმაციით, სააკაშვილის გამოჩენამდე აჭარაში აიყარა რკინიგზის ლიანდაგი და გადაიკეტა გზები, **"რაც, თავისთავად, უკვე იყო რეგიონში ეკონომიკური ბლოკადის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი,"** – განაცხადა მინისტრმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# რას წერენ ჩვენზე?

აჭარის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს საერთაშორისო, განსაკუთრებით კი, რუსული მედია. პრესის დიდი ინტერესი დაიმსახურა ბათუმში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ვიზიტმა. ზოგიერთმა დამკვირვებელმა ეს ფაქტი რუსეთის ნახევრადოფიციალურ ჩარევად და აბაშიძისადმი მოსკოვის მხარდაჭერად მონათლა. ასეთ ვარაუდს ლოგიკური საფუძველი აშკარად ეცლება, თუკი ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა.რუ"-ს ინფორმაციას დავუჯერებთ.

**"ლუჟკოვის თავს რაღაც ხდება,"** - ასეთ სათაურს უკეთებს "გაზეტა.რუ" თავის სტატიას. **"ახალი მთავრობა საკმაოდ ენერგიულად მოეკიდა იმ ძველი კონფლიქტის გადაჭრას, რაც ფედერალურ ხელისუფლებასა და მოსკოვის მთავრობას შორის არსებობდა. ამჟამად, იური ლუჟკოვი იძულებულია, სულ მცირე, თავისი საკუთრება სხვებსაც უწილადოს, ანდა შესაძლოა მერს უბრალოდ სთხოვონ, რომ თავისი ადგილი სხვა, უფრო ღირსეულ კანდიდატს გაუთავისუფლოს,"** - ნათქვამია სტატიაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## აფეთქება ნავთლუღში

გუშინ ღამის 00:30 საათზე, ნავთლუღში, ცენტრალურ სარკინიგზო სადგურზე გაჩერებულ მატარებლის ერთი ვაგონი აფეთქდა. ვაგონი დიზელის საწვავით იყო სავსე და მისმა აფეთქებამ ხანძარი გამოიწვია. მსხვერპლი არ არის. აფეთქების მიზეზი, სავარაუდოდ, ტროტილია, რომელიც ვაგონს ძირზე ჰქონდა მიყრილი. შემთხვევის ადგილზე მისული უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების ინფორმაციით, ნუხანდელი შემთხვევა გაგრძელებაა იმ დივერსიული აქტისა, რომელიც ორი დღის წინ მცხეთაში სარკინიგზო ლიანდაგის აყრით დაიწყო.

## კონსტრუქციული და პრინციპული

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძის და ზურაბ ჟვანიას ბათუმში გუშინდელი ვიზიტის შემდეგ გადაწყდა, რომ სააკაშვილი დღეს დილით აჭარაში გაემგზავრება და აბაშიძეს შეხვდება. გვიან ღამემდე პრეზიდენტის სტრუქტურებში აჭარიდან დაბრუნებული პარლამენტის თავმჯდომარე და უშიშროების მინისტრი. ღამის თორმეტ საათზე კი საგანგებო ბრიფინგი გამართა.

**"მივიღე გადაწყვეტილება, რომ ხვალ ხელახლა წავიდე ბათუმში, შევხვდე როგორც აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას, ასევე ადგილობრივი ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებს..."** სააკაშვილი აბაშიძესთან ორ უმთავრეს საკითხზე გადაწყვეტილებას მოითხოვს: აჭარაში ჩატარდეს ნორმალური წინასაარჩევნო კამპანია და სრულად იყოს დაცული ადამიანის უფლებები - თავისუფალი გადაადგილების უფლებიდან დაწყებული, თავისუფალი სიტყვის გამოხატვის უფლებით დამთავრებული.

პრეზიდენტმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამ შეხვედრისას არ აპირებს **"რაიმე გარიგებების წარმოებას"**. იგი ხელისუფლების ქმედითუნარიანობაზე საუბრობდა და, ალბათ, შემთხვევით არ უხსენებია კომანდოს ბატალიონში გუშინ დილით ჩატარებული სწავლებები: **"ამ სწავლებებმა ცხადყო, რომ საქართველოს რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო შეიარაღებული ძალები ჰყავს. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს."**

ძალის დემონსტრირების პარალელურად, პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს სამოქალაქო მშვიდობისთვის. თუმცა, კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ეს მშვიდობა ქვეყნის მთლიანობის ფასად არ იქნება. **"ჩემი პასუხისმგებლობა საქართველოს ისტორიის წინაშე არის, რომ ქვეყანა გავამთლიანო,"** - სააკაშვილმა დავით აღმაშენებლის საფლავთან დადებული ფიცი გაიხსენა.

პრეზიდენტის ინფორმაციით, აჭარაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის დაკავშირებით, გუშინ დიპლომატიური მოლაპარაკებები მართა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირაკლი ჩუბინიშვილმა. ასევე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და უშიშროების საბჭოს მდივანს. **"მოლაპარაკებათა შედეგად, პირადად პუტინისაგან მივიღეთ გარანტია იმისა, რომ რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერევა."**

სააკაშვილი ლუჟკოვს არ მიიჩნევს შუამავლად მასსა და ასლან აბაშიძეს შორის: **"მე არ მჭირდება შუამავლები რეგიონების ხელმძღვანელებთან ურთიერთობაში,"** - საქართველოს პრეზიდენტი უარყოფითად აფასებს იმ რამდენიმე რუსი დეპუტატის ვიზიტს, რომლებიც ლუჟკოვს თან ახლდნენ, თუმცა დასძენს, რომ ეს **"ძველი გვარდიის წარმომადგენლები რუსეთის პოლიტიკას არ ასახავენ."**

რომელი მარშრუტის გავლით ესტუმრება სააკაშვილი აბაშიძეს, წუხელ ღამით ჯერ კიდევ უცნობი იყო. ეს საკითხი დღეს დილით გადაწყდება, ოღონდ არჩევანს აუცილებლად საქართველოს პრეზიდენტი გააკეთებს: **"კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველოს პრეზიდენტი არავის შეუთანხმებს, სად, როგორ და რამდენი კაცით გადაადგილდეს საქართველოს ტერიტორიაზე!"**

## სადამკვირვებლო კამპანიის პრეზენტაცია

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" გუშინ, სასტუმრო "შერატონში" სადამკვირვებლო კამპანიის პრეზენტაცია გამართა. როგორც პრეზენტაციაზე "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" წინასაარჩევნო მონიტორინგს, არჩევნების დღის მონიტორინგსა და 28 მარტს საპარლამენტო არჩევნების ხმების პარალელურ დათვლას მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელებს. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" აქტივისტები ესწრებიან საარჩევნო კომისიების სხდომებს, რათა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კანონის დაცვა გააკონტროლონ. საზოგადოება მონიტორინგს უწევს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიებსა და პარტიების მიერ ხმების მოსაპოვებლად გამოყენებულ მეთოდებს.

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" ცენტრალურ ოფისში, თბილისში იგეგმება ხმების პარალელური დათვლის ცენტრის ჩამოყალიბება, სადაც იმყოფებიან სატელეფონო და კომპიუტერული ოპერატორები, რომლებიც მიიღებენ და კომპიუტერულ პროგრამაში შეიყვანენ თითოეული დამკვირვებლისაგან მიწოდებულ ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. პარალელური დათვლის ცენტრი მთელი ღამის განმავლობაში იმუშავებს, სანამ პარალელური დათვლის შედეგები ცნობილი არ გახდება. არჩევნების დღეს კი აღნიშნული საზოგადოება გაავრცელებს ინფორმაციას კენჭისყრის მიმდინარეობისა და მოცემული დროისათვის გამოვლენილი დარღვევების შესახებ. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" საქმიანობას აფინანსებენ დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები, როგორიც არიან ბრიტანეთის საელჩო, მსოფლიო სწავლების ევრაზიის ფონდი, ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და სხვა ორგანიზაციები. პროექტს ერთობლივად დააფინანსებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და გაერო-ს განვითარების პროგრამა, ხოლო ტექნიკურ დახმარებას გაუწევს AFS.

*ინტერ-პრესი*

## ქართული სოციალიზმის ახალი მესაჯე



*ირაკლი მინდელი: "სოციალიზმი - ეს არის ცხოვრების ქართული წესის პრაქტიკული განხორციელება."*

*საქართველოში 70 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სოციალიზმის მშენებლობა, მაგრამ ამ საქმიდან, საბოლოო ჯამში, არაფერი გამოვიდა. გასულ საუკუნეში განუხორციელებელი იდეებისთვის ხორცშესხმას დღეს უკვე ახალი თაობის სოციალისტები ცდილობენ. მართალია, მათი ორიენტაცია ორთოდოქსი "წინაპრების" შეხედულებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ "საერთო სახალხო კეთილდღეობის" და "ბედნიერი საზოგადოების შექმნის" ცდუნებისგან ვერც ვახტანგ რჩეულიშვილის პოლიტიკური შთამომავლები იკავებენ თავს. ამაში დასარწმუნებლად სოციალისტების წინასაარჩევნო პროგრამის პოსტულატებისთვის თვალის ერთი შევლებაც საკმარისია.*

**"სოციალიზმი - ეს არის ცხოვრების ქართული წესის პრაქტიკული განხორციელება, როდესაც მეზობელს ან გვერდით მდგომს უჭირს, ქართველს მისი დახმარების შეხსენება არ სჭირდება. ამიტომ, ჩვენს პროგრამაში პრიორიტეტი სოციალურ მიმართულებებს ენიჭება. ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს როლი იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. საჭიროა, მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი მესამედი მაინც სოციალურ სფეროში იქნას მიმართული",** - განაცხადა გუშინ ირაკლი მინდელმა "არჩევნების მედია-ცენტრში" გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც სოციალისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის მიზნით ჩატარდა.

მინდელს აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ამოქმედება და სრულყოფა, ამასთან, საუბრობს ინდიკატორული გეგმის მიხედვით ქვეყნის მართვის მიზანშეწონილობაზე. მართალია, ეს უკანასკნელი საბჭოური ხუთწლიანი გეგმის ასოციაციას იწვევს, მაგრამ სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ამტკიცებს, რომ ასე არ არის.

**"ეს არ იქნება "ტრადიციული" საბჭოთა ხუთწლიანი გეგმა, რომელშიც ისიც კი იწერებოდა, ქვეყანაში რამდენი ლურსმანი უნდა გამოეშვათ. ინდიკატორულ გეგმაში მხოლოდ ძირითადი მიმართულებები დაფიქსირდება",** - აღნიშნავს მინდელი, რომელიც იმაზეც საუბრობს, ამ ეტაპზე რა მიაჩნია პირველი რიგის ამოცანად. მისი აზრით, აუცილებლად უნდა გაუქმდეს საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 31 დეკემბერს მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც, სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლები ორი თვის ხელფასს ველარ იღებენ. გარდა ამისა, ქართველი სოციალისტების ლიდერი აცხადებს, რომ თითოეულ დევნილს ყოველდღიურად ერთი ლარი მაინც უნდა მიეცეს...

თავისი პროგრამის სარეალიზაციოდ სოციალისტებს სახელისუფლებო ბერკეტები, პირველ რიგში კი, ახალ პარლამენტში სოლიდური დეპუტაციით შესვლა სჭირდებათ. თუმცა, ამასთან დაკავშირებით მინდელი შენიშნავს, რომ ილუზიებით არ იკვებება. **"პარლამენტში 118-კაციანი უმრავლესობა არ გვეყოლება. მაქსიმუმი, რასაც შევძლებთ, ალბათ, ერთი ფრაქციის შექმნა იქნება",** - დასძენს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე. არადა, ისიც ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოახერხოს მინდელმა და მისმა პარტიამ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა და საკანონმდებლო ორგანოში არათუ ფრაქციის ჩამოყალიბება, არამედ თუნდაც ორიოდე მანდატის მიღება.

რა შედეგებითაც არ უნდა დასრულდეს 28 მარტის არჩევნები, სოციალისტები თავისი პარტიის მთლიან მოდერნიზებას აპირებენ. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია: პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლდა გიორგი ხაჭაპურიძე (მის მოვალეობას ამჟამად ნუგზარ ნავაძე ასრულებს), თავმჯდომარის მოადგილეობიდან - ქეთი ჟორდანია. რეგიონულ ორგანიზაციებში კი პარტიული კონფერენციები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაიმართება.

*გიორგი ასანიშვილი*

## რეფორმები - წარმატებული მომავლის გარანტია

პირველი გვერდიდან

დახურულ კარს მიღმა გამართული დიალოგის შემდეგ. პასკუალიმ დააკონკრეტა, რომ წამატებული მომავალი წარმატებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყონ.

გუშინ სააკაშვილმა და პასკუალიმ რეფორმების პროგრამებიდან ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება, როგორებიცაა: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ამოქმედება. ასევე სერიოზული განხილვის საგანი იყო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს მიერ სასაზღვრო ზოლის უკეთესად გაკონტროლებას, ქვეყნის სასაზღვრო შესაძლებლობების ზრდას, სასაზღვრო უწყების მჭიდრო თანამშრომლობას საბაჟო სამსახურებთან.

კარლოს პასკუალიმ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა მომავალშიც სერიოზულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ენერგოსექტორს. **"ჩვენ ასევე ყურადღება გავამახვილეთ საქართველოს საგადასახადო კოდექსზე. საჭიროა საგასახადო კანონმდებლობის მეტი ოპტიმიზაცია; საერთოდ - სადაგასახადო სფეროს მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესება",** - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელმაც თბილისში თავისი ვიზიტი შეაფასა, როგორც "სამი მშვენიერი დღე", საქართველოს ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას წარმატებულს უწოდებს.

*ინტერ-პრესი*

## აჭარის ამბებს კახეთში სოროსის შეკვეთას უწოდებენ

აჭარის და ცენტრს შორის დაპირისპირებამ ბევრ რეიტინგდაკარგულ პოლიტიკურ პარტიას საშუალება მისცა, წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე თავი შეახსენონ ამომრჩეველს. ამ მხრივ ყველაზე მეტად კახეთში იგორ გიორგაძის მოძრაობა აქტიურობს. უფრო მეტიც, პარტიის წევრები ცდილობენ, სხვა ოპოზიციურ პარტიებში განხეთქილება შეიტანონ. ამის მაგალითია ის მიმართვა, რომელიც პარტიამ გუშინ გააკეთა. მას ხელი, სხვა პარტიებთან ერთად, "მემარჯვენე ოპოზიციამ" და "ედპ-ტრადიციონალებმაც" მოაწერეს.

თავდაპირველად პარტიების წარმომადგენლები ვერ თანხმდებობდნენ მიმართვის ტექსტზე, რადგან ბევრს ახლადშეძენილი თანამდებობის დაკარგვის ეშინოდა. ბოლოს კი ისინი ისევ გიორგაძის ხალხმა გატეხა. სიტყვაც პირველი მათ გადეცათ. ისინი რეგიონსა და ცენტრს შორის დაპირისპირებაში სოროსს ადანაშაულებენ. მათი თქმით, სოროსისთვის საქართველო ის "ცეხია", სადაც ბევრი ფული კეთდება: "სოროსი დაინტერესებული ბათუმის პორტით და საქართველოს რკინიგზით, რადგან თანხა, რომელიც მან "ვარდების რევოლუციაში" ჩადო, ხომ უნდა ამოიღოს? სწორედ ის ადგენს ასეთ გეგმებს," - აცხადებს მეტრეველი და იქვე იმასაც ამატებს, რომ ასლან აბაშიძეს პოლიტიკა ისედაც თავდაყირა იდგა და პრეზიდენტმა თავისი ამგვარი საქციელით მას რეიტინგი საერთაშორისო არენაზე აუმაღლა: "სწორედ ამის გამო ვგმობთ კახეთში მოქმედი ოპოზიცია, აჭარაში მიმდინარე მოვლენებს. უნდა შეწყდეს ავანტიურისტებთან ურთიერთობა," - მოითხოვენ ოპოზიციონერები.

მეტად მკაცრი იყო ედპ-ტრადიციონალების გამოსვლაც, ხელისუფლების მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯებს პარტიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ასე ხსნის: "რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი გაემგზავრება დილის შვიდ საათზე აჭარაში ხალხთან შესახვედრად. უბრალოდ ამას სხვა რამე უნდა მოჰყოლოდა." ამ "სხვა რამეს" კი იგორ გიორგაძის მენეჯერი ასე განმარტავს: "უბრალოდ, აქ იყო გათვლილი, რომ ვილაც-ვილაცეები დაეკავებინათ, შემდეგ კი უკვე ასლან აბაშიძის აყვანაც მოხდებოდა. დილის ათ საათზე კი პრეზიდენტი განაცხადებდა, რომ ავტონომია გაუქმდა," - ამბობს მეტრეველი. "იმის გამო, რომ ხელისუფლება ასე ხელოვნურად ძაბავს არჩევნების წინ მდგომარეობას, ჩვენ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ. ამ მოთხოვნით კი, ჩვენი პარტია შეხვედრებს მოსახლეობასთან გამართავს," - აცხადებს თელავში მოქმედი ცხრა ოპოზიციური პარტია.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

## სარიშვილი კომპრომისებზე საუბრობს და ბიუჯეტზე მკითხაობს



*ირინა სარიშვილი*

ირინა სარიშვილი ახლა უკვე სხვა, "ენჯეოშნიკური" თვალით უყურებს სამყაროს. "სახალხო დაცვის ლიგის" სახელით, მან თავის ძველ თუ ახალ "თანამოძმეებს" აჭარისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული ბლოკადის გაუქმებისკენ მოუწოდა.

სარიშვილი დარწმუნებულია, რომ აჭარისთვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადება ავტონომიის მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლას გამოიწვევს. გარდა ამისა, იგი იმასაც ვარაუდობს, რომ აჭარის მიმართ განხორციელებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, შესაძლოა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების შეფერხება გამოიწვიოს. ბლოკადის გაგრძელების შემთხვევაში, მხოლოდ რკინიგზა ათასობით ლარის ზარალს ნახავს. **"ხელისუფლების განცხადება იმის თაობაზე, რომ ბათუმის პორტის ფუნქციები ფოთზე გადავა, სრული უვიცობაა. პრეზიდენტის ბრძანებულებით ფოთის ნავსადგური ვერ გაღრმავდება,"** - აცხადებს სარიშვილი. როგორც განმარტავს, ამდენი უბედურების მომტან ბლოკადას ხელისუფლება მხოლოდ იმისათვის მიმართავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის რეგიონის ლიდერებისადმი უკმაყოფილება გააღვივოს. სწორედ ამაზე აპირებს ცენტრალური ხელისუფლება თავისი პოლიტიკის აგებას - აჭარის ხელისუფლებას იმის გაკეთება აიძულოს, რაც თავად სურს, უფრო მეტად კი, საერთოდ შეცვალოს ის. სარიშვილი აცხადებს, რომ ახლა ბათუმის პორტისთვის სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ადგილობრივ მოხელეებსა და "სოროსელებს" შორის. მეორე მიზეზი, რის გამოც ცენტრალური ხელისუფლება რეგიონის ხელმძღვანელობას "ერჩის", ბიუჯეტია. სარიშვილი მიიჩნევს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას, ამ ხერხით, მოსალოდნელი საბიუჯეტო კრიზისიდან ხალხის ყურადღების პოლიტიკურ საფრთხეზე გადატანა სურს. არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერის გამოთვლით, აპრილში უკვე სერიოზული საბიუჯეტო გარღვევაა მოსალოდნელი. აჭარის პრობლემატიკით საზოგადოების აქტიურად დაინტერესების გარდა, სარიშვილი გამოსავალს ორმხრივ კომპრომისში ხედავს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

*24 საათი*

## ევროკავშირი მზადაა შუამავლობისთვის

**"ევროკავშირი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში, კერძოდ კი, აჭარაში მიმდინარე პროცესებს. იგი კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას... ევროკავშირი მოუწოდებს მხარეებს, უმაღლეს დონეზე აღადგინონ დიალოგი, რათა ყველა მხარისათვის და საქართველოს ინტერესებისათვის მისაღები გადაწყვეტილება მშვიდობიანი გზით იქნას მიღწეული,"** – აღნიშნა საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიის საკითხებში ჰაიკი ტალვიტიემ. მისი თქმით, ეს არის ბრიუსელის მესიჯი საქართველოს ხელისუფლებისთვის. მან გუშინ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა და საკუთარი ვიზიტის შედეგებზე ისაუბრა.

თბილისში ყოფნისას, ტალვიტიე პრეზიდენტ სააკაშვილს, თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელს ჰამლეტ ჭიპაშვილსა და "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთ ლიდერს კობა ხაბაზს შეხვდა.

გუშინ, ევროკავშირის წარმომადგენელი ფოთში ჩავიდა, სადაც პრემიერ-მინისტრ ჟვანიასა და სხვა ოფიციალურ პირებს ასევე აჭარაში შექმნილი ვითარების თაობაზე ესაუბრა. იგი მოუწოდებს მხარეებს, თავი შეიკავონ კონფლიქტის ესკალაციისაგან.

**"მე ორივე მხარის პოზიციას გავეცანი და ვთვლი, რომ დიალოგისთვის და კომპრომისებისთვის ორივე მხარე მზად არის,** – აცხადებს ტალვიტიე, -

**ევროკავშირი ასევე მოუწოდებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, დაიცვას ადამიანის უფლებები, დემოკრატიული პრინციპები, კანონის უზენაესობა და შექმნას სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო პირობა,"** – აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა. მისი თქმით, იგი მუდმივად ატყობინებს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ევროკავშირის საბჭოს ბრიუსელში და აცხადებს, რომ **"ევროკავშირი მზად არის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად და რეგიონის მნიშვნელოვან ქვეყნებთან ერთად, პრობლემის მოგვარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს".**

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის აჭარაში ვიზიტს ტალვიტიე მაღალ შეფასებას აძლევს და აცხადებს, რომ ბურჯანაძის ვიზიტი პრეზიდენტ სააკაშვილის ბათუმში ჩასვლისა და პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის წინაპირობა უნდა გახდეს.

*24 საათი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №226

*2004 წლის 16 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის პირადი შემადგენლობისათვის საჭირო ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, სრული კომპლექტისა და კავშირგაბმულობის საშუალებებისათვის, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს საზღვაო აკვატორიის პატრულირების გაძლიერებასთან დაკავშირებით საწვავის შესაძენად საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 740,0 ათასი ლარი.

*მიხეილ სააკაშვილი*

### მოკლედ

## აჭარაში სამხედრო ტექნიკის გადაადგილება შეიმჩნევა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ბათუმის ქუჩებში და, საერთოდ, აჭარის ტერიტორიაზე მძიმე სამხედრო ტექნიკის გადაადგილება შეიმჩნევა, თუმცა ვისია ეს ტექნიკა - საქართველოს 25-ე ბრიგადის თუ ბათუმში დისლოცირებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის - ჯერჯერობით, უცნობია. როგორც თავდაცვის მინისტრმა გუშინ პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, თუ დადგინდა, რომ ეს ტექნიკა საქართველოს შეიარაღებული ძალების 25-ე ბრიგადას ეკუთვნის, ამ ბრიგადის ხელმძღვანელობა აუცილებლად დაისჯება.

რაც შეეხება პრეზიდენტთან შეხვედრას, თავდაცვის მინისტრის თქმით, მის მთავარ მიზანს მიხეილ სააკაშვილისთვის იმ სწავლებების შედეგების გაცნობა წარმოადგენდა, რომელიც დღეს ვაზიანში მე-11 ბრიგადამ გამართა. "პრეზიდენტს მოვახსენე ის პრობლემები, რომლებიც მე-11 ბრიგადას აწუხებს და დავგეგმეთ ამ პრობლემათა მოგვარების ერთობლივი გზები," - დასძინა ბეჟუაშვილმა. **ინტერ-პრესი**

## აშშ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელობას დიალოგისაკენ მოუწოდებს

აშშ შეშფოთებულია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის არსებული დაძაბულობით და მხარეებს დიალოგისაკენ მოუწოდებს. როგორც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გამართული გუშინდელი შეხვედრის შემდეგ საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა განაცხადა, აუცილებელია, რომ მხარეებმა როგორც თბილისში, ისე ბათუმში პრიორიტეტი მშვიდობიან მოლაპარაკებებს მიანიჭონ და ძალადობაზე უარი თქვან. მაილსის თქმით, აუცილებელია, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდეს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაილსი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების აჭარაში ჩატარებას ანიჭებს და მიაჩნია, რომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა რეგიონთან არსებული პრობლემები მოაგვარონ. მაილსმა უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა ბათუმში მოსკოვის მერის ლუჟკოვისა და სკანდალურად ცნობილი ბიზნესმენის ლუჩანსკის ვიზიტზე. ელჩმა ასევე უკომენტაროდ დატოვა საქართველოს ხელისუფლების მიერ აჭარის მიმართ შემოღებული ეკონომიკური სანქციები, თუმცა, აღნიშნა, რომ ამ სანქციებმა, შესაძლოა, როგორც ცენტრი, ასევე აჭარის რეგიონი, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად აზარალოს. **ინტერ-პრესი**

## აჭარაში ოპოზიციის ტერორი გრძელდება

ასლან აბაშიძის შეიარაღებული მხარდამჭერები 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის აჭარის ტერიტორიაზე შექმნილ 272 საუბნო საარჩევნო კომისიაში გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლებს ატერორებენ და მათგან უმოკლეს ვადებში რეგიონის დატოვებას მოითხოვენ.

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, გუშინ ასლან აბაშიძის მხარდამჭერმა 80-კაციანმა შეიარაღებულმა რაზმმა, ზაზა ფალავანდიშვილის ხემძღვანელობით, დაარბია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ორთაბათუმის საარჩევნო უბანი და სასტიკად სცემა საარჩევნო კომისიაში "ჩვენი აჭარის" ორი წარმომადგენელი - ზურაბ წერეთელი და მურმან ოთიაშვილი. მისივე თქმით, შეიარაღებული ჯგუფები ორი დღეა, ბათუმში "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის სულიკო მიქელაძის ბინის სადარბაზოს აკონტროლებენ, მათვე დაცხრილეს "ჩვენი აჭარის" ქობულეთის ორგანიზაციის გამგეობის წევრის იმედო ხაჩიშვილის სახლის ჭიშკარი. დიასამიძის შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება აჭარაში არჩევნების ჩატარების შესახებ, აჭარის ტერიტორიაზე აბაშიძის მხარდამჭერთა "შეიარაღებული დაჯგუფებების თარეშის ფონზე დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია". **ინტერ-პრესი**

## ვინ იცავს აჭარის რეჟიმს?

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ასლან აბაშიძემ საქართველოს ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად რეგიონში მცხოვრები 7 000 მოქალაქე შეაიარაღა. შეიარაღებულთა შორის არის ასევე 15 მარტს, პრეზიდენტ სააკაშვილის ჩოლოქთან მისვლამდე, რუსეთიდან ჩაყვანილი 200-მდე სპეცრაზმელი და რამდენიმე ათეული ჩეჩენი "ბოევიკი". იმავე წყაროს ცნობით, რუსული მხარის მტკიცება, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის წარმომადგენელთა კონფლიქტში ჩაურევლობის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. დაზუსტებული ინფორმაციით, არარუსული წარმოშობის 200-მდე სპეცრაზმელი, ძირითადად - სნაიპერები და რამდენიმე ათეული ჩეჩენი რუსეთიდან ბათუმში 15 მარტამდე ერთი კვირით ადრე, 7 და 8 მარტს მოსკოვის მახლობლად მდებარე ჩკალოვის აეროპორტიდან ჩაიყვანეს. ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე საბრძოლო პოზიციები სწორედ ამ დაჯგუფებების წარმომადგენლებს უკავიათ და ისინი დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიან. ადგილობრივთა მტკიცებით, ასლან აბაშიძის მხარდამჭერი შეიარაღებული ჯგუფების ჩოლოქზე გადაყვანის ორგანიზებას ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლები ახორციელებენ. მათივე ძალისხმევით, გრძელდება აჭარის სხვადასხვა რაიონებიდან ჩოლოქზე აბაშიძის მხარდამჭერთა მობილიზება. აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, იმის გამო, რომ ბიუროკრატიულ აპარატს ჩოლოქზე გასაყვანი მოქალაქეების რესურსი, პრაქტიკულად, ამოეწურა, აჭარის ჯანდაცვის მინისტრის აკაკი ბერიძის ბრძანებით, დღეს ჩოლოქზე ბათუმის საავადმყოფოებიდან 80-მდე ექიმის გადაყვანაა დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, ბათუმში დისლოცირებულ 25-ე ბრიგადაზე სამხედრო ინსპექტირების ჯგუფის გაგზავნას და ვითარების ადგილზე გაცნობას ვერ ახერხებს, თუმცა ირწმუნება, რომ 25-ე ბრიგადა თავდაცვის სამინისტროს ემორჩილება და პირადი შემადგენლობა დისლოკაციის ადგილიდან არ გასულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია და ნებისმიერი დაკისრებული ამოცანის შესრულება შეუძლია. ასეთი შეფასება მისცა ბეჟუაშვილმა თავდაცვის სამინისტროს მე-11 მექანიზებული ბრიგადის ჯავშანსატანკო ასეულს, რომელმაც გუშინ, ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე ტაქტიკური საველე წვრთნები ჩაატარა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკ "ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა გუშინ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. იგი ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის მცხოვრებლებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ გუშინ საბჭოს ახლადარჩეული თავმჯდომარის თემურ მჟავიას მოადგილეები აირჩია, საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების არჩევის საკითხი კი ზეგისთვის გადადო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეული თავმჯდომარის თემურ მჟავიას ინფორმაციით, მის პირველ მოადგილედ სესიაზე ნაპოლეონ მესხია აირჩიეს, მოადგილეებად - აკაკი გასვიანი და გია გვაზავა. მისივე თქმით, უმაღლესი საბჭოს 4 მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარეებს სესია 19 მარტისთვის დანიშნულ მორიგ სხდომაზე აირჩევს. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება

*2004 წლის 16 მარტი* *N124*

**თბილისი**

**"საქართველოს საზღვაო ბანკისათვის" საბანკო ლიცენზიის გაუქმებისა და აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს ბანკების ფილიალების ფუნქციონირების შეჩერების შესახებ**

სს "საქართველოს საზღვაო ბანკში" შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, რადგან საფრთხე ემუქრება მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ინტერესებს, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, აგრეთვე "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2, 59-ე მუხლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2004 წლის 16 მარტის №9 დადგენილების შესაბამისად:

1. მითითება მიეცეთ იმ კომერციულ ბანკებს, რომლებსაც აქვთ ფილიალები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დროებით, საქართველოს ეროვნული ბანკის შემდგომ მითითებამდე უზრუნველყონ აღნიშნული ფილიალების ფუნქციონირების შეჩერება.
2. გაუუქმდეს საბანკო ლიცენზია სს "საქართველოს საზღვაო ბანკს".
3. დაინიშნოს სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორად კობა თედორაძე.
4. დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" გამორთვა ადგილობრივი და საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემებიდან.
5. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ექვსი თვის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, რობაქიძის 6ა)

*ი. ვახტანგიშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. შესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადასხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# ბლოკადიდან მესამე დღეს

პირველი გვერდიდან

გუშინდელ ბრიფინგზე რეხვიაშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, კერძოდ: აჭარის საზღვრების ჩაკეტვამდე ამ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იარაღი უპრობლემოდ შემოედინებოდა. ჯერჯერობით, მინისტრი თავს იკავებს ამ იარაღის წარმომავლობის დაკონკრეტებისგან, თუმცა ადასტურებს, რომ ცენტრის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით აჭარის რეგიონს გარკვეული ზიანი უკვე მიადგა. რეხვიაშვილის აზრით, მსგავსი შეზღუდვები გაგრძელდება მანამდე, სანამ აჭარაში იარაღის შეტანის საშიშროება იქნება.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს მთავრობა აჭარაში პენსიებისა და ხელფასების გაცემის ალტერნატიულ ვარიანტზე დღეს აქტიურად მუშაობს.

პრემიერ მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად აჭარაში ბლოკირებულია ყველა საბანკო ოპერაცია. **"ჩვენი მიზანია, არ დავუშვათ იმ თანხების გამოყენება, რომლის აკუმულირებაც წლების განმავლობაში ხდებოდა აჭარაში დამატებითი შეიარაღის შესატანად და იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რაც სულ უფრო დაამძიმებდა რეგიონში ვითრებას,"** – აღნიშნა ჟვანიამ.

აჭარაში ეკონომიკური ბლოკადით გამოწვეულ ზიანზე გუშინ საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვალერიან იმნაიშვილიც საუბრობდა. მისი თქმით, ამჟამად ბათუმის პორტი ცარიელია და ადმინისტრაცია პრეზიდენტის ბრძანებულებას მკაცრად აკონტროლებს. იმნაიშვილი ირწმუნება, რომ სააკაშვილის ასეთი გადაწყვეტილებით, შესაძლოა, საქართველომ დაკარგოს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. გარდა ამისა, **"უზარმაზარ თანხებს კარგავს რკინიგზა, გადამზიდველი კომპანიები და, რაც მთავარია, ქვეყნის ბიუჯეტი",** - აცხადებს იმნაიშვილი.

იმნაიშვილის თქმით, ტანკერები, რომლებიც საქართველოს გავლით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებს ახორციელებენ, ფოთის ნავსადგურში ვერ შევლენ, რადგან ფოთის პორტის პოტენციალი მძიმეტონიანი გემების მიღებასა და ნავთობის გადაზიდვაზე გაანგარიშებული არ არის. **"ამიტომაც ყველა ის გემი, რომელიც ბათუმში უნდა შესულიყო, რუსეთისკენ მიემართება და მათ რუსეთის ნავსადგურებში მოემსახურებიან. თუკი მდგომარეობა არ შეიცვლება, საქართველოს გავლით ტვირთების ტრანსპორტირებაზე ყველა გადამზიდველი უარს იტყვის და კონტრაქტებიც გაუქმდება. უფრო მეტიც, საქართველოზე საფრახტო ტარიფები ამ ორ-სამ დღეში უკვე 20 პროცენტით გაიზარდა, მატულობს ტვირთებისა და გემების დაზღვევის ტარიფებიც,"** - ირწმუნება იმნაიშვილი.

ამ განცხადების საპირისპიროდ, გუშინ საინფორმაციო სააგენტო "პრაიმ-ნიუსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობკომპანიის პროდუქციის ექსპორტზე არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია აჭარის რეგიონის ბლოკადას. კომპანიის ხელმძღვანელობა სააგენტოსთან მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ კომპანიის პროდუქციის ექსპორტი ამჟამად ფოთის პორტის გავლით ხორციელდება, თუმცა ფოთის პორტში გარკვეული შეზღუდვები დღეს მართლაც არსებობს. საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გია ხუხაშვილის ინფორმაციით, ფოთის პორტში ამჟამად შესული ნავთობპროდუქციის მხოლოდ ერთი ნაწილის გადამუშავება ხდება.

# ენერგოკრიზისი და ცივი მარტი

*ყინვა და სინათლე საქართველოში საკრალურ ურთიერთკავშირშია. ამინდის გაუარესებამ საბითუმო ბაზრის ისედაც მძიმე პროგნოზები კიდევ უფრო დაამძიმა და ერთობ შემაშფოთებელი გახადა. საქმე ისაა, რომ, ამინდის გაუარესებასთან ერთად, მოსახლეობა გამათბობელ მოწყობილობებს რთავს და დენის მოხმარება მკვეთრად მატულობს ხოლმე. საბითუმო ბაზრის მენეჯერები 20 მარტისთვის ტემპერატურის მკვეთრ დაცემას და, შესაბამისად, დენის მოხმარების 10-15-პროცენტიან ზრდას ელიან. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ამ დროისათვის ენერგოდეფიციტი 25 პროცენტს მიაღწევს. ეს კი ნიშნავს, რომ მეოთხედი საქართველო უკვე ჩვეულ წყვდიადში გაეხვევა.*

მაია ურუშაძე

ვითარებას ისიც ართულებს, რომ "ენგურჰესზე" დენის გამომუშავება ისევ კლებულობს. ამასობაში კი "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკზე დენის გამომუშავება 50 მეგავატით დაეცა. "თელასში" გამომუშავების კლების მიზეზად იმ წყალსაქაჩი დანადგარის დაზიანებას ასახელებენ, რომელიც ენერგობლოკის ტურბინას გადახურებისგან იცავს. როგორც ირკვევა, "თელასი" დანადგარის შეკეთებას არ გეგმავს. ახლის ჩამოტანას და დამონტაჟებას კი, სავარაუდოდ, კომპანია თითქმის 4 თვეს მოანდომებს.

შეწყვეტილია რუსეთიდან იმპორტიც. "კავკასიონის" შეკეთებას "საქრუსენერგო" ისევ ვერ ახერხებს. როგორც ენერგეტიკოსები აზუსტებენ, ვითარებას ის ართულებს, რომ მთაში დიდი თოვლი მოვიდა. **"ზოგ ადგილას თოვლი "კავკასიონის" ელექტროსადენებს ეხება, რის გამოც ხაზის ძაბვის ქვეშ ჩაყენება, ფაქტობრივად, შეუძლებელია,"** – განმარტა ჯონ სვინსკოუმ. მუშავდება აფხაზეთის გავლითა და ელექტროგადამცემი ხაზის - "სალხინოს" მეშვეობით დენის იმპორტის საკითხი; მაგრამ თუ ეს სქემა აეწყო, "სალხინოთი" მაინც მხოლოდ 100 მეგავატის იმპორტი იქნება შესაძლებელი. ეს კი დეფიციტს მხოლოდ ოდნავ შეასუსტებს.

ამ პირობებში საბითუმო ბაზარი საზოგადოებას მოსალოდნელი მკაცრი შეზღუდვების თაობაზე ამცნობს. **"მოსახლეობას მოვუწოდებთ, მაქსიმალურად შეზღუდონ დენის მოხმარება და დაზოგონ ელექტროენერგია. სანამ რუსეთიდან იმპორტი არ აღდგება, შეზღუდვების გაგრძელება აუცილებელი იქნება,"** –გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ამ მოწოდებით საზოგადოებას მიმართეს საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა და ბაზრის ოპერაციათა მენეჯერმა ჯონ სვინსკოუმ. ბაზარი ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს მოხმარებული დენის საფასურის გადახდასა და ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტების პირნათლად დაცვასაც სთხოვს. ვინაიდან "თელასი" 100-პროცენტიანი გადამხდელია, მას შეზღუდვა მხოლოდ 10 პროცენტით შეეხება. სამაგიეროდ, მკაცრ შეზღუდვაში მოყვებიან გადახდის დაბალი მაჩვენებლების მქონე კომპანიები.

დეფიციტს ოდნავ შეამსუბუქებს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბაკურიანისთვის სომხეთიდან იმპორტირებული დენის მიწოდების თაობაზე. მას შემდეგ, რაც "სახელმწიფო ელექტროსისტემის", საბითუმო ბაზრის და გსეკ-ის მიერ შემოწმდება საბითუმო მრიცხველი და დადგინდება ზუსტი აღრიცხვიანობა, კომპანია სომხეთიდან "აშოცკი-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზით (რომელიც "ელექტროსისტემამ" გსეკ-ის ხარჯებით ახლახან აღადგინა) შემოტანილ დენს ბაკურიანსაც მიაწვდის. **"ამისათვის საჭიროა, რაიონმა მოხმარებული დენის საფასურის ამოღების მყარი გარანტიები მოგვცეს,"** – აცხადებენ გსეკ-ში. აქამდე სომხური დენით მხოლოდ ახალქალაქი, ნინოწმინდა და ასპინძა მარაგდებოდნენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის დაკეტვის გამო თურქეთიდან მომავალი ავტომანქანების ძირითადი ნაწილი საქართველოში ვალეს საბაჟოდან შემოდის. ვალეს მიმართულებით საავტომობილო გზების მოუწესრიგებლობის მიუხედავად, გადამზიდველები ვალდებულნი არიან, საზღვარი სწორედ აქედან გადმოკვეთონ. გაზრდილი ტვირთნაკადის გამო ვალეს საბაჟო-გამშვები პუნქტი 16-საათიან სამუშაო რეჟიმზე გადავიდა, საჭიროების შემთხვევაში კი, სადღეღამისო მუშაობაზეც გადავა. 24-საათიან რეჟიმში მუშაობს ფოთის საბაჟო, რაც ბათუმის პორტის დაკეტვის შემდეგ გახდა აუცილებელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი.** საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაწესებული შეზღუდვების თანახმად, ბათუმში ბლოკირებულია ყველა საბანკო ოპერაცია. ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ყველა ბანკის ფილიალის მოქმედება. ამის გამო საქართველოს მთავრობას აჭარაში პენსიებისა და ხელფასების გაცემის ალტერნატიულ ვარიანტზე უწევს მუშაობა. ეკონომიკის მინისტრის ირაკლი რეხვიაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრო აჭარაში პენსიების გასაცემად მზად არის. "საქართველოს მთავრობამ სანქციები ხალხის კი არა, აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ დააწესა," – განაცხადა მან. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფქვილითა და ხორბლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ცენტრიდან არ მარაგდება. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, აჭარაში ეს პროდუქტები, ძირითადად, თურქეთიდან შემოდიოდა. სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის დაკეტვის გამო, სავარაუდოდ, ეს პროცესიც შეწყდება, თუმცა სამინისტროში აცხადებენ, რომ, ჯერჯერობით, აჭარის რეგიონს პურის, დაახლოებით, ერთი თვის მარაგი აქვს. **მედია-ნიუსი**

## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ**

**18 მარტს, 10.00-დან 12.00-სთ-მდე:**

სამხედრო დასახლების, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), თემქის III მიკრორაიონის I და IV კვარტლების, თემქის IV, IX, X, Xა, Xბ კვარტლების, თემქის IV მიკრორაიონის, თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების, პეტრე ამირანაშვილის, ცოდნისკარის, გამყრელიძის, გარიყულის, ირემაშვილის, კაკაბაძის, საჩხერის, სადმელის, შატილის, სიხარულიძის, თიანეთის, ტყიბულის, ურეკის, ძმები გარიშვილების, ველისციხის, ხვანჭკარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ღია ტენდერს გაუჟღენთავი ხის შპალის, დახერხილი ფიცრის და ხიდის ძელის (იხ. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი) შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** ხის შპალის მიწოდება უნდა განხორციელდეს ოთხ ნაწილად (ყოველთვიურად 4000 ცალის ოდენობით), ხიდის ძელის მიწოდება უნდა განხორციელდეს სამ ნაწილად (ყოველთვიურად 1000 ცალის ოდენობით), დახერხილი ფიცრის მიწოდება უნდა განხორციელდეს სრულად შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში, შპს "საქართველოს რკინიგზასა" და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2004 წლის 14 აპრილიდან 16 აპრილის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; 950096; 564747; ფაქსი: 950096.

**4.** სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** მონაწილეს სატენდერო წინადადების წარმოდგენა შეუძლია, როგორც ცალკეულ ლოტებზე, ასევე ორივე ლოტზე ერთად. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს რამოდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით. სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 14 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 564747. ელ.ფოსტა: Idolidze@.Railway.ge; ვებ გვერდი http://www.railway.ge . საკონტაქტო პირი - შესყიდვების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი ნესტორ ფაცაცია.

შპს "საქართველოს რკინიგზა"
სატენდერო კომისია

**შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი**

| ლოტი | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I | გაუჟღენთავი ხის შპალი - სტანდარტი 78-89,1-ა ტიპის | 16000 ცალი |
| II | ხიდის ძელი ზომით 325X24X20სმ. გოსტი 8486-86 | 3000 ცალი |
| | დახერხილი ფიცარი - 20X3 სმ. გოსტი-2140-81 | 10 კუბური მეტრი |
| | დახერხილი ფიცარი - 20X5 სმ. გოსტი-2140-81 | 10 კუბური მეტრი |

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ღია ტენდერს 1000 ცალი საფიქსატორო ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორის ფფ-40 ა; 5000 ცალი საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორის პფ-70 ა (პფ-70 დ); 2000 ცალი საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორის სფ-70 ა (იხ. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი) შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სრულად შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 35 დღის განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2004 წლის 14 აპრილიდან 16 აპრილის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; 950096; 564747; ფაქსი: 950096.

**4.** სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირების შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 14 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ და რუსულ ენებზე.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 564747. ელ.ფოსტა: Idolidze@.Railway.ge; ვებ გვერდი http://www.railway.ge . საკონტაქტო პირი - შესყიდვების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი ნესტორ ფაცაცია.

შპს "საქართველოს რკინიგზა"
სატენდერო კომისია

**შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი**

| მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|
| საფიქსატორო ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი ფფ-40 ა - გოსტი-12670-99; მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის ნომინალური ძაბვა კვ-3,3; იზოლატორის თეფშის დიამეტრი მმ-255; იზოლატორის სიმაღლე მმ-214; მრღვევი ძალა კნ-70; მასა კგ-4,7 | 1000 ცალი |
| საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი პფ-70 ა (პფ-70 დ) - გოსტი-6490-93; მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის ნომინალური ძაბვა კვ-3,3; იზოლატორის თეფშის დიამეტრი მმ-255; იზოლატორის სიმაღლე მმ-146; ღეროს დიამეტრი მმ-16; მრღვევი ძალა კნ-70; მასა კგ-4,6 | 5000 ცალი |
| საკიდი ფაიფურის თეფშისებრი იზოლატორი სფ-70 ა - გოსტი-12670-99; მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის ნომინალური ძაბვა კვ-3,3; იზოლატორის თეფშის დიამეტრი მმ-255; იზოლატორის სიმაღლე მმ-146; ღეროს დიამეტრი მმ-16; მრღვევი ძალა კნ-70; მასა კგ-4,7 | 2000 ცალი |

## შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ღია ტენდერს საკონტაქტო გამტარის მფ-100 (იხ. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი) შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სრულად შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 35 დღის განმავლობაში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2004 წლის 14 აპრილიდან 16 აპრილის 17 საათამდე. მისამართი: 0112 ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ტელ: 953605; 950096; 564747; ფაქსი: 950096.

**4.** სატენდერო წინადადების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

4.2 ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი არ დაიშვება შეფასებაზე, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** იურიდიული და ფიზიკური პირების შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი სატენდერო წინადადების, წინამდებარე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით.

**7.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდის შემდეგ, 2004 წლის 14 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, შპს "საქართველოს რკინიგზა", შესყიდვების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ და რუსულ ენებზე.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში, მისამართზე 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, ტელ: 564747. ელ.ფოსტა: Idolidze@.Railway.ge; ვებ გვერდი http://www.railway.ge . საკონტაქტო პირი - შესყიდვების სააგენტოს უფროსი სპეციალისტი ნესტორ ფაცაცია.

შპს "საქართველოს რკინიგზა"
სატენდერო კომისია

**შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი**

| მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა |
|---|---|
| საკონტაქტო გამტარი მფ-100 - გოსტი-2584-86 E, ნომინალური კვეთი მმ/კვ-100, სიმაღლე მმ-11,80+0,11; სიგანე მმ-12,81+0,25; რადიუსი მმ-6,5; ხაზური სიმკვრივე კგ/მ-0,89; ხაზური ელექტრული წინაღობა ომ/კმ 0,176; მრღვევი ძალა კნ არანაკლებ-36,3 | 40 ტონა |

# ჩეჩნეთი: დარტყმა მასხადოვზე

ტიმურ ალიევი
რუსლან ჟადაევი
IWPR

ორი გავლენიანი საველე მეთაურის დაკარგვამ მასხადოვის პოზიციები მნიშვნელოვნად დაასუსტა და, სანაცვლოდ, ჩეჩნეთში რადიკალი ისლამისტების - ბასაევის, აბუ ალ ვალიდის, დოკუ უმაროვისა და აბდულ-მელიქ მეჟიდოვის გავლენა გაზარდა. მასხადოვის ერთგული თავდაცვის მინისტრის მაგომედ ხამბიევის დაპატიმრებამ და დაღესტნის მთებში გავლენიანი საველე მეთაურის რუსლან გელაევის დაღუპვამ, შედეგად, ამბოხებულთა "ზომიერ" და რადიკალურ დაჯგუფებებს შორის პარიტეტის დარღვევა გამოიწვია. ამ მოვლენებმა ჩეჩნური წინააღმდეგობის ექსტრემისტული ნაწილი გააძლიერა, რამაც, თავის მხრივ, არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს კონფლიქტის განვითარებაზე. სრულიად აშკარაა, რომ მასხადოვი ჩეჩენთა შორის ავტორიტეტს კარგავს, რასაც რუსული სტრუქტურების აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკაც ხელს უწყობდა.

მაგომედ ხამბიევმა "კაპიტულირება" 8 მარტს მოახდინა. მისი ძმა უმარ ხამბიევი, რომელიც ამბოხებული რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრია და ამჟამად დასავლეთს აფარებს თავს, აცხადებს, რომ მაგომედი მას შემდეგ ჩაბარდა, რაც ფედერალურმა ძალებმა მისი და მისი ძმის ოჯახის 17 წევრი აიყვანეს მძევლად. "**როგორც ძმას, მე, რა თქმა უნდა, მესმის მისი გადაწყვეტილება, ამით მან ჩვენი ნათესავების სიცოცხლე გადაარჩინა; მაგრამ როგორც ჩეჩნეთის მთავრობის წევრი, კატეგორიულად ვგმობ მის საქციელს, რადგანაც ეს პრეცედენტი საოკუპაციო ძალებმა შემდეგშიც შეიძლება გამოიყენონ ჩეჩნეთის მთავრობის წევრების შანტაჟის მიზნით,**" - ამბობს იგი. დაპატიმრებული ხამბიევი ასლან მასხადოვის უახლოესი მოკავშირე იყო. პრეზიდენტი კადიროვიც კი აღიარებს, რომ ხამბიევი ვაჰაბიზმის გავრცელებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, არ მონაწილეობდა ადამიანების გატაცებასა და მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვაში. კადიროვი, და არა მარტო იგი, სრულიად ლოგიკურად ასკვნის, რომ იჩქერიის თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებამ - ხელისუფლებას ჩაბარებოდა, ძლიერი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ასლან მასხადოვს, რომელიც, კადიროვის სიტყვებით, "**დღემდე ცდილობდა, თავი პრეზიდენტად წარმოედგინა, რომელსაც თავისი მინისტრები, მათ შორის, თავდაცვის მინისტრი ჰყავს.**" ზოგიერთი ცნობით, ეგრეთ წოდებული "ზომიერების" მხარეზე თითქმის არანაირი შეიარაღებული ძალები აღარ დგანან. ამ ინფორმაციის თანახმად, მასხადოვს მხოლოდ რამდენიმე პირადი მცველი და საველე მეთაურების არსანოვისა და მუნაევის ფრიად უმნიშვნელო ძალები დარჩა. ზოგ პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ მასხადოვის დაპატიმრება, ან სულაც, სიკვდილი სადმე მთებში, შორს აღარაა.


*თავდაცვის მინისტრის ჩაბარებამ მასხადოვს ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა.*

ამასობაში "რადიკალების" ძალები იზრდება. სწორედ რადიკალები იყენებენ ტერორისტ-კამიკაძეებსა და შაჰიდ ქალებს. ეს კი არ მოსწონთ "ზომიერებს", რომელთა აზრითაც, მსგავსი ქმედებები ჩეჩნურ მენტალიტეტს ეწინააღმდეგება. რადიკალთა ყველაზე ცნობილი ლიდერია შამილ ბასაევი, მასვე უკავშირდება ბოლო დროს რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული თითქმის ყველა ტერაქტი. "**ჩვენ უფლება გვაქვს, რუსეთის მხრიდან სახელმწიფო ტერორს ჩვენ ხელთ არსებული ყველანაირი საშუალებით ვუპასუხოთ,**" - აცხადებდა იგი ორი წლის წინ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რადიკალთა შორისაც არის სერიოზული დანაკლისი. მათ შორის უპირველესი - იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის ყატარში მკვლელობაა. ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილების სახით რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს, თუმცა რუსეთი მომხდარის გამო პასუხისმგებლობას სრულად იხსნის.

ახლა, როცა ხამბიევი თამაშგარეთაა, ხოლო გელაევი მკვდარია, იმ ჩეჩენ ახალგაზრდებს, რომელთაც საკმაოდ დიდ მოტივაცია აქვთ, იარაღი აიღონ ხელში, ერთადერთ გზად ვაჰაბიტების "ჯამაათებში" ან ბასაევის რაზმებში გაერთიანებაღა რჩებათ, რამეთუ "ზომიერი" საველე მეთაურები თითქმის აღარ დარჩნენ.

დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება ძირეულად შეცვალოს კონფლიქტის ხასიათი და უფრო ძნელად პროგნოზირებადი გახადოს იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი ყველა გავლენიანი საველე მეთაურის ნეიტრალიზებას მოახერხებს, კონფლიქტი არ დასრულდება და მხოლოდ სახეს შეიცვლის.

იჩქერიის პარლამენტის ყოფილ წევრს მათე ციხესაშვილს გაუგებრად ეჩვენება რუსეთის ტაქტიკა. "**ყველაზე საოცარი დღეს ისაა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები და სამხედროები ღიად ნადირობენ და ანადგურებენ, პირველ რიგში, იმ ჩეჩენ მეთაურებს, რომლებიც ომის წარმოების ცივილიზებული მეთოდების მომხრენი არიან. უპირისპირდებიან როგორც რუსეთს, ასევე რადიკალურ ისლამურ მიმდინარეობებს და მათთვის მიუღებელია სამხედრო ოპერაციებში ამბოხებულთა მხარეზე უცხოელთა მონაწილეობა,**" - ამბობს იგი.

"**ჩეჩნეთში შეიარაღებული დაპირისპირების მშვიდობიანად დასრულება ახლა უკვე შეუძლებელია. საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა ყველა "ბოევიკი" განადგურებული ან შემორიგებული იქნება.**"

## PSP პასუხს აგებს მის ქსელში არსებული მედიკამენტების ხარისხზე

დღეს ბევრს საუბრობენ მედიკამენტების ხარისხსა და აფთიაქებზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს საკითხი თუ გავითვალისწინებთ, რომ წამლის შეფასებაში ხარისხის გრადაცია არ არსებობს.

**წამალი არსებობს მხოლოდ ერთი ხარისხის - უმაღლესი!**

და თუ ძვირადღირებულ მედიკამენტს ბაზრობაზე ან ჯიხურში იაფად იყიდით, სულაც არ ნიშნავს რომ ეკონომია გასწიეთ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მასში ნეიტრალური ნივთიერება იქნება მოთავსებული და არ გავნებთ, უარეს შემთხვევაში კი "იაფფასიანი მკურნალობის" შედეგებისგან განთავისუფლება გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მედიკამენტი შეიძინოთ აფთიაქში, არა ბაზრობასა და ჯიხურში, და სასურველია იმ აფთიაქებში, სადაც მხოლოდ გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს შემოგთავაზებენ.

კომპანია "პე-ეს-პე"-ს მედიკამენტებს უშუალოდ მწარმოებელი კომპანიები აწვდიან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ეს საწარმოები საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების შესაბამისად მუშაობენ, რაც თავისთავად გამორიცხავს შეცდომებს წარმოების პროცესში და უზრუნველყოფს წარმოებული პრეპარატის გარანტირებულ ხარისხს. მხოლოდ ასეთი, გარანტირებული ხარისხის მედიკამენტები მიეწოდება კომპანია "პე-ეს-პე"-ს.

"პე-ეს-პე" მუშაობას ახორციელებს სადისტრიბუციო ფირმის სამუშაო სტანდარტის მიხედვით. მართვის აწყობილი სისტემა გამორიცხავს უხარისხო მედიკამენტის მოხვედრას მის სააფთიაქო ქსელში. "პე-ეს-პე"-ს სააფთიაქო ქსელში არსებულ ყველა მედიკამენტს გააჩნია ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი, პრეპარატები ინახება შესაბამისი მოთხოვნებით გათვალისწინებულ პირობებში.

**"პე-ეს-პე"-ს სააფთიაქო ქსელში მედიკამენტის შეძენის შემთხვევაში, თქვენ იღებთ უშუალოდ მწარმოებელი კომპანიის მიერ მოწოდებულ გარანტირებული ხარისხის მედიკამენტს და დაცულნი ხართ ყველა სახის გაყალბებისგან!**

## ორი სიტყვით

**საუდის არაბეთი.** საუდის არაბეთის სამართალდამცავებმა სპეცოპერაციისას აბუ ჰასიმ ალ-შაირი, იგივე ხალედ ალი ჰაჯი მოკლეს. ალ-შაირი ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ლიდერი იყო და მას საუდის არაბეთში ძებნილთა სიაში მესამე ადგილი ეკავა. საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ ძებნილ ტერორისტთან ერთად მისი თანმხლები პირიც დაიღუპა. ალ-შაირი წარმოშობით იემენიდანაა. მან საბრძოლო მომზადება ავღანეთში გაიარა და გარკვეული დრო ბინ ლადენის დაცვის წევრიც იყო. ალ-შაირი ამჟამად არაბეთის ნახევარკუნძულზე "ალ-ქაიდას" ქსელის საქმიანობას ხელმძღვანელობდა და არაერთი ტერაქტის ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. მათ შორისაა დედაქალაქ რიადში საცხოვრებელი კომპლექსის აფეთქება გასული წლის მაისში, რის შედეგადაც 23 ადამიანი დაიღუპა.

■ ■ ■

**აშშ.** კუბაზე განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზა გუანტანამოზე ტუსაღთა რაოდენობა მცირდება. პენტაგონის წარმომადგენლის ინფორმაციით, პატიმრობიდან კიდევ 26 ადამიანი გაათავისუფლეს. მათ შორის 23 ავღანელი და სამი პაკისტანელია. გუანტანამოდან უკვე გათავისუფლებულია 119 პატიმარი. ბაზაზე ისევ რჩება "თალიბანისა" და "ალ-ქაიდას" 610 მებრძოლი, რომლებიც ამერიკელებმა ავღანეთში დააკავეს. მათი სტატუსი და პატიმრობის პირობები საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთებას იწვევს.

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ერაყელთა უმრავლესობა დღევანდელი ცხოვრებით უფრო კმაყოფილია, ვიდრე სადამის რეჟიმის დროს არსებული პირობებით. გამოკითხულთა 70-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი კარგად, ან არც ისე ცუდად ცხოვრობენ. ცხოვრების დღევანდელ პირობებზე მხოლოდ 29 პროცენტი წუხს. 56 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა ახლა უფრო უკეთესია, ვიდრე ომამდე. თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ ერაყში კოალიციის შეჭრა სწორი გადაწყვეტილება იყო, ამავდროულად, 41 პროცენტი ფიქრობს, რომ ამან "ერაყი დაამცირა". გამოკითხვამ აჩვენა, რომ ერაყის მოსახლეობის 79 პროცენტს ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება სურს და ისლამური სახელმწიფოს შექმნის მომხრე მხოლოდ 20 პროცენტია. სოციოლოგიური გამოკითხვა "ბიბისი"-სა და სხვა დასავლური მედიის დაკვეთით ჩატარდა.

# რას წერენ ჩვენზე?

პირველი გვერდიდან

აქვე აღნიშნულია, რომ უკანასკნელი პერიოდი იური ლუჟკოვისათვის საკმაოდ უარყოფითი გამოდგა. "**გასულ პარასკევს ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახურის ახლადდანიშნულმა ხელმძღვანელმა იგორ არტემიევმა სახალხოდ განაცხადა, რომ მოსკოვის სამშენებლო კომპლექსი მისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება,**" - წერს "გაზეტა.რუ." არტემიევს ასევე მიზნად აქვს დასახული, რომ მოსკოვის დაქვემდებარებაში არსებული მიწის საკუთრება და კულტურული ღირებულებები ქალაქის ხელისუფლებას გამოაცალოს და სხვა მესაკუთრე მოუძებნოს. ეს კი, რასაკვირველია, პირდაპირი დარტყმაა იური ლუჟკოვის ბიზნესზე და კაპიტალზე. "გაზეტა.რუ" ასევე ირწმუნება, რომ მოსკოვის გავლენიან მერს რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში ჩამონგრეული აკვაპარკის გამოც მოედავებიან, რომელიც მისი მეუღლის ბიზნესს მიეკუთვნება. "**ძალოვანი უწყებების შეფებს იური ლუჟკოვისგან, პრაქტიკულად, ნებისმიერი კომპრომისის მიღება შეუძლიათ. თუ რამდენად შორს წავა მათი მოთხოვნები, კრემლში მოსული ახალი მმართველი გუნდის შიდა მზადყოფნით განისაზღვრება. განცხადებები მიწის საკუთრებისა და კულტურული ღირებულებების თაობაზე უკვე გაკეთებულია. მოითხოვენ თუ არა ლუჟკოვისგან მერის სავარძელს, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი კანდიდატი ჰყავს ამ პოსტზე კრემლს გამზადებული. ეს ასევე იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა დამსახურება აქვს ლუჟკოვს სამშობლოს წინაშე. ის კი ამ დამსახურების გაზრდას ამჟამად აჭარაში ცდილობს,**" - ასკვნის ინეტერნეტ-გამოცემა.

იგივე "გაზეტა.რუ" უკვე სხვა სტატიაში - "კავკასიური ომის სცენარები" - ავითარებს აზრს, რომლის თანახმადაც, აჭარაში სამხედრო კონფლიქტის წარმოშობა რუსეთს არანაირად ხელს არ აძლევს. "**რუსეთისათვის ასეთი პერსპექტივა არამომგებიანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ მორალურ ვალდებულებას შეუქმნის უიმედო სიტუაციაში ჩავარდნილი პარტნიორის წინაშე, არამედ, სომხეთისათვის შავ ზღვაზე გასასვლელის დაკარგვა ნამდვილად გამოიწვევს "ტექტონიკურ" ბიძგებს ამჟამინდელი ამიერკავკასიის კონსტრუქციაში.**" გაზეთის აზრით, დასამალი არაა, რომ მოსკოვში არიან ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ ასლან აბაშიძეს და აფხაზ სეპარატისტებს, მაგრამ ახალი ამიერკავკასიური პოლიტიკის განხილვისას რუსეთს ამა თუ იმ დონით მოუწევს ჩრდილიდან გამოსვლა. "**განსაკუთრებით არასასიამოვნოა რუსეთისათვის საქართველოს "იუგოსლავიზაციის" პერსპექტივა, რომლის დროსაც იქ უკვე არარუსი ეროვნების ცისფერჩაფხუტიანები ჩადგებიან,**" - ასკვნის "გაზეტა.რუ."

თითქმის ამავე აზრს ავითარებს გავლენიანი შვეიცარიული გამოცემა "ლე ტემპს." "**ომი აჭარაში და საქართველოს დესტაბილიზაცია არ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს, თუმცა, როგორც რუსი სამხედრო მიმომხილველი პაველ ფელგენჰაუერი აცხადებს, პრეზიდენტ პუტინის გარემოცვაში არიან ადამიანები, ვისაც ეს არ ესმის,**" - ასკვნის შვეიცარიული გაზეთი.

გაზეთი
24 საათი
ულოცავს
ჯეოსელს
7 წლის
იუბილეს

# აჭარის თემა აფხაზურ კლუბში

*აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით, აფხაზეთის საკითხით სპეკულაცია "აფხაზური კლუბის" გუშინდელი შეხვედრის მთავარი თემა იყო, მაგრამ კლუბის წევრებმა გვერდი ვერ აუარეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებსაც.*

ზაზა ფაჩუაშვილი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე "ნაციონალი" თემურ მჟავიას არჩევა, კლუბის საერთო აზრით, დადებითად შეფასდა, მაგრამ ისიც ითქვა, რომ არჩევნების საკითხი ამით არ უნდა ამოიწუროს. ამასთან დაკავშირებით, არჩევნების მომხრეები (რაულ კუპრავა, კობა ჩარკვიანი, მანუჩარ ახალაია და სხვები) თემურ მჟავიასთან შეხვედრას უახლოეს მომავალში აპირებენ და იმედოვნებენ, რომ მასთან კონსტრუქციული საუბარი შედგება. როგორც ითქვა, თემურ მჟავია, აფხაზეთის სხვა დეპუტატების მსგავსად, არასოდეს ყოფილა არჩევნების მოწინააღმდეგე.

ახალ თავმჯდომარეს საკუთარი აზრის გამოთქმა სხვა საკითხებზეც მოუწევს. მაგალითად, კონკრეტულად, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს უმაღლესმა საბჭომ და როგორ უნდა აღმოიფხვრას ის სამართლებრივი აბსურდი, რომელიც შეიქმნა თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო.

აჭარის თემამ ემოციური ფონით ჩაიარა. გამოიკვეთა ორი ფაქტორი: პირველი - აჭარაში შექმნილია ასლან აბაშიძის კრიმინალური რეჟიმი, რომელიც უნდა მოიშალოს და მეორე - რუსეთი აშკარად ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში, რასაც უნდა მოჰყვეს საქართველოს ხელისუფლების მკაცრი შეფასება.

რაულ კუპრავა, აფხაზეთის პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანების საბჭო: "აჭარაში საქმე გვაქვს შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმის რეციდივთან. იქ მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის კრიმინალური ხელისუფლების ამბოხება ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინც ამ მოვლენას აფხაზეთთან აიგივებს, ან უცოდინარია ან შეკვეთას ასრულებს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლება უნდა მოიქცეს ისე, როგორც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლება მოექცეოდა კრიმინალურ დაჯგუფებას. ამასთან, მოვითხოვ, რომ საქართველოს არც ერთი მოქალაქის თავიდან არ ჩამოვარდეს არცერთი ღერი თმა".

აქცენტი გაკეთდა დაძაბულობის მიზეზზეც, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის გამიჯნული უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის.

ლორიკ მარშანიას თქმით, რუსეთმა იცის ყოველი დეტალი და იგი უხეშად, ძალიან კონკრეტულად ერევა ჩვენი ქვეყნის საქმეებში.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დისკუსია "24 საათის" რედაქციაში.*

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ძველი ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებდა, როცა ხაზს უსვამდა ორი რუსეთის არსებობას და ამით რუსეთს, ფაქტობრივად, ყველაფრის უფლებას აძლევდა აფხაზეთში.

თემურ ჩილაჩავა - სოხუმის უნივერსიტეტის პრორექტორი: "ორი რუსეთი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკას "პუშკინის რუსეთი" და "მეფის რუსეთი" ერთნაირ პოზიციას ამჟღავნებენ".

დისკუსიის მონაწილეებმა გულისტკივილი გამოთქვეს ეკონომიკური სანქციების გამო, რომელიც, მათი აზრით, ტვირთად ისევ უბრალო ხალხს დააწვება. ბათუმში პროდუქტი უკვე გაძვირდაო, - ითქვა შეხვედრაზე.

მწერალმა გურამ ოდიშარიამ კლუბს გააცნო თავის ბათუმელ მეგობართან შემაშფოთებელი სატელეფონო საუბრის შინაარსი, რომელშიც მეგობარი იტყობინებოდა, - მოსალაპარაკებლად ნუ ჩამოხვალთ, თორემ ხალხი ისეა გაღიზიანებული, მაინც არაფერი გამოვაო.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ "აფხაზური კლუბის" წევრები აღიარებენ შექმნილი დაძაბულობის მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით განეიტრალებას და აღნიშნავენ, რომ ჯერ სრულიადაც არ არის გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს რესურსი.

ასლან აბაშიძის პრეზიდენტობა, მთავარსარდლობა და შეიარაღებული წინააღმდეგობა ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივროთ და მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით ვიმოქმედოთო, - ისურვეს აფხაზურ კლუბში.

ბოლოს, "აფხაზური კლუბის" სახელით, გაკეთდა განცხადება ბათუმში მოშიმშილე ინტელიგენციის მხარდასაჭერად.

# თვითიზოლაცია თუ ბლოკადა

## ვინ გადაუღობა გზა არასამთავრობოებს

*"ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა საფრთხის წინაშე დგას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები, რათა უმოკლეს ვადაში გაირკვეს, რა ხდება აჭარაში," – ასეთია ჩოლოქის საგამშვებო პუნქტიდან გამოძევებული არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოთხოვნა.*

ნინო ცინცაძე

**დავით დარჩიაშვილი** - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; **გიორგი ხუციშვილი** - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; **მამა ზაზა თევზაძე** - საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია; **მარინა მკალავიშვილი** - მოძრაობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის; **მერაბ ბასილია** - ასოციაცია ALPE; **ლელა ქართველიშვილი** - სამოქალაქო განათლებისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; **ნინო ციხისთავი** - კავკასიის ქალთა ქსელი; **რატი მელაძე** - რადიო "მწვანე ტალღა"; **სოზარ სუბარი** - თავისუფლების ინსტიტუტი – გუშინწინ ეს ადამიანები აჭარაში შეღწევასა და იქაური არასმთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან დალაპარაკებას ამაოდ ცდილობდნენ. მათ გზა ჩოლოქის ხიდთან დაბანაკებულმა გაურკვეველი სტატუსის შეიარაღებულმა ადამიანებმა გადაუკეტეს და მიმდებარე ტერიტორიიდან უხეშად გამოაძევეს. თუმცა, ტერიტორიის ბოლომდე დატოვების საშუალებას მათ იქ შეკრებილი ადამიანები არ აძლევდნენ. ისინი უამრავ შეკითხვას სვამდნენ და ცდილობდნენ, თუნდაც შეურაცხყოფისა და პროვოკაციის გზით, დიალოგზე გამოეწვიათ და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეღოთ თბილისიდან ჩასულებისაგან. დიალოგმა ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა **"ძალიან ბევრი ადამიანი, თუ ამის საშუალება მიეცემოდა, ჩუმად გვეუბნებოდა, რომ აქ ძალით მოიყვანეს, შემდეგ კი შეშინებულები აქეთ-იქით იყურებოდნენ, - ხომ არავინ გაიგონაო. ამასობაში რაღაც ჯგუფები მანქანით დადიოდნენ და თუ დაინახავდნენ, რომ დიალოგს კონსტრუქციული ხასიათი მიეცა, შეურაცხმყოფელ ფრაზებს ისროდნენ და სიტუაციის არევას ცდილობდნენ,"** – იხსენებს სამოქალაქო განათლების ცენტრის წარმომადგენელი ლელა ქართველიშვილი. **"როდესაც იქ მივდიოდით, დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჯერ აქეთა მხრიდან მოგვიწევდა პოლიციის შეიარაღებული ბლოკების გადავლა და შემდეგ მოვხვდებოდით ჩოლოქის გამშვებ პუნქტზე, თუმცა ხმამაღლა უნდა აღინიშნოს და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ აქედან გზა სრულიად თავისუფალია და არც ერთი შეიარაღებული ადამიანი იქ არ დგას,"** – ამბობს კავკასიის ქალთა ქსელის წარმომადგენელი ნინო ციხისთავი.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გამოძევებაში შეიარაღებულ ადამიანებთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ბატონი ცინცქილაძეც. ჯგუფის წევრთა აზრით, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თვითიზოლაცია, მოქალაქეების ტერორი და რეგიონის მოსახლეობის მძევლად გადაქცევა ოფიციალური ბათუმის შეგნებული არჩევანია. **"იქ მდგომი ჩვეულებრივი ადამიანები აბსოლუტურად დეზინფორმირებულები არიან, მაგრამ ეს ნაკლები უბედურება იქნებოდა, რომ არა ძალიან კარგად ინფორმირებული, ძალიან კარგად ორგანიზებული, გაურკვეველი წარმომავლობის სამხედრო ფორმებში ჩაცმული ადამიანები, რომლებსაც თვალნათლივ ეტყობათ, რომ ძალიან კარგად იციან, რისთვის დგანან იქ და რას აკეთებენ. ჩვენი თვალით ვნახეთ რუსეთის სამხედრო ფორმაში ჩაცმული ოფიცრებიც, რომლებიც, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, გადადიოდნენ ტერიტორიას,"** – ამბობს მერაბ ბასილია.

გუშინ თბილისში დაბრუნების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, რათა საზოგადოებისათვის რამოდენიმე მნიშვნელოვანი მესიჯი მიეწოდებინათ: აჭარის წინააღმდეგ არავითარი ბლოკადა არ არსებობს; აჭარის მხარე შეგნებულად თავადვე ეწევა თვითიზოლაციას; აჭარის მხარის მიერ დაწესებულ ამ თვითბლოკადას არა აქვს შესაფერისი გაშუქება მედიაში; ჩოლოქზე შეკრებილი ადამიანები სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან; აუცილებელია ყველა შესაძლო საშუალებით, მათთან ხშირად ჩასვლითა და საუბრით, მათთვის ელემენტარული სიმართლის მიწოდება; აუცილებელია, ქართულმა საზოგადოებამ თავისი პოზიცია უფრო ხმამაღლა დააფიქსიროს; მოეწყოს შეხვედრები, აქციები; შეგროვდეს ხელმოწერები; ცალკე უნდა გამოითქვას ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი პროტესტი რუსეთის აღვირახსნილ ქმედებასთან დაკავშირებით.

მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები - **დეკანოზი ბასილ კობახიძე** და **მღვდელი ზაზა თევზაძე** ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად ქმედითუნარიანი ნაბიჯის გადადგმისკენ ეკლესიასაც მოუწოდებენ. ისინი თვლიან, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა უნდა მოუწოდოს იმ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რომლებიც ასლან აბაშიძის შეიარაღებული ბანდის წევრები არიან, დაყარონ იარაღი და არავითარ შემთხვევაში არ ესროლონ კანონიერი სტრუქტურების წარმომადგენლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ საეკლესიო ანათემაზე გადაცემით დაემუქროს. იგივე უნდა გაიმეოროს აჭარის სულიერმა ლიდერმა, მთავარეპისკოპოსმა დიმიტრი შიოლაშვილმაც, რომელიც, აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო, მთელი ეს პერიოდი დუმს; მსგავსი მოწოდებებით უნდა მიმართონ აჭარის მუსლიმთა ლიდერებმაც თავიანთ იმ სულიერ შვილებს, რომლებსაც ხელში იარაღი უჭირავთ.

# "ჩვენ არავისი გვეშინია ისე, როგორც საკუთარი ლიდერების!"

პირველი გვერდიდან

- გვინდა, როგორმე ამ გზით მაინც მივაწვდინოთ საზოგადოებას ჩვენი აზრი: არავისი არ გვეშინია ისე, როგორც საკუთარი ლიდერების! ჩვენ იმის უფრო გვეშინია, რომ ჯემალ გოგიტიძე და მისი დამქაშები არ დაგვიცავენ, ვიდრე იმისა, რომ ბატონი სააკაშვილი შემოვა აქ სპეცრაზმით.

**- ვისგან არ დაგიცავთ, ქალბატონო მზია?**

- მათ მიერ შექმნილი ე. წ. დამრბევი ჯგუფებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ ყველაფერს არბევენ, როგორც ახლა დაარბიეს ჩვენი სტუდენტები. ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენ აღშფოთებულები ვართ, რუსები რომ ჩამოიყვანა აქ და გუშინ თხებს ეფერებოდა ჩვენი ლიდერი! ჩვენ - აჭარლებს, ვისაც პრეტენზია გვაქვს, რომ ვართ ქართველები, რომლებსაც გვიყვარს ჩვენი საქართველო, ლაპარაკიც კი არ გვინდა იყოს იმაზე, რომ აჭარა იძულებული შეიქნება, გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, როგოც ეს ჯემალ გოგიტიძემ თქვა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში! გვრცხვენია ამის გამო! არანაირი სურვილი არ გვაქვს, რეკლამას გვიკეთებდეს ჩოლოქზე თავმოყრილი, თუ გინდათ, ხუთი ათასი ადამიანი. ჩვენ არ ვართ ასეთი ქართველები და არა ვართ ასეთი აჭარლები! იქ დგას ხალხი, რომელსაც არანაირი ინფორმაცია არ აქვს მიმდინარე მოვლენებზე. გვიან ღამით თუ ჩაურთავენ შუქს, ისიც ან აღწევს ან - არა მთიან რეგიონში. თუ აღწევს, უყურებენ მხოლოდ აჭარის ტელევიზიას და აბსოლუტურად არაფერი იციან.

**- შუქი საერთოდ არა გაქვთ?**

- მხოლოდ გვიან ღამით მოდის. ბათუმს კიდევ არა უშავს - მეტ-ნაკლებად, გენერატორების საშუალებით კიდევ შეგვიძლია ინფორმაციები სხვადასხვა ტელეარხიდან მივიღოთ, ვისაც საკაბელო ტელევიზია ან სატელიტური ანტენა გვაქვს. სხვა შემთხვევაში, აჭარის ტელევიზიისა და "იბერიის" გარდა, ვერაფერს ნახავ. ასეთ ინფორმაციას იღებს ხალხი მაღალმთიან აჭარაში და რასაც ხედავს, ის სჯერა. იცით, როგორ მიჰყავთ იქ ის ადამიანები? გუშინ სახელმწიფო დაწესებულებებში, მუზეუმებში, პოლიკლინიკებში დადიოდნენ, წერდნენ სიებს და აწერინებდნენ ხალხს ხელს. დათვლილი იყო მამაკაცთა რაოდენობა და ამის მიხედვით არიგებდნენ ავტომატებს. განაწილებულია დღეები, გრაფიკების მიხედვით - 20-ში, მაგალითად, წავა ხალხი იმ ორგანიზაციდან, 22-ში – მეორედან და ა.შ. ასეთი შეკვეთებით გასული ხალხი აკეთებს კამერების წინ განცხადებებს, ჩვენ კი ადამიანები, რომლებიც წარმოვადგენთ ძირითად ბირთვს, ძირითად მასას - ის ამომრჩევლები, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნებში უზარმაზარი წნეხისა და შეურაცხყოფის ქვეშ მივიღეთ მონაწილეობა, ვერავის ვაწვდენთ ხმას – ტელევიზიებს ჩვენთან მოსვლის ეშინიათ. ვუკავშირდებით, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზით, უარს გვეუბნებიან.

**- ალბათ, იმიტომ, რომ იმის გასარკვევად, ვისთან ლაპარაკობენ, რას იღებენ და ა.შ. მათ მიმაგრებული ჰყავთ ხალხი. ასეთი შეხვედრა, შესაძლოა, არც თქვენთვის იყოს უსაფრთხო.**

- გასაგებია, მაგრამ ჩოლოქს იქითა საქართველოში ჩვენ უკვე გავიკეთეთ ცუდი რეკლამა. იმას, რომ საკუთარ პრეზიდენტს ავტომატებით დავხვდით, ჩვენ საღი აზრით, მშვიდობიანად უნდა დავუპირისპირდეთ. საქართველომ უნდა იცოდეს, რომ შუახევიდან და ხულოდან ჩამოყვანილი, წვერგაუპარსავი და ტალახიანი ფეხსაცმლით შემოსილი ადამინების გარდა, აჭარაში არიან ჭეშმარიტი ინტელიგენტები, რომლებიც გამართული ქართულით ლაპარაკობენ, სხვანაირად ფიქრობენ და სხვანაირად დაწყნარებული თვალებით იყურებიან. ჩვენ თუ არ გავუწიეთ მათ კონკურენცია, სამუდამოდ დარჩება ეს შეცდომა გამოუსწორებელი. აჭარამ ძლივს მოიშორა თურქეთის სამასწლიანი ბატონობის აჩრდილი და ამ კაცის თოთხმეტწლიანი ბატონობის სამარცხვინო ლაქას ვერ მოვიშორებთ, თუ ამ პროცესებს პარალელურად არ გაჰყვა ჩვენი სიტყვა; თუ ყველამ არ გაიგო, რომ ბევრნი ვართ, ისე გამოვა, თითქოს ხალხის აზრს ჩოლოქზე მდგომი ის დაქირავებული ადამიანები გამოხატავენ, რომელსაც დღეში 80 ლარამდე თანხას უხდიან, აჭმევენ, ასმევენ და ა.შ. თუ გავჩუმდით, გვაჯობებენ და საბოლოოდ გამოვა, რომ ასეთები ვართ აჭარლები. არ არის ასე!

**- რას გულისხმობთ, როცა "სხვანაირად დაწყნარებულ თვალებს" ახსენებთ?**

- თვალები ადამიანის სარკეა. ვისაც იქ, ჩოლოქთან უყურებთ, არც ერთი არ არის საღად მოაზროვნე - ან ნასვამები არიან, მთვრალები ან მოლხენილნი და ნაქეიფარნი, ანდა ნარკომანები. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ძალიან ბევრია იქ ადამიანი, რომელიც, დაზუსტებით ვიცი, რომ ნარკომანია. მე თუ იმას ინფორმაციულად ვერ მოვუგებ, გამოდის, რომ დაჩაგრული ვარ. არა მგონია, ეს საქართველოსთვის იყოს კარგი. მათ შორის ძალიან ბევრი გიორგი აბაშიძის დაცვის წევრია ან - მისი ძმაკაცი. ისენი ისე დაქრიან ქუჩებში, ჩემნაირ ადამიანებს არც სცნობენ, ისე გადაუვლიან. არიან კიდევ ცხონებული ქალბატონი მაგული გოგიტიძის ქალები, გაფუფუნებულად რომ ცხოვრობენ; მისი ფონდიდან აღებულ ფულს მათ მიერ შერჩეულ ბავშვებს რომ ურიგებენ და მართლა გაჭირვებულებს უყურადღებოდ ტოვებენ. რატომ უნდა გვაჯობონ მათ ინფორმაციულად, მხოლოდ იმიტომ, რომ 24 საათი კამერის წინ დგანან ავტომატებით? ჩვენც გვინდა, ჩვენი სიტყვა ვთქვათ; გვინდა, გითხრათ, რომ ის არ არის ნამდვილი აჭარა, რასაც ჩოლოქზე ხედავთ.

**- თქვენსავით ბევრი ფიქრობს აჭარაში, ბათუმში?**

- ჩვენნაირად ფიქრობს აჭარლების 80 პროცენტი. ჩვენ ის დრო გამოვიარეთ, როცა მუსულმანური რელიგია ბევრ რამეს თრგუნავდა. ქრისტიანი ქართველებითაა სავსე ზემო აჭარა, რომლითაც დღეს სპეკულირებენ. არადა, ტაძრებს ვაშენებთ, ჯვარს ვიწერთ, შვილებს ვნათლავთ. მარათის ხეობაში უზარმაზარ ტაძარს ვაშენებთ და ახლა გამოდის, რომ "ბაბუს" კლანის მიერ დაქირავებულებმა უნდა გაგვაჩუმონ! ჩვენს ოპოზიციის ლიდერებზეც განაწყენებულები ვართ - დაფრთხნენ, გაიქცნენ და დაიმალნენ. ასე როგორ მოხდება ბნელის დამარცხება? ასეთ დროს თუ შევშინდით ჩვენ, ცენტრიდან რომ მდგომარეობა დარეგულირდება და ამ კრიმინალებს დაიჭერენ, მერე გამოსვლას რა უნდა და ტაშ-ფანდურს? სულაც არ მინდა, ჩრდილში ვიჯდე და მშიშარა ქალი მერქვას - ბოლოს და ბოლოს, სამ შვილს ვუზრდი ქვეყანას!

**კონკურსი**

საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და მენეჯმნეტის დახმარების ცენტრი (CERMA) აცხადებს კონკურსს ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად ფინანსებში, მარკეტინგში, ზოგად და ოეპრაციათა მენეჯმენტში.

აუცილებელია მსურველებს ჰქონდეთ ამ სფეროებში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება, ინგლისური ენის ცოდნა და უმაღლესი განათლება. განაცხადების განხილვის შემდეგ შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერილობით ტესტირებას ანალიტიკურ, ლოგიკურ აზროვნებაზე ფინანსებსა და მარკეტინგში ინგლისურ ენაზე, საბოლოო შერჩევა მოხდება უცხოურ საკონსულტაციო კომპანიასთან გასაუბრების შემდეგ.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, CV და განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე ინგლისურ ენაზე.
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 30 მარტი, 18.00.

**მისამართი: 42ა ალ. ყაზბეგის გამზ. თბილისი ფაქსი: (995 32) 307 703**
**ელ-ფოსტა: mailbox@cerma.ge ნანა კრავცოვა 10-დან 17 საათამდე.**

**კონკურსი**

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA) აცხადებს 10 კონსულტანტის მომზადებას ფინანსების, მარკეტინგის, ზოგად და ოპერაციათა მენეჯმენტში, რომელიც მოხდება უცხოურ საკონსულტაციო ფირმაში მუშაობის დროს.

მსურველებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ბიზნესის, ეკონომიკის და საინჟინრო სფეროში, ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე. მათ ჩაუტარდებათ წერითი ტესტირება ინგლისურ ენაზე ანალიტიკურ აზროვნებაზე ფინანსებსა და მარკეტინგის საფუძვლებში. არჩეული კანდიდატები იმუშავებენ კონსულტანტებად უცხოურ საკონსულტაციო ფირმასთან ერთად ქართულ საწარმოებში 1 წლის განმავლობაში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, CV და განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე ინგლისურ ენაზე.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 აპრილი 18.00.
**მისამართი: 42ა ალ. ყაზბეგის გამზ., თბილისი ფაქსი: (995 32) 307 703;**
**ელ ფოსტა: mailbox@cerma.ge ნანა კრავცოვა 10-დან 17 საათამდე.**

# მსუბუქი სასჯელი

## ბავშვების უკანონოდ გაშვილების აპრობირებული გზები

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

იმერეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა საქართველოდან უცხოეთში ჩვილი ბავშვებით უკანონოდ ვაჭრობით დაკავებული ორი დაჯგუფება გამოავლინა. მათი საქმიანობის შესახებ გამოძიება უკვე დასრულებულია. უფრო მეტიც, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული დაჯგუფებების 8 წევრს ახლახან შესაბამისი სასჯელებიც განუსაზღვა. იმერეთის ოლქის პროკურორის მიშიკო ჩოგოვაძის განმარტებით, საქმე ეხება კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომელთაც ინფორმატორებისა და შუამავლების ქსელი სამშობიარო სახლებში ჰქონდათ შექმნილი.

გასაშვილებელ ბავშვებზე დაკვეთა საქართველოში საზღვარგარეთიდან მოდიოდა. უცხოელები ისეთი ჯანმრთელი ჩვილებით ინტერესდებოდნენ, რომელთა სამშობიარო სახლიდან წაყვანაზე მშობლები უარს ამბობდნენ. როგორც წესი, ასეთ კატეგორიას წარმოადგენდნენ მრავალშვილიანი და მატერიალურად გაჭირვებული ოჯახის წევრები. აღმოჩნდა, რომ ქართველი დედები ბავშვებს საკმაოდ იაფად ჰყიდნენ. მიშიკო ჩოგოვაძის თქმით, შუამავლები მშობლებს ჩვილ ბავშვში საშუალოდ 500-600 დოლარს უხდიდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მშობლები ბავშვებს უფასოდაც აშვილებდნენ.

გამოძიების პროცესში ბავშვებით უკანონო ვაჭრობის ორი ტიპი გამოვლინდა: ერთი, როდესაც ჩვილი შვილდებოდა გაყალბებული დოკუმენტებით; მეორე კი, როდესაც ბავშვის გაშვილებაზე მშობლები თვითონ ამბობენ თანხმობას. პირველ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. ამ დროს ჩვილის ბიოლოგიური მშობელი გაშვილებაზე თანახმა არ არის და შუამავლებს ნოტარიუსში არ მიჰყვება. ასეთ შემთხვევაში შუამავლები იძულებულნი ხდებოდნენ, მოეძებნათ პიროვნება, რომლის სახელზეც ბავშვს გაყალბებული დოკუმენტებით გააფორმებდნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ზოგჯერ ბავშვი ისეთ ადამიანზე იყო გაფორმებული, რომელსაც შვილი საერთოდ არ ეყოლებოდა. იყო შემთხვევები, როცა მშობლად გაფორმებული პირი საერთოდ არ იყო საქმის კურსში - გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, შუამავლები მის საპასპორტო მონაცემებს იყენებდნენ. ამის შემდეგ საქმეში ნოტარიუსი, განათლების სამინისტრო და სასამართლო ერთვებოდა, რის შემდეგაც ჩვილს ეცვლებოდა სახელი, გვარი და უცხოელ "მშობლებს" იგი საზღვარგარეთ უპრობლემოდ გაჰყავდათ.

აღნიშნულ საქმეში, ძირითადად, ექთნები და ექიმები ფიგურირებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვილი ბავშვების საზღვარგარეთ უკანონო გაშვილებით მათაც ძალიან ცოტა თანხა ხვდებოდათ. აღნიშნულ ოპერაციაში შუამავლისთვის გადახდილი მაქსიმალური თანხა 200 დოლარს შეადგენდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი შუმავალი 50 ლარზეც თანახმა იყო.

საგამოძიებო მასალებში დადგენილია გაშვილების კონკრეტული ფაქტები; მაგალითად, 2002 წლის ივნისში თბილისში მცხოვრებ ბესიკ დემეტრაშვილს დაუკავშირიდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, გამოძიებით დაუდგენელი ვინმე სიკა და დანიელი. მათ დემეტრაშვილს შესთავაზეს, რომ საქართველოში ჩამოეყალიბებინა და ხელმძღვანელობა გაეწია პირთა ჯგუფისთვის, რომელიც ახალშობილებს მოიძიებდა და საზღვარგარეთ გაშვილების მიზნით დაამზადებდა ყალბ დოკუმენტაციას. მატერიალური გამორჩენის მიზნით დემეტრაშვილი აღნიშნულ საქმიანობას დასთანხმდა. **"ბესიკ დემეტრაშვილი იმჟამად ქუთაისში მცხოვრებ პაატა ლომთაძეს დაუკავშირდა, რომელსაც იმერეთის სამშობიარო სახლებში ნაცნობები ჰყავდა. თავის მხრივ, ლომთაძემ ქუთაისში არსებული შპს "ქირურგიული სტაციონარის" მორიგე მედდასთან - ნინო ჭოლაძესთან დაამყარა კავშირი, რომელსაც თანხის გადახდის სანაცვლოდ სთხოვა გასაშვილებელი ახალშობილების მოძებნასა და შესაბამისი დოკუმენტაციის დამზადებაში დახმარება. ეს უკანასკნელი კი იმერეთის მხარის სამშობიარო სახლების მედპერსონალს დაუკავშირდა, რათა შესაფერისი ახალშობილის აღმოჩენა მისთვის ეცნობებინათ"**, - განაცხადა მიშიკო ჩოგოვაძემ.

ასე შეიქმნა დანაშაულებრივი ქსელი. პირველი გასაშვილებელი ახალშობილი მალევე გამოჩნდა. საგამოძიებო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 2002 წლის 21 ივნისს სამტრედიის სამშობიარო სახლში დედამ მიატოვა თავისი ახალდაბადებული შვილი და გაეწერა სამშობიაროდან. **"იმავე დღეს სამშობიაროს ხელმძღვანელობას დაუკავშირდა, ამავე დაწესებულების ექთანი, აწ გარდაცვლილი გუგული ლიკაძე-ყენია და ითხოვა, რომ ახალშობილი მისი ახლო ნათესავებისთვის მიეყიდათ. სინამდვილეში კი ქალბატონი გუგული დაუკავშირდა ნინო ჭოლაძეს, ამცნო აღნიშნული ბავშვის შესახებ და ისიც დაამატა, რომ ჩვილის საფასურად მისთვის 800 დოლარი უნდა გადაეხადათ"**, - ნათქვამია გამოძიების მასალებში. ჭოლაძე, თავის მხრივ, პაატა ლომთაძეს დაუკავშირდა, რომელიც შეხვდა გუგული ყენიას და 800 დოლარის გადახდაზე დათანხმდა, დემეტრაშვილს კი ჩვილში 1300 დოლარი მოსთხოვა. დემეტრაშვილმა უცხოელებს აღნიშნული თანხა გამოართვა, რის შემდეგ ქუთაისში ჩავიდა. მან პაატა ლომთაძეს 1250 დოლარი გადასცა, ხოლო დარჩენილი 50 დოლარის გადახდას მალევე დაჰპირდა. ფულის აღების შემდეგ ლომთაძემ და ჭოლაძემ ახალშობილი სამტრედიიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს და სამანქანო გზაზე, ეგრეთ წოდებულ "საღორიის" გადასახვევთან, დემეტრაშვილს გადასცეს. ამით ჩვილის გაშვილების ოპერაცია არ დამთავრებულა. უცხოეთში გასაშვილებლად საჭირო იყო გარკვეული დოკუმენტაცია. რის გამოც დემეტრაშვილი კვლავ უკავშირდება ლომთაძეს და სთხოვს ახალშობილის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტაციის დამზადებაში დახმარებას. აქ კი საქმე ცოტა გართულდა, რადგან ახალშობილის დედამ კატეგორიული უარი განაცხადა ნოტარიუსთან მისვლაზე, თუმცა დამნაშავეები არც ამან დააბრკოლა.

**"ბესიკ დემეტრაშვილმა, 200 დოლარის გადახდის სანაცვლოდ, ნინო ჭოლაძე ყალბი მშობლების მოძიებასა და ყალბი დოკუმენტაციის დამზადებაზე დაიყოლია. ჭოლაძემ ქუთაისის N2 სამშობიარო სახლის ბებიაქალს - ირინე სულაბერიძეს სთხოვა დახმარება ახალშობილისთვის ყალბი მშობლების მოძებნაში; სანაცვლოდ კი, 100 დოლარს დაჰპირდა. ხსენებული თანხის გამო სულაბერიძე თავად დაფიქსირდა ჩვილის დედად, თუმცა მისი ორსულობა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამოკვეთილი ჰქონდა საშვილოსნო"**, - აცხადებს მიშიკო ჩოგოვაძე.

ყალბი მშობლის პოვნის შემდეგ ჭოლაძე ჩოხატაურის რაიონის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს ვაჟა ცირეკიძეს ყალბ დაბადების მოწმობას ამზადებინებს. ყალბად დაფიქსირებულმა დედამ – სულაბერიძემ კი სანოტარო ბიუროში განაცხადა, რომ თანახმა იყო, შვილი ამერიკის მოქალაქეებზე - ბრუს ედვარდ კენსა და ემი ვანგლიშ კენზე გაეშვილებინა. ამერიკის მოქალაქეების მიმართვისა და ყალბი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ განათლების სამინისტრომაც უპრობლემოდ გასცა თანხმობა ჩვილის ამერიკელებისთვის მიშვილებაზე. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები განათლების სამინისტროში წლების განმავლობაში იმყოფებიან აღრიცხვაზე და შვილის აყვანას უშედეგოდ ელიან. კანონის მიხედვით კი, უცხოელებზე ჩვილი მას შემდეგ უნდა გაშვილდეს, რაც საქართველოში არავინ გამოთქვამს მისი შვილების სურვილს...

აღნიშნულ საქმეში საბოლოო აკორდი ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილებაა. 2002 წლის 6 სექტემბერს სასამართლომ ამერიკის მოქალაქეებზე ქეთევან სულაბერიძის შვილად აყვანის დადგენილება გამოიტანა. ამის შემდეგ უცხოელებმა ბავშვი საქართველოდან გაიყვანეს. **"2002 წლის 18 სექტემბერს აშშ-ს ზემოთ აღნიშნულმა მოქალაქეებმა ქეთევან სულაბერიძე ქალაქ თბილისში დაბადებულ ირაკლი ხოსიაშვილთან** (რომელიც ანალოგიური გაყალბების გზით იქნა გაშვილებული - ბ.ს) **ერთად წაიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც და-ძმა"**, - აღნიშნულია გამოძიების მასალებში. ეს არის ერთი ეპიზოდი დემეტრაშვილის ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობიდან.

ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ ისინი განაგრძობდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას და მათ ქსელში სულ უფრო მეტი პირები ერთვებოდნენ. ისინი, ძირითადად, სამშობიარო სახლების ექიმები და ექთნები იყვნენ.

ჯგუფის წევრებს სირთულეები მაშინ ექმნებოდათ, როდესაც მშობლები უარს ამბობდნენ შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებაზე. ამის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ, ეპოვათ გარეშე პირები, რომლებიც ფიქტიურ მშობლობაზე თანხმობას განაცხადებდნენ. აღნიშნული მიზნით ჯგუფის წევრები გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ნაცნობებიდან თხოულობდნენ პასპორტებს და ჩოხატაურის საავადმყოფოების სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებების გამგეებს, ვაჟა ცირეკიძესა და ბონდო ჟღენტს ახალშობილთა ყალბ დაბადების მოწმობებს ადგენინებდნენ. დემეტრაშვილის ჯგუფს ყალბი საბუთებით საქართველოდან უცხოეთში გაშვილებული ჰყავს 19 ახალშობილი; მათ შორის - ტყუპებიც. საზღვარგარეთ გაშვილებულია: ქეთევან სულაბერიძე, რანდუ ჩერემუშინი, სოსო ყუფარაძე, ანა იოსელიანი, ნიკა ერისთავი, ლიკა ვალიევა, გიორგი უკლება, ქეთი ჭეიშვილი, ტყუპები: ნიკოლოზ და მიხეილ გვენცაძეები, დავით კვანტალიანი, მარიამ მიქაძე, ნანა ლომთაძე, ნათია ცინცაძე, ლევან აბდალაძე.

**"გარდა აღნიშნულისა, ბესიკ დემეტრაშვილმა ანალოგიური ხერხით და ამავე ჯგუფის წევრებთან ერთად იმერეთიდან გაიყვანა და უცხოელებზე გააშვილა გამოძიებით დაუდგენელი კიდევ ორი ახალშობილი. რისთვისაც პაატა ლომთაძეს გადაუხადა 1000-1300 დოლარი, ხოლო ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის ნინო ჭოლაძეს 200 აშშ დოლარი ერგო. დემეტრაშვილმა ანალოგიური გზით გააშვილა კიდევ ორი ახალშობილი, რომელთაგან ერთის ვინაობა დაუდგენელია, მეორის სახელი კი გიორგი დათუნაშვილია,"** - აცხადებს მიშიკო ჩოგოვაძე.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბესიკ დემეტრაძის ჯგუფის გარდა, ახალშობილებს უცხოეთში უკანონოდ ჰყიდდა კიდევ ერთი დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ქართველ ბავშვებს ისრაელში აშვილებდა. ჯგუფს ქუთაისში მცხოვრები ნინო ბრეგაძე კურირებდა. მას ბავშვების უკანონო გაშვილების ორგანიზება ისრაელში მცხოვრებმა ვინმე მურთაზ იაკობაშვილმა შესთავაზა. ბრეგაძის მიერ ისრაელში 4 ახალშობილი იქნა გაშვილებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ზემოთ მოხსენიებული დაჯგუფება თავის საქმიანობას ქუთაისის "ქირურგიული სტაციონარის" ექიმის ქეთევან მიმინოშვილის დახმარებით ეწეოდა. გთავაზობთ გამოძიების მასალებში ასახულ ბრეგაძის ჯგუფის მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ ტიპურ ოპერაციას:

ქუთაისში მცხოვრებ შუშანიკ ანჯაფარიძეს 4 შვილი ჰყავდა. მატერიალურმა გაჭირვებამ ახალშობილის გაშვილება გადააწყვეტინა. მას ჩვილში 500 აშშ დოლარი გადაუხადეს, თუმცა ებრაული მხარე ბავშვის წასაყვანად არ ჩამოვიდა. ამ საქმეში შუამავლად ჩარეული იყო ბელა ხარაბაძე, რომელმაც ახალშობილი ოჯახიდან წამოიყვანა და ისრაელიდან მშობლების ჩამოსვლამდე მოსავლელად ჩააბარა თავის დას - მედეა სულაქველიძეს, რომელიც თვეში 100 დოლარს იღებდა. **"მიუხადავად მრავალჯერადი დაპირებისა, უცხოელი მშობლები თედორე ანჯაფარიძის წასაყვანად არ ჩამოვიდნენ, ამიტომაც ბელა ხარაბაძემ კვალის დაფარვის მიზნით იგი იმერეთის ერთ-ერთ რაიონში მცხოვრებ სხვა პიროვნებაზე გააშვილა"**, - ნათქვამია გამოძიების მასალებში.

პროკურატურაში თავდაპირველად ეჭვობდნენ, რომ ბავშვები, შესაძლოა, შინაგანი ორგანოებით ვაჭრობისთვის გამოეყენებინათ, თუმცა გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უკანონოდ გაშვილებული ყველა ბავშვი მშვილობელ ოჯახებში თავს შესანიშნავად გრძნობს.

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა. ბესიკ დემეტრაშვილსა და პაატა ლომთაძეს 4 წლით პირობითი სასჯელი მიესაჯათ, ნინო ჭოლაძესა და ქეთევან მიმინოშვილს - სამი წლით, ხოლო დანარჩენი პირები კი დაჯარიმდნენ. სასამართლო პროცესზე დანიშნული ბრალმდებლის მურთაზ კაპანაძის განმარტებით, კანონით დასჯადია გაშვილების მიზნით ბავშვების ყიდვა-გაყიდვა. ამავე დროს კანონი მკაცრ სასჯელს მხოლოდ ბავშვების ექსპლუატაციის მიზნით გაშვილებაზე ითვალისწინებს, რაც აღნიშნული პირების მიმართ არ დადასტურდა.



*იმერეთის ოლქის პროკურორი მიშიკო ჩოგოვაძე.*

# საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელი დაპატიმრებულ მოადგილეს ესარჩლება

*"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი თავისი ყოფილი მოადგილის იოსებ ნატროშვილის დაპატიმრების ფაქტს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ნატროშვილის საქმიანობაში არანაირი კორუფციის ნიშანწყალი არ არსებობს.*

როგორც ცნობილია, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილე იოსებ ნატროშვილის დაკავება 2 თებერვალს, ამავე უწყების ყოფილი გენერალური დირექტორის დავით ჯიბლაშვილის დაკავების შემდეგ მოხდა. მას ქალაქ თბილისის პროკურატურა 2,5 მლნ ლარის ოდენობით გადასახადის დაფარვას ედავება.

ნატროშვილის დაპატიმრებას თბილისის პროკურატურაში საბითუმო ბაზარში ჩატარებული შემოწმების საფუძველზე იქ სხვადასხვა დროს ჩადენილი არაერთი დარღვევით ხსნიდნენ. თითქმის ყველა ეს დარღვევა ენერგოვალების გადახდის პროცესში მაქინაციების წარმოების შედეგად თანხების მითვისებას ეხება. ამგვარად, გამოძიებამ მიაკვლია დავით ჯიბლაშვილის დირექტორობის დროს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამალულ 3,7 მილიონ და ნატროშვილის მმართველობის არასრული ერთი წლის მანძილზე დამალულ 2,5 მილიონ ლარს.

პროკურატურის ინფორმაციით, დანაშაულებრივი მოღვაწეობა საბითუმო ბაზარში ჯერ კიდევ დავით ჯიბლაშვილის დირექტორობის დროს დაიწყო, ვალების კერძო ფირმებზე გადაბარების შედეგად დიდძალი თანხების მითვისების სტანდარტული მეთოდით, ჯიბლაშვილის შემცვლელმა იოსებ ნატროშვილმაც მისი წინამორბედის საქმიანობა გააგრძელა. გამოძიების ცნობით, ამ საქმიანობის შედეგად პირველმა ბიუჯეტს 3,7 მილიონი ლარი დაუმალა, მეორემ – 2,5. ორივე – ჯიბლაშვილიცა და ნატროშვილიც ბრალდებულნი არიან სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში – არაერთგზის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდებაში.

რაც შეეხება საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობის პოზიციას, უწყების გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა პროტესტი ჯერ კიდევ თავისი მოადგილის დაკავებისას გამოთქვა. მეტიც, მან მაშინ ბრიტანეთისა და ესპანეთის საელჩოებსაც კი მიმართა. სოლისი დღესაც დარწმუნებულია, რომ ნატროშვილის დაკავება არანაირ სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება, რადგან იგი ორდერის გარეშე ძალით წაიყვანეს სამსახურიდან.

ამჯერად კი საბითუმო ბაზარმა ნატროშვილის უდანაშაულობის დასადასტურებლად სხვაგვარი ბერკეტები აამოქმედა. კერძოდ, სოლისის განცხადებით, ოთხი კვირის წინ საბითუმო ბაზარში მუშაობა დაიწყო აუდიტის ჯგუფმა, რომელიც იკვლევს, 2,5 მლნ ლარის გადასახადი ნამდვილად იყო თუ არა დაფარული. მისივე თქმით, საბითუმო ბაზარმა ასევე მიმართა ფინანსთა სამინისტროს, რომ მან უზრუნველყოს ხელახალი ინსპექტირება და გადამოწმდეს ნატროშვილის ხელმძღვანელობის პერიოდის დოკუმენტაცია, რათა განისაზღვროს მისი ბრალეულობა, თუკი მართლაც არის ასეთი. სოლისის განცხადებით, მას რეალურად სურს საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობა არსებულ კორუფციასთან ბრძოლაში.

*24 საათი*



*იოსებ ნატროშვილს ალბერტო სოლისი ესარჩლება.*

# ყაჩაღების მსხვერპლმა სამართალდამცველებამდე მიღწევა შეძლო

გუშინ, გვიან ღამით, გორის რაიონის სამართალდამცველებმა პოლიციის შენობის წინ გაჩერებულ, ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილულ ავტომანქანაში, საჭესთან მჯდომი უცხო მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გვამს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული სასიკვდილო ჭრილობები აღმოაჩნდა. მოგვიანებით დადგინდა, რომ მოკლული გორში მცხოვრები ლევან შოშიაშვილი იყო.

მომხდართან დაკავშირებით, გორის რაიონის პროკურატურაში გუშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გვიან ღამით სახლში დაბრუნებულ ლევან შოშიაშვილს, რომელიც ავტომანქანის ფარეხში დაყენებას აპირებდა, რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი დახვდა და მისთვის ავტომანქანის წართმევა სცადა. ლევან შოშიაშვილმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია და საკუთარი ავტომანქანით გაქცევა სცადა. გაქცეულს შეიარაღებულები გამოედევნენ და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. ლევან შოშიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, მაინც შეძლო გზის გაგრძელება. თავდამსხმელებმა სროლა მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც შოშიაშვილმა გეზი პოლიციის შენობისკენ აიღო.

**"პოლიციელებმა შენობის წინ მდგარი უცხო მანქანა დაათვალიერეს და იქ ცხედარი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მძიმედ დაჭრილმა შოშიაშვილმა როგორღაც სამართალდამცველებამდე მიაღწია, თუმცა, მანქანიდან გადმოსვლა ვეღარ შეძლო, რადგან სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა. მომხდარს თვითმხილველი არ ჰყავს, თუმცა საკმაოდ არიან მოწმეები, რომლებსაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ჯერი კარგა ხნის განმავლობაში ესმოდათ. უკვე დავკითხეთ გარდაცვლილის მეზობლები, რომელთა ჩვენებების მიხედვით, თავდამსხმელები ავტომანქანით უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი მოწმე იმასაც აცხადებს, რომ გაიგონა უცხო ადამიანების საუბარი, როლებიც ერთმანეთს გაქცევაზე უთანხმდებოდნენ. თავდამსხმელები, სავარაუდოდ, სამნი უნდა ყოფილიყვნენ"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა. მისივე განმარტებით, თავდამსხმელები ისროდნენ ავტომატურიდან, მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან და გადაჭრილი სანადირო თოფიდან, ეგრეთ წოდებული "აბრეზიდან"

მომხდარი მკვლელობის საქმე ჯერ გაუხსნელია, თუმცა, როგორც პროკურორი აცხადებს, დანაშაულში ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრე უკვე დადგენილია. ისინი ქართველები არიან და არა ოსი კრიმინალები.

*24 საათი*



*ამ მანქანით მსხვერპლმა პოლიციის განყოფილებამდე მიაღწია.*

# კონსტანტინე გამსახურდია სამშობლოში დაბრუნდა

*ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე უკვე საქართველოშია. ორი დღის წინ, გვიან ღამით, თბილისში ჩამოსული ექსპრეზიდენტის ვაჟიშვილი მომენტალურად ექცევა მედიის საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სულ ახლახან დაფუძნებული პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" თავმჯდომარე, საქართველოში დაბრუნებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, პირველ პრესკონფერენციას მართავს.*

თამარ მჭედლიშვილი



*კონსტანტინე გამსახურდიას პირველი პრესკონფერენცია თბილისში.*

პირველ რიგში, კონსტანტინე გამსახურდია ჟურნალისტებს პარტია "თავისუფლების" ძირითად სამოქმედო გეგმას და საარჩევნო მიზანს აცნობს. მისი თქმით, "თავისუფლების" უმთავრესი ამოცანა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვაა. თუმცა, წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი, ეს მოძრაობა პოლიტიკური არენის დატოვებას არ აპირებს.

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ "თავისუფლება" დღევანდელი ხელისუფლებისადმი კონტრუქციულად განწყობილი ოპოზიციური ძალაა. ამავე დროს, გამსახურდიას თქმით, არ არის გამორიცხული თემატური თანამშრომლობა ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, ვისი "ხელებიც სისხლში გასვრილი არ არის".

**"ჩვენ ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციური ძალა ვიქნებით, მაგრამ ყოველთვის გამოვალთ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან,"** - ასეთია ექსპრეზიდენტის ვაჟის პოზიცია.

ბუნებრივია, კონსტანტინე გამსახურდია აჭარაში განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურა. მან და პარტიის სხვა აქტივისტებმა "გაუმართლებელი" უწოდეს იმ ეკონომიკურ ბლოკადას, რომელიც ცენტრმა რეგიონის მიმართ დააწესა.

ამავე დროს კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ **"პრობლემა იურიდიულ გადაწყვეტას ითხოვს და ასამოქმედებელია კონსტიტუციის ის მუხლები, რომელიც განსაზღვრავს ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობებს და აჭარის სტატუსს. მისივე თქმით, საჭიროა ამ საკანონმდებლო ვაკუუმის ამოვსება. ამავე დროს აჭარამ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევით უნდა უზრუნველყოს რეგიონში სამართლიანი არჩევნების გამართვა. თავის მხრივ, ცენტრმა უნდა აწარმოოს ზედამხედველობა რეგიონზე."**

მისი თქმით, ეს ფუნქციები საკონსტიტუციო სასამართლომ და საქართველოს პარლამენტმა უნდა იტვირთოს. ამავე დროს, თუკი რეგიონი მუდმივად დაარღვევს კანონებს, უნდა ამოქმედდეს შესაბამისი სანქციები. გამსახურდიასთვის მისაღებია ესპანეთის მოდელი, როდესაც ქვეყნის მმართველი, პარლამენტის თანხმობით, ითხოვს ურჩი რეგიონების ხელმძღვანელობას.

გუშინვე კონსტანტინე გამსახურდიამ ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს.

**"ჩვენი პოლიტიკური მოძრაობის სახელით მოგმართავთ, რომ თავი შეიკავოთ შეიარაღებული კონფრონტაციისაგან აჭარაში, რაც სისხლისღვრას, უდანაშაულო მსხვერპლს და ნგრევას გამოიწვევს. ასევე დაუშვებელი და გაუმართლებელია რევოლუციის ექსპორტი ამ ფორმით თბილისიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანუ რეგიონში, რომელსაც თავისი სპეციფიკა გააჩნია. არანაირი პლიტიკური მიზანი არ ამართლებს ძმათა შორის სისხლისღვრას. ამით ლახვარი ჩაეცემა დემოკრატიზაციის პროცესს და უფრო მეტად გამოეთხრება ძირი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იმედი მაქვს, რომ გამოიჩენთ პოლიტიკურ ალღოს, კეთილგონიერებას და მონახავთ ამ ურთულესი სიტუაციიდან მშვიდობიან და ყველასათვის მისაღებ გამოსავალს,"** – ნათქვამია ამ განცხადებაში.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე არაერთხელ გაისმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი. კონსტანტინე გამსახურდიამ კატეგორიულად გააპროტესტა ის ბრალდება, რომელიც ექსპრეზიდენტის მიმართ არაერთგზის გამოთქმულა და რომლის თანახმად, სწორედ ზვიად გამსახურდიას წყალობით დაკარგა საქართველომ სამაჩაბლო.

**"ვაცხადებ პროტესტს იმ უპასუხისმგებლო განცხადებების გამო, თითქოს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა – ზვიად გამსახურდიამ დაკარგა ე. წ. სამხრეთ ოსეთი და ეს იყო მიზანმიმართული ქმედება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და ამჯერად აჭარაში გამიზნული კონფლიქტი იმ ძალის ინსპირირებულია, რომელთანაც ასეთი ახლო ურთიერთობა აქვს ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს,"** – აცხადებს გამსახურდია.

დაბოლოს: დღეიდან პარტია აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს. კონსტანტინე გამსახურდია პირველ შეხვედრას რუსთაველ ამომრჩევლებთან გამართავს. რუსთავში გამგზავრებამდე კი იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესსეს წაიკითხავს, რომლის სახელწოდებაა „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველისა".

**"ლექცია არ იქნება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ვინაიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წინასაარჩევნო კამპანიას ვერ ჩავატარებ, ამას უნივერსიტეტს ვერ ვაკადრებ,"** - ირწმუნება ექსპრეზიდენტის ვაჟი.

# ალქსნისი ბათუმში, თურმე, დამკვირვებლად ჩასულა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

საქართველოში დღეს შექმნილ სიტუაციაში პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტურობა და სამართლიანობა მოსთხოვო ისეთ პოლიტიკოსს, როგორიცაა რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი დმიტრი როგოზინი, მაგრამ მის მიერ "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები გარკვეულ წარმოდგენას ქმნის განწყობებზე, რომელიც მოსკოვში არსებობს აჭარის კრიზისთან დაკავშირებით.

**- რა მისიით ჩავიდნენ ბათუმში თქვენი ბლოკის – "როდინას" წევრები?**

- ჩვენი ბლოკის, "როდინას" წევრები - გენერალი ალქსნისი და ანდრეი საველიევი ბათუმში საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლებად მივავლინეთ. სხვა მისია მათ გაგზავნას არ ჰქონდა.

**- თქვენმა კოლეგებმა კი გვითხრეს, რომ რუსი პარლამენტარების ბათუმში გაფრენა დუმის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული არ იყო და ისინი გაემგზავრნენ არა როგორც დეპუტატები, არამედ - როგორც კერძო პირები.**

- ჩვენ ისინი საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლებად მივავლინეთ. 28-ში ხომ თქვენთან არჩევნებია?

**- გამოდის, რომ ეს თქვენი მითითებით დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე რუსმა დეპუტატებმა?**

- ჩვენი დეპუტატები იქ სიტუაციის განმუხტვაში დადებით როლს ითამაშებენ და მჯერა, ვილაცების ცხელ თავებს გააგრილებენ. მე მიჭირს ამის აღიარება, მაგრამ მიშა შეცდა. ეს შეცდომა დღეს ჩვენ უნდა გამოვასწოროთ.

**- რატომ თქვენ?**

- იმიტომ, რომ ტყვია არ გავარდეს; იმიტომ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს. თუმცა, დასამშვიდებელი ცოტაა: დღეს ვიქტორ ალქსნისმა ჩოლოქიდან დამირეკა და მითხრა, რომ მზადდება ასლან აბაშიძის ფიზიკური განადგურების სპეცოპერაცია. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ბათუმიდან ჩვენი დეპუტაცია თბილისში გავგზავნოთ.

**- როგორ აპირებენ ბათუმიდან თბილისში ჩასვლას ალქსნისი და საველიევი?**

- როგორ და, მათ კარგი სამთო ველოსიპედები აქვთ და ამ ველოსიპედებით გადავლენ.

# კახეთში "აღორძინება" აღარ არსებობს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ბოლო ორი წელია, ასლან აბაშიძეს კახეთში ბედი არ სწყალობს. ამჯერად კი მას რეგიონში პოლიტიკური საყრდენიც გამოეცალა: გუშინ "აღორძინების" რიგები პარტიის ასობით წევრმა დატოვა.*

კახეთში ასლან აბაშიძის პოლიტიკა ვერ "ხარობს". ამჯერად კი, მის მოძრაობას რეგიონში სამუდამოდ მოეღო ბოლო. გუშინ "აღორძინების" რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა პარტიის თვითლიკვიდაცია მოახდინეს. ამის მიზეზად ყოფილი ამღორძინებლები "აჭარის ლომის" ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას ასახელებენ. **"როგორ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა და ცეცხლი გაუხსნა?"** – კითხულობენ "აღორძინებიდან" განდგომილები. პირველად კი "ასლანისადმი მიცემული ფიცი" პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დევი სამხარაძემ დაარღვია. "**დემოკრატიული საზოგადოების შექმნას ახალი მთავრობის გეგმების განხორციელება სჭირდება და არა ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად ცენტრსა და რეგიონს შორის არსებობს. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ასლან აბაშიძეს. სწორედ ამის გამო ვახდენთ პარტიის თვითლიკვიდაციას. ჩვენ სისხლი არ გვინდა,"** – აცხადებს სამხარაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის დაშლა კახეთში პირველი შემთხვევა არ არის. შარშან აბაშიძის პარტია ანალოგიურ ჩიხში საპარლამენტო არჩევნების წინ მოექცა. ამ ფაქტს პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელი გოგი არაბული იმით ხსნიდა, რომ ასლან აბაშიძეს ძირს უთხრიდა ჯემალ გოგიტიძე. მაშინ არაბული ასეთ განცხადებებს აკეთებდა: **"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩოლოქს აქეთ აბაშიძეს არ ესაქმება; ამიტომაა, რომ რეგიონში მათი პოლიტიკა თავდაყირა დგას."** ამჯერად კი პარტიის ყოფილი წევრები ასლან აბაშიძეს ერის მოღალატეს უწოდებენ. აღშფოთებას განსაკუთრებით ვერ მალავენ ყვარელში მცხოვრები გოგიტიძეები. **"ხმამაღლა ვეღარ ვიტყვი, რომ "აღორძინების" წევრი ვიყავი. რას ჰგავს ასლან აბაშიძის საქციელი? როგორ შეიძლება ერი ერთმანეთს დააპირისპირო? სწორედ ასეთ ადამიანს ვუწოდებ სამშობლოს მოღალატეს,"** – ამბობს ყვარლელი გიორგი გოგიტიძე.

ამ დროისთვის პარტიის რიგები ყვარლის, თელავის, ლაგოდეხისა და დედოფლის წყაროს წევრებმა დატოვეს.

# ახალ რეალობაში აბაშიძის შანსები ნულის ტოლია

პირველი გვერდიდან

ეთნიკური წარმომავლობის გამო, ბათუმი-თბილისის ამჟამინდელ დაპირისპირებაში საერთოდ არ არსებობს.

"აჭარის პრობლემა" საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის გზაზე წარმოქმნილი პოლიტიკური საკითხია და იგი მთელი სიმწვავით სწორედ მაშინ დადგა, როცა ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. აჭარის საკითხის "თავიდან აცილება" ხდებოდა მანამ, ვიდრე წინა ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაციის მიზნით ენერგიული ნაბიჯების გადადგმას ერიდებოდა. გასული წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ, აჭარაში გამეფებული რამდენიმე ოჯახის მიერ "პრივატიზებული" მმართველობა ლოგიკურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების ახალ მიზნებთან.

აფხაზეთის კონფლიქტი უშუალოდ მოჰყვა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პროცესს, რაც საქართველოში, სამწუხაროდ, სამოქალაქო დაპირისპირებითა და პირველი პოსტკომუნისტური ხელისუფლების დამხობით დასრულდა. აფხაზეთში კონფლიქტის დროს ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა სახალხო ლეგიტიმაციის პრობლემა. მას არ ექვემდებარებოდა კონფლიქტის ზონასთან მომიჯნავე რეგიონი და ასევე არ ექვემდებარებოდნენ ფორმალურად მისივე სამხედრო ფორმირებები, რომლებიც სალაშქრო ტიპის კრიმინალური დაჯგუფებები უფრო იყვნენ, ვიდრე სამხედრო დანაყოფები. დღეისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ლეგიტიმაციის მაღალი დონით სარგებლობს. მას სრულ კონტროლქვეშ ჰყავს შეიარაღებული ძალები, რომლებიც, 1990-იანი წლების შენაერთებთან შედარებით, ხარისხობრივად სრულიად სხვა დონეზე იმყოფებიან.

დიამეტრალურად განსხვავებულია საერთაშორისო ვითარებაც. 1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთს (აშშ და ევროპა) საქართველოსთვის არ ეცალა და საბჭოთა იმპერიის დანგრევით გამოწვეულ შოკში იმყოფებოდა. სსრკ–ს ბირთვული მემკვიდრეობა, რუსეთის მომავალი, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა (ბალკანეთი) ბევრად უფრო დიდ თავსატეხს წარმოადგენდა დასავლეთისთვის, ვიდრე საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია. სამაგიეროდ, საქართველოს რთული ურთიერთობები ჰქონდა მეზობელ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, რაც კონფლიქტის მსვლელობაზე ჩვენთვის უარყოფითად აისახებოდა. დღეისათვის კი აშშ-ს დაინტერესება ჩვენი რეგიონით აშკარა ფაქტია. თავი რომ დავანებოთ ყბადაღებულ "ნავთობინტერესებს" კასპიისპირეთში და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას ახლო აღმოსავლეთის ფართო რეგიონში, ვაშინგტონს საქართველოში არა მხოლოდ და არა იმდენად სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს, რამდენადაც დემოკრატიული და ეფექტური სახელმწიფოს შექმნის ექსპერიმენტი აინტერესებს, რომელიც შეიძლება, სამაგალითო გამოდგეს მთელი რეგიონისა და პოსტსაბჭოური სივრცისათვის.

საშინაო თუ საგარეო ფაქტორები, 1990-იან წლებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდაა შეცვლილი. ეს ცვლილებები ანეიტრალებს რუსეთის ფაქტორის მნიშვნელობასაც, რომელიც აფხაზეთის შემთხვევაში გადამწყვეტი იყო.

## რუსეთის შესაძლო როლი

უნდა ითქვას, რომ 12-წლიანმა პერიოდმა არც რუსეთისათვის ჩაიარა უკვალოდ. პუტინის ხელისუფლების წინაშე ახლა სრულიად სხვა ამოცანები დგას. ესაა მოპოვებული ძალაუფლების კონსოლიდაცია და ცივილიზებულ საერთაშორისო სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

დღეისათვის მოსკოვში, ვაშინგტონისა თუ ევროპული დედაქალაქების მსგავსად, საუბრობენ ახალი სახის საფრთხეებზე, როგორიცაა ტერორიზმი, უკონტროლო ტერიტორიები, კონფლიქტები და ა.შ. ამდენად, საკუთარ სამხრეთ საზღვრებზე ახალი კონფლიქტის გაჩაღება და საქართველოს ბალკანიზაცია, თუნდაც რეგიონში სტრატეგიული გავლენის შენარჩუნებისათვის, კრემლში საუკეთესო საშუალებად აღარ განიხილება. მით უფრო, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში წარმოქმნილი კონფლიქტები ხშირად გარკვეული ჯგუფების "ეკონომიკური" ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი, როგორიცაა იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი და ა.შ. ეს ჯგუფები კი იმ გენერალიტეტთან მოიაზრება, რომლის არსებობაც პუტინის ხელისუფლებისათვის საფრთხედ უფროა მიჩნეული.

ასეთ პირობებში, ისმის კითხვა - რას აგებს და რას იგებს პუტინის რუსეთი აჭარის კონფლიქტის ესკალაციით?

აჭარის კონფლიქტის გაგრძელება ან მისი ხანგრძლივ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდა მოსკოვს მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოზე კონტროლის საშუალებას მისცემს. საქართველოს ხელისუფლების მთელი რესურსები ამ მიმართულებით იქნება კონცენტრირებული, რაც შეუძლებელს გახდის რეფორმების კურსის გაგრძელებას. ძმათამკვლელი ომი დასცემს ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტს და შეარყევს საქართველოს სახელმწიფოს ისედაც სუსტ საფუძვლებს. ამასთან, კონფლიქტს ექნება საქართველოსა და რეგიონისათვის წამგებიანი და რუსეთისათვის მომგებიანი ეკონომიკური ეფექტი – გარკვეული ვადით შეჩერდება რეგიონის სატრანზიტო ფუნქცია, შეიძლება საფრთხე შეექმნას საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებს, რაც 1990-იან წლებში რუსეთის სანუკვარი ოცნება იყო. ცენტრალური აზიის ენერგეტიკული სიმდიდრეები და სხვა ტვირთბრუნვა კი რუსეთის მიმართულებაზე გადაინაცვლებს.

მოვლენათა ამგვარი განვითარება გრძელვადიან (ან იგივე მოკლევადიან პერსპექტივაში) შეიძლება რუსეთს პირუკუ შემოუტრიალდეს. რუსული მედიაში დაფიქსირებულია აზრი, რომ აჭარის კონფლიქტი მოსკოვის მოკავშირე სომხეთს ენერგეტიკულ იზოლაციაში მოაქცევს (სომხეთი ენერგორესურსებით ბათუმის გავლით მარაგდება), რამაც, შესაძლოა, ერევანს დასავლეთზე რეორიენტაციისკენ უბიძგოს. ეს კი საბოლოოდ რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის სრული დაკარგვით დასრულდება. ამ არგუმენტზე უფრო საინტერესოა, კონფლიქტის ცხელ ფაზაში გადასვლის შემთხვევაში დასავლეთის შესაძლო რეაქცია. აშშ და, უპირველეს ყოვლისა, თურქეთი, ვერ დარჩება გულგრილი მის საზღვრებთან კონფლიქტის გაჩაღებისა და სტრატეგიული პროექტების საფრთხის ქვეშ დაყენების გამო. შესაბამისად, საერთაშორისო მედიატორობა და თუნდაც საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნა რეგიონში უფრო რეალური გახდება, ვიდრე ეს აფხაზეთის შემთხვევაში იყო. რუსეთი ვერ მიიღებს ერთპიროვნულ სამშვიდობო მანდატს, როგორც ეს, მაგალითად, აბაშიძეს სურს და პრაქტიკულად დაკარგავს კონტროლს რეგიონზე. მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ აჭარაში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის გამოჩენამ შეიძლება საერთოდ პრეცედენტის სახე მიიღოს და რეგიონის სხვა გაყინულ კონფლიქტებშიც გადაინაცვლოს. სხვა სიტყვებით, ბალკანეთის შემდეგ მართლაც დადგეს სამხრეთ კავკასიის რიგი.

რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონში სტაბილურობას უფრო უნდა ემხრობოდეს. თუმცა, როგორც ეს რუსეთის უახლოეს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, გადამწყვეტია, თუ ვინ განსაზღვრავს ამ ინტერესებს. გადამწყვეტი "ვინ" კი ამ შემთხვევაში პუტინია. შეიძლება პუტინს მართლაც ჰქონდეს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი. მოსკოვში გამართული შეხვედრებით კმაყოფილებას არ მალავს თბილისი და ამბობს, რომ აბაშიძეს პუტინის მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს და მოსკოვი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს საზღვრების ურღვევობა კრემლს არც აფხაზეთის შემთხვევაში უარუყვია.

## "აჭარის ლომის" შანსები

ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსეთმა პირდაპირი დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ რეჟიმს. უნდა ითქვას ისიც, რომ მოსკოვი, პრინციპში, პირდაპირ არც აფხაზეთის კონფლიქტში ჩარეულა. აქ უნდა გავიხსენოთ მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქტორი: რუსეთს აჭარასთან პირდაპირი სასაზღვრო შეხება არა აქვს, რაც კონფლიქტში აფხაზურის მსგავს "ირიბ" ჩარევას შეუძლებელს ხდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აჭარის რეჟიმს, კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, შეიარაღების შეტანა რეგიონში მხოლოდ ზღვით და თურქეთის მხრიდან შეეძლება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აბაშიძის ემისრები არალეგალური იარაღის შეძენას თურქეთსა და ბელორუსში გეგმავენ. ზღვის გადაკეტვის პირობას ქართული შეიარაღებული ძალები იძლევიან, ხოლო თურქეთ-საქართველოს საზღვრის ჩაკეტვა ამჯერად მეგობარი თურქეთის თანადგომას უნდა ვანდოთ. საინტერესოა, რომ ანკარას აბაშიძის პრორუსული რეჟიმი და სამხედრო ბაზა გულზე სულაც არ ეხატება და, ლოგიკურად, ამგვარი ნაბიჯის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. რჩება კიდევ ერთი გზა – საქართველოს დარჩენილი ტერიტორია, რომლის გამოყენება იარაღის ტრანსპორტირებისათვის, ცნობილი ქართული უნიათობის წყალობით, ბოლომდე არ უნდა გამოირიცხოს.

აღნიშული გარემოებების ფონზე, კონფლიქტის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად, ცენტრალური ხელისუფლების შანსები უფრო კარგად გამოიყურება. ამგვარ ვითარებაში "აჭარის ლომის" ლოგიკური ნაბიჯი ავანსცენიდან წასვლა იქნებოდა, თუმცა, ან იგი არც ისეთი ბრძენი პოლიტიკოსია, როგორც ამბობენ, ან აბაშიძის ზურგს უკან მდგომი ადგილობრივი და საერთაშორისო, მაფიოზური "კარტელები" აჭარის ოაზისის დაკარგვას ასე ადვილად არ ეგუებიან. ეს არგუმენტი, ალბათ, უფრო გამართლებული ჩანს.

აბაშიძის რეჟიმის მხარდამჭერად შეიძლება მოგვევლინოს აჭარაში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზა, რომლის ხელმძღვანელობა მოსკოვზე მეტად აბაშიძის მიმართაა ლოიალური. პოსტსაბჭოურ კონფლიქტებში ხშირად გვინახავს, როცა რეგიონში დისლოცირებული სამხედრო ბაზა ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებთან ისეა გადაჯაჭვული, რომ პრაქტიკულად ერთ მთლიანობას ქმნის. აბაშიძის მხარეს არიან და იქნებიან რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში შემორჩენილი ოდიოზური ფიგურები და კრიმინალურ ბიზნესში გარეული პიროვნებები, რომლებსაც, როგორც ჩანს, აბაშიძესთან არა მხოლოდ პირადი მეგობრობა, არამედ რეგიონში ერთიანი საფინანსო ინტერესები ამოძრავებთ.

აბაშიძის რეჟიმის სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი შანსი მისი მხრიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პირობებზე დათანხმებაა. თუმცა, ეს პირობები, პირველ ყოვლისა კი ჩაკეტილი მმართველობის სისტემის გახსნა, უახლოეს მომავალში მაინც მისი და მის უკან მდგომი ძალების დამარცხებას გამოიწვევს. ამდენად, აბაშიძის რეჟიმი სტატუს-ქვოს შესანარჩუნებლად უფრო დროის გაწელვის ტაქტიკას აირჩევს, რაც ლოგიკურად მოსკოვისთვის მოვლენათა განვითარების ყველაზე კარგი ვარიანტი უნდა იყოს: ვიდრე აბაშიძე იარსებებს, იარსებებს რუსეთის გავლენა რეგიონში. პროცესების ფორსირება კი (ნებისმიერი სცენარით) საქართველოში რუსეთის გავლენის შემცირებას გამოიწვევს.

## დასკვნა

არსებული ვითარების სრული ანალიზი, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ძალიან რთულია. კიდევ უფრო სარისკოა რაიმე პროგნოზის გაკეთება, რადგან მოვლენების ამა თუ იმ სცენარის მიხედვით განვითარება ხშირად არა მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებზე, არამედ პროცესებში ჩართული აქტორების ქმედებაზეა დამოკიდებული. ობიექტური გარემოებანი შანსს იძლევა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება აღმავალი გზით წავიდეს. ეს პროცესი კი აჭარის საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში დაბრუნებით უნდა დაიწყოს.

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# აბაშიძის ამოცანა
## რაც გააჩნია, იმის დიდხანს შენარჩუნება

პირველი გვერდიდან

მაია ქალაბანიძე

**- კონფლიქტური მდგომარეობიდან, რევოლუციური რეჟიმიდან ქვეყნის გამოსვლის გზები გახანგრძლივდა, თუ ნორმალური სტაციონარული სურათია?**

- ჯერ უნდა გავარკვიოთ, რამდენად იყო მზად საზოგადოება რევოლუციის იმ ვარიანტისთვის, რაც განხორციელდა. ბუნებრივია, ეს რევოლუცია ორგანიზებულად მოხდა - ქაოტურად რომ ყოფილიყო, საზოგადოება შემეცოდებოდა. მაგრამ, ვერ ვიტყოდი, რომ რევოლუციის შემდგომი პროცესი გათვლილი იყო. ბუნებრივია, ეს რევოლუცია (კარგი გაგებით) იყო აჟიტირებული, აღფრთოვანებული ადამიანების ერთობლიობა. ეს იყო ადამიანთა ემოციური ერთობა და ამ პირობებში განხორციელდა ხელისუფლების სწრაფი, მშვიდობიანი შეცვლა. ოღონდ, ეს კანონმდებლობიდან გადახვევით მოხდა და სწორედ ამიტომაც იყო ეს რევოლუციური ცვლა.

დღევანდელი მდგომარეობით, ხელისუფლებას საშუალება რომ ჰქონდეს, პერმანენტული რევოლუციის იდეით იმუშავებდა, რევოლუციას რევოლუციაზე გადააბამდა - დაჭერები არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის, არამედ ამ იდეის გატარების მცდელობა და გამოხატულებაც არის, რათა, პირველ რიგში, საზოგადოების შიგნით მოხდეს მუდმივი პერეტრუბაციები, მერე ამან თბილისიდან რეგიონში გადაინაცვლოს. ანუ, რევოლუციის განვრცობა დროსა და სივრცეში მოხდეს.

ამ ტენდენციას, ჯერჯერობით, წერტილი ვერ დაესმევა, რადგან როგორც კი ეს მორჩება, დინჯი მშენებლობა უნდა დაიწყოს. ჩვენ კი ამის ანტიგამოცდილება გვაქვს.

თუმცა, დიდხანს არც ეს პერმანენტული რევოლუცია გაგრძელდება, რადგან ადამიანები დაიღლებიან. შეიძლება ითქვას, უკვე დაღლილები არიან.

გარდა ამისა, რევოლუციას ბუნებრივად თან ახლავს კონტრრევოლუცია - ეს სალანძღავი სიტყვა არ არის, ეს თანმხლები პროცესია.

**- პერმანენტული რევოლუციებისთვის ნოყიერი ნიადაგი არის თუ არა ის, რომ გასული 12 წლის მანძილზე სახელმწიფო ვერ შედგა და ახლა ხელისუფლებას მკაცრი და, ზოგჯერ, უხეში ნაბიჯების გარდა სხვა არაფერი დარჩენია?**

- სხვა გზა არ არსებობს, ეს სწორი ბრძანებაა.

დღეს ჩვენთან მთელი რევოლუცია შოუს, სპექტაკლის პრინციპით მიმდინარეობს, თავისი ბუნებით კარნავალურია, კარნავალური კულტურის ფარგლებში ვცხოვრობთ. ტელევიზიები მცირე რაოდენობის ტროტილების აღმოჩენასაც კი აშუქებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მიტინგებსა და სხვა მოვლენებზე. მედია, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცნობიერების სინქრონულად ვითარდება (არ ვგულისხმობ ყვითელ პრესას). ამ ეპოქაში რევოლუციის სხვაგვარი ვარიანტი არ არსებობს. ეპოქაში, სადაც გამჭვირვალობა იდეალია, ჩუმი რევოლუცია შეუძლებელია. გავიხსენოთ ერაყის ომი - ფაქტობრივად, თითოეული ჩვენგანი ერაყში იყო. ნებისმიერი თანამედროვე კატასტროფული სიტუაცია ან სწრაფი ცვლილება შეუძლებელია, დიდ ეკრანზე გაშუქების გარეშე განხორციელდეს.

რაც შეეხება უხეშ ნაბიჯებს - პრაქტიკულად, "კანონის უქვენაესობის" პირობებში ვცხოვრობდით. კანონების შესრულება მინუსებში იყო გადასული. რევოლუციის შემოქმედთა კრედო კანონის დიქტატურაზეა გათვლილი და, რა თქმა უნდა, ვემხრობი - უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ კანონი ჩვენზე მაღლა დგას, მაგრამ კანონის დიქტატურის მეოხებით კანონის უზენაესობის პრინციპის გატარებას მუდმივად თან ახლავს უკანონო საქციელი კანონის გამტარებელთა მხრიდან. ოქრუაშვილი და ბარამიძე შეცდომებს უშვებენ და კარგია, თქვენი გაზეთის საშუალებით რომ მიწევს ამის თქმა. ასევეა პრეზიდენტიც - დღეს დემოკრატიულ სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა სტიგმის წინააღმდეგ, ანუ სალანძღავად არ უნდა გამოიყენო ფსიქიატრიული ტერმინები, ეს დღეს არ შეიძლება. გუშინ საზოგადოებისთვის საპატივცემულო ერთმა პირმა ასლან აბაშიძე გიჟად გამოაცხადა, ეს არის სტიგმის აღზევება და ანტიდემოკრატიულია. ყველა დემოკრატი, ვინც სტიგმას ხმარობს, დემოკრატობას მხოლოდ იბრალებს.

არსებობს გარკვეული ეთიკა, რომელიც რევოლუციამაც კი არ უნდა დაარღვიოს. როცა ეთიკა ირღვევა, ჩვეულებრივი რევოლუციონერი ხდები, როგორიც ბოლშევიკების დროს იყო. ასევე ერთმანეთის მსგავსია მხარდამჭერთა აქციები - ისინი მხოლოდ შინაარსობრივად ყვირიან სხვა რამეს, სტილი ერთია, მაგრამ იარლიყები არც ერთს არ უნდა მიაწებო.

**- ჩვენს რეალობაში ცოტა რთულია რევოლუციური რეჟიმიდან ყოველგვარი სტიგმების გარეშე კანონიერ და დინჯ მოქმედებებზე გადასვლა...**

- ამას დრო სჭირდება, ერთი-ორი წელი მაინც. ჩვენ 90-იანი წლებიდან ერთი და იგივე ეპოქა გამოვიარეთ. გამსახურდია სტიგმებმა დაღუპეს - "ერის მოღალატე", "კრემლის აგენტი" და ა.შ. დღეს პოლიტიკოსები სალანძღავ სიტყვებს იშველიებენ და ამას მხილებას უწოდებენ. მხილება ძალიან კარგია, მაგრამ ფორმას გააჩნია, ზოგჯერ ფორმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**- ფიქრობთ, რომ უკვე დადგა დინჯი ანალიტიკის დრო?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებაში დიდი აგრესიული მუხტია. საზოგადოების არაერთი შეხვედრის მოწმე ვარ და ერთი მკრეხელური აზრი მომივიდა - ეს მუხტი სისხლისღვრამდე მიგვიყვანს-მეთქი... მაგრამ, მიმაჩნია, რომ გამოსავალი არსებობს. ზღვარზე სიარული ყოველთვის არ ამართლებს - ერთხელ გადაიარა ვარდებზე, მაგრამ ყოველთვის ასე არ მოხდება.

**- თქვენი აზრით, რამდენად არის მზად აჭარის მოსახლეობა, გაუმკლავდეს აბაშიძის რეჟიმს - გნებავთ, სულიერად, გნებავთ, სამოქალაქო გამბედაობის თვალსაზრისით?**

- ეს რესურსი ყველას არ აქვს და არც არის საჭირო ამის მოთხოვნა. დღეს აჭარაში გამბედაობა გმირობის ტოლფასია და ამას ყველას ვერ მოთხოვ. გმირობა იმპერატივი არ უნდა იყოს, ადამიანმა ჩვეულებრივი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, ყველა რევოლუციონერი ვერ იქნება. იქ ზოგიერთს მართლა სურს აბაშიძის მხარდაჭერა იმიტომ, რომ რაღაცას ელის, ისევე, როგორც მრავალი რევოლუციაში მონაწილე ადამიანი დღეს თანამდებობისთვის იკლავს თავს. ეს ბუნებრივიცაა. ვიღაცას თანამდებობა უნდა, ვიღაცას - მხოლოდ დაცულობა. არ მიმაჩნია, რომ აჭარის მოსახლეობა თავის აზრებში ერთგვაროვანია, მაგრამ არც იმას ვთვლი, რომ ოპოზიცია დიდია და მოშიმშილე სტუდენტები რაიმე სურათს ქმნიან.

ძმები ბერძენიშვილები ჩემი მეგობრები არიან, მეც ბათუმელი ვარ, იქ დავიბადე და სკოლა იქ დავამთავრე, ბათუმთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. საერთოდ რეგიონებში ხშირად დავდივარ, მათ შორის, სოხუმში, პანკისში, სამცხე-ჯავახეთში და შექმნილ სურათს კარგად ვიცნობ. მით უფრო, ჩემს მშობლიურ ქალაქში - იქ ადამიანთა უმეტეს ნაწილს ცვლილების, რეპრესიების ეშინია, "ასლან ბაბუს" წინააღმდეგ რაიმეში მონაწილეობისაც ეშინია... მათ შიშს პატივს ვცემ და მინდა გავუგო. ასეთი არჩევანის უფლება მათ აქვთ.

**- თქვენ იმასაც იგებთ, რომ შეიძლება მუდმივად ამ შიშსა და გაუბედაობაში იცხოვრონ?**

- არა, მაგრამ დემოკრატიის ნაძალადევად დამკვიდრებას არ ვამართლებ. ადამიანი ბუნებრივად უნდა მივიდეს თავის არჩევანთან. დემოკრატია იქ არის კარგი, სადაც ეს მომწიფდა.

**- ...და აჭარაში ეს არ მომწიფებულა?**

- არ მომწიფებულა. ადამიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, "რამენაირად რამე არ მოხდეს". რევოლუციას კი ეს ვითარება არ უხდება - რევოლუციას უნდა, "რამენაირად მოხდეს".

ბევრია აგრეთვე ადამიანი, ვინც მხარს უჭერს ასლან აბაშიძეს და რაღაც ინტერესები აქვს. საკმაოდ ცოტაა ის ადამიანი, ვისაც გაბედული ნაბიჯების გადადგმა უნდა. ამ სიტუაციაში ცენტრის ამოცანა ამ უკანასკნელი კატეგორიის ადამიანების რიცხვის გაზრდა უნდა იყოს. ეს რთულია. ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა პოსტსაბჭოთა სამყაროს "გაველურებული სოციალიზმი" უწოდა და ჩვენთანაც ასეა.

**- აჭარის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არჩევნებში სააკაშვილს მისცა ხმა. თქვენი საუბრით ისე გამოდის, რომ სააკაშვილის მომხრეთა და აბაშიძის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ერთნაირი არ არის...**

- აჭარელი ხალხი სამასწლიანმა გაჭირვებამ დააბრძენა. მათი სიბრძნის ძირითადი ღერძი სიფრთხილე და წინდახედულებაა. როცა ხმა სააკაშვილს მისცეს, ეს გაღიზიანებული ხალხის წინდახედული ნაბიჯი იყო.

**- აბაშიძესთან მიმართებაში როგორ იქცევიან?**

- ასევე ფრთხილ და წინდახედულ ნაბიჯს გადადგამენ. ისინი სარისკო ნაბიჯებს არ გადადგამენ, ცენტრი კი მათგან სწორედ რისკიან ნაბიჯებს მოითხოვს.

**- ასეთ ვითარებაში, აჭარაში რადიკალური გარდაქმნები გართულდება. რევოლუცია გარედან არ მოხდება, შიგნიდან კი, როგორც თქვენ ამბობთ, ვითარება არ მომწიფებულა. როგორ განვითარდება მოვლენები?**

- ჩვენ რევოლუციის შედეგებს აწი ვიმკით. აწი იქნება რთული სიტუაცია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. მოდის ახალი ძალა და ადამიანები რომლებიც ხარბად ეტანებიან ახალ პოზიციებს.

**- როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის მანძილი მცირდება, კონფლიქტოლოგიის კანონები რა გამოსავალს გვთავაზობს?**

- ეს არის ჩემი მუდმივი საზრუნავი და გარკვეული მოდელი მაქვს, რომლის შესახებაც პრესით დაწვრილებით საუბარი არ მინდა. ძირითად იდეას მოგახსენებთ, რათა იქნებ რამენაირად დიალოგის მექანიზმი დავძრა, ოღონდ არა პოლიტიკოსებს შორის, არამედ მოსახლეობის წინდახედულ, დინჯ ნაწილს შორის აჭარასა და თბილისში. უნდა ვეძებოთ ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ანალიტიკური და არა ემოციების ფრქვევის უნარი. ჩვენ იქაც და აქაც არასახარბიელო ვითარება გვაქვს. აჭარასა და დანარჩენ საქართველოში ორი ლიდერია, ორივე ქარიზმატული და ისინი ერთმანეთს ეჯახებიან და ამით არის სიტუაცია რთული. ქარიზმატული ლიდერების უკან მუდმივად დგას 96 პროცენტები. ძალა, რომელიც ჩაერევა, არ უნდა იყოს ქარიზმატული. ეს შეიძლება იყოს მოსახლეობის ძალიან მცირე, მაგრამ ანალიტიკური ნაწილი, მან უნდა შექმნას სადიალოგო ველი.

**- რას დაარქმევდით შექმნილ ვითარებას - კონფლიქტს ცენტრსა და რეგიონს შორის თუ ბრძოლას სახელისუფლებო შტოებს შორის?**

- ეს მრავალგანზომილებიანი და მრავალსახელიანი კონფლიქტია. ერთი მხრივ ეს, არის ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირება, რომელიც დღეს და გუშინ არ მომწიფებულა და რომელსაც ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ბათუმში ოდითგან ლაპარაკობდნენ, რომ თბილისი მათ ზემოდან უყურებს...

**- ასე საუბრობდნენ ყველა ქალაქსა და რეგიონში.**

- დიახ, ეს ყველგან ასე იყო.

აგრეთვე არსებობს ბუნებრივი კონფლიქტი კანონსა და უკანონობას შორის - აჭარაში ბევრი უკანონობა ხდება და ამას ბოლო უნდა მოეღოს, რასაც პრეზიდენტი სამართლიანად ითხოვს, ეს მეორე პლასტია. მესამე პლასტი არის კონფლიქტი ორ ქარიზმატულ ლიდერს შორის; მეოთხე და უზარმაზარი პლასტი - ეკონომიკურ ინტერესებს შორის კონფლიქტია. ბუნებრივია, არსებობს ადმინისტრაციული ხასიათის კონფლიქტიც ცენტრალურ ადმინისტრაციასა და ავტონომიურ ადმინისტრაციას შორის.

ყველაზე უფრო მეტად პრობლემატური მოსახლეობის შეიარაღებული ნაწილია, ისინი პოტენციური ცოდვის წინაშე დგანან, ეს არის ჩემი ტკივილი.

საზრუნავია აგრეთვე ჩვეულებრივი მაცხოვრებელი, რომელსაც ამ ეკონომიკური სანქციების გამო დარტყმა მიადგება. ასევე საზრუნავი არიან ბიჭები, ვინც ამ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან. ესენი ყველანი საქართველოს მოქალაქეები არიან და თუ დემოკრატები გვქვია, ადამიანები დარწმუნებით და არა სტიგმების საშუალებით უნდა მოვაქციოთ.

**- ალბათ, შექმნილი გაქვთ ასლან აბაშიძის ფსიქოლოგიური პორტრეტი, როგორ შეიძლება ის ამ ვითარებაში მოიქცეს?**

- ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხებს არ მოვხაზავდი, რადგან ეს იარაღია და შეიძლება, აბაშიძის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული, მე კი არ მინდა, ვინმეს იარაღი მივცე ხელში. არ მინდა ადამიანის უფლებების დარღვევა. ასლან აბაშიძეს, პატიმრობაშიც რომ აიყვანონ, ისევე აქვს უფლებები, როგორც ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს.

აბაშიძეზე, როგორც პოლიტიკოსზე კი ვიტყოდი, რომ ის დაეყრდნობა თავის რუსულ ძალას (რასაც აკეთებს კიდეც). ამ მხრივ ის საკმაოდ მოქნილი პოლიტიკოსია და ბევრი მეგობარიც ჰყავს.

თუ ცენტრსა და რეგიონს შორის ორმხრივი კონტრრეაქციები დიდხანს გაგრძელდება, დრო აბაშიძის სასარგებლოდ იმუშავებს. მის წინაშე ახლა მხოლოდ ერთი ამოცანა დგას - რაც გააჩნია, იმის დიდხანს შენარჩუნება, დროის გახანგრძლივება. შეუძლებელია, მან არ იცოდეს, რომ ნიადაგი გამოცლილი აქვს და ისტორიამ ის დაუნდობლად მოისროლა, ამ ისტორიის სარბიელზე მისი ადგილი აღარ არის. ის, როგორც პოლიტიკოსი, ავანსცენიდან უნდა ამოვარდეს და ვინ იცის, რაში ჩავარდება...

**- პროგრესული სამოქალაქო ინსტიტუტები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს საზოგადოების გააქტიურებაში და ცნობიერების ჩამოყალიბებაში, დღეს კრიტიკულ მიდგომებს კარგავენ, რეალური ოპოზიცია არ არსებობს...**

- ამ პროგრესული ინსტიტუტების ჩანაფიქრი განხორციელდა და ასე უცბად კრიტიკულები ვერ გახდებიან. ოპოზიცია ძალიან სუსტი და გამაღიზიანებელიც კი არის. ეს ძალიან საშიშია. ხელისუფლების ოპონენტი ძალის წარმოშობას დრო უნდა. ჩემი ვარაუდით, შემოდგომისთვის ახლებულად მოაზროვნეთა ახალი ტალღა დაიძრება. უოპოზიციო მთავრობა ღმერთმა ნუ ქნას.

**- სანამ აჭარის კონფლიქტი გამძაფრდებოდა, ხელისუფლება სტრუქტურების რეფორმებით იყო დაკავებული. დაწესებულებებში თანამშრომლების შემცირება დაიწყო. წარმოადგენენ თუ არა ეს ადამიანები სოციალურ საფრთხეს?**

- ეს ის ხალხია, ვინც მმართველ პარტიასა და სააკაშვილს მისცა ხმა. ამ ხალხს იმედგაცრუება ბუნებრივად დაეწყება, რადგან ცხოვრების დონე ასე უცბად ვერ აიწევს. მით უმეტეს, ამგვარი კრიზისების შემდეგ. არასტაბილურობის განცდა გაღრმავდება. ეს სოციალური პრობლემა საფრთხედ არ იქცევა, თუ მთავრობა დროზე გამოაქვეყნებს პროგრამებს. დაჭერები დაჭერებად, მაგრამ ასევე სასწრაფოდ მისახედია გარდაქმნების პოზიტიური მხარეც.

**- როგორ ფიქრობთ, ამ დაპირისპირებაში ვის უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება?**

- კონფლიქტოლოგიური თვალსაზრისით პასუხისმგებლობა ყველა მოთამაშეზე ნაწილდება. ცენტრსა და რეგიონს პასუხისმგებლობის თავისი წილი აქვთ და ეს პროცენტებით არ იზომება.

**- არის თუ არა საზოგადოება შეურაცხყოფილი იმით, რაც ხდება და როგორ შეიძლება ეს გამოიხატოს?**

- ცხადია, საზოგადოება შეურაცხყოფილია იმით, რომ პრეზიდენტს საკუთარ ქვეყანაში გადაადგილების უფლება შეუზღუდეს. ეს ჩვენი პრეზიდენტია და ჩვენი ცხოვრების დელიგირება მასზე გავაკეთეთ. თუმცა, ადამიანებს პრეზიდენტის საქციელის მოტივაციაც აინტერესებთ და ამის გაგების უფლება მათ აქვთ.

ძალიან დიდი ნაწილი გმობს და დასაგმობია კიდეც ასლან აბაშიძის საქციელი, მაგრამ ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის არშეშვება ერთი პატარა ნაბიჯია იმისკენ, რომ კონფლიქტის ესკალაცია მომხდარიყო. აუცილებელი არ არის, პრეზიდენტი ყველგან ფიგურირებდეს. ის დრო წავიდა, მეფეები რომ წინ უძღოდნენ ლაშქარს. დღეს პრეზიდენტი თბილისიდან უნდა განაგებდეს ვითარებას, ზოგიერთი ოპერაცია მის გარეშეც უნდა გაკეთდეს.

**- გამოცდილი ფსიქოთერაპევტისა და კონფლიქტოლოგის აზრით, რა გარემო პირობებშია ადამიანი ყველაზე დესტრუქციული?**

- ამ შეკითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს. აგრესიის მუხტის რეალიზებას ყველაზე მეტად გაურკვევლობა უწყობს ხელს. აგრესიის გამოვლენის შანსი მაშინ არის, როცა ბინდდება და კონტურები გაურკვეველია (რა თქმა უნდა, მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ). როგორც კი კონტურები იკვეთება, აგრესია გზას ველარ იკვლევს და ტვინში მაკონტროლებელი მექანიზმები ილვიძებს. ამიტომ არის საძიებელი მოსახლეობის ანალიტიკური ნაწილი, რომელიც აგრესიულად კი არ შეხედავს ვითარებას და თავად კი არ განიმუხტება (რაც ახლა ხშირად ხდება ცნობილ ადამიანთა შეკრებებზე), არამედ სიტუაციის განმუხტვაზე იზრუნებს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნოდარ სარჯველაძე "24 საათის" რედაქციაში.

ხელისუფლებას საშუალება რომ ჰქონდეს, პერმანენტული რევოლუციის იდეით იმუშავებდა, რევოლუციას რევოლუციაზე გადააბამდა - დაჭერები არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის, არამედ ამ იდეის გატარების მცდელობა და გამოხატულებაც არის.

დღეს დემოკრატიულ სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა სტიგმის წინააღმდეგ, ანუ სალანძღავად არ უნდა გამოიყენო ფსიქიატრიული ტერმინები, ეს დღეს არ შეიძლება.

აჭარელი ხალხი სამასწლიანმა გაჭირვებამ დააბრძენა. მათი სიბრძნის ძირითადი ღერძი სიფრთხილე და წინდახედულებაა. როცა ხმა სააკაშვილს მისცეს, ეს გაღიზიანებული ხალხის წინდახედული ნაბიჯი იყო. ასევე ფრთხილ და წინდახედულ ნაბიჯს გადადგამენ აბაშიძესთან მიმართებაშიც. ისინი სარისკო ნაბიჯებს არ გადადგამენ, ცენტრი კი მათგან სწორედ რისკიან ნაბიჯებს მოითხოვს.

აბაშიძის წინაშე ახლა მხოლოდ ერთი ამოცანა დგას - რაც გააჩნია, იმის დიდხანს შენარჩუნება, დროის გახანგრძლივება. შეუძლებელია, მან არ იცოდეს, რომ ნიადაგი გამოცლილი აქვს და ისტორიამ ის დაუნდობლად მოისროლა.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ჯონ ოსბორნი
"მოიხედე მრისხანების ჟამს"
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"მიწებებულები"
დას: 12:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
14:30 სთ.

"ბლუბერი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"ბლუბერი"
დას: 12:00; 14:15 სთ.

"მიწებებულები"
დას: 17:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
19:15; 21:30 სთ.

## გამოფენა

**New Art**
"ნიუ არტისა" და კოდაკ "ფოტოსამყაროს" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების (ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 18 მარტს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება", ვახუშტი კოტეტიშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები

**პარასკევს, 19 მარტს,** 17 საათზე შექსპირის "ვენერა და ადონისი" (პრეზენტაცია); ქართული თარგმანის ავტორია მედეა ზაალიშვილი

**შაბათს, 20 მარტს,** 17 საათზე – პაატა ამონაშვილის "სხივთა კონა" (პრეზენტაცია).

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## მოყვარული ფოტოხელოვანების გამოფენა


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გამოფენაზე*

გალერეა "ნიუ არტში" გუშინ მოყვარული ფოტოხელოვანების - ნათია სიხარულიძის, გურამ ადამიას, ხათუნა გოგიშვილის, ნინო ჯაკონიასა და ნატო სიხარულიძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ფოტოხელოვანებმა, ძირითადად, საკუთარ სახელოსნოში გადაღებული 80-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს. "ბოლო დროს გამართულ ფოტოგამოფენებში ძირითადად სოციალურ თემაზე შექმნილი ნამუშევრები სჭარბობს. ჩვენ ყველანაირად შევეცადეთ, ამ თემატიკისთვის გვერდი აგვევლო" - აღნიშნა საუბრისას "ნიუ არტის" აღმასრულებელმა დირექტორმა ნანა ყირმელაშვილმა.

მოყვარულები ფოტოხელოვნებას კავშირში - "ნიუ არტი და ფოტოგრაფია" - სამ თვეში დაეუფლენ.

***ინტერ-პრესი***

## პერსონალური გამოფენა "უნივერსში"

გალერეა "უნივერსში" გუშინ ლია ურუმაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე თითოეული ნამუშევრის გვერდით საგანგებოდ მისთვის დაწერილი ლექსები იყო წარმოდგენილი.

"ჯერ ნამუშევრებს ვქმნი და შემდეგ ლექსებს ვუსადაგებ" - აღნიშნა ურუმაშვილმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ხატავს, თუმცა დღემდე მხოლოდ ჯგუფურ გამოფენებში იღებდა მონაწილეობას.

გამოფენაზე 60-მდე გრაფიკული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მათი უმეტესი ნაწილი მხატვარმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნა.

# ქართული გენის საუკეთესო წარმომადგენელი

### გარდაიცვალა გოგი გელოვანი

დიმიტრი ხვთისიაშვილი


*გოგი გელოვანი სპექტაკლში "რას იტყვის ხალხი"*

გუშინ, 17 მარტს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, გიორგი (გოგი) გელოვანი.

გიორგი გელოვანი მარჯანიშვილის სახელობის თეატრისათვის (სადაც მთელი შემოქმედებითი ცხოვრება გაატარა) და საერთოდ, ქართული თეატრისათვის, უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ერთი რიგითი მსახიობი.

რაში მდგომარეობდა მისი ფენომენი? რა იყო ის ძალა, რომელიც წლებით დახუნძლულ ადამიანს დღემდე საოცარ ხიბლს და ნამდვილ ქართულ, ვაჟკაცურ, თუ გნებავთ, რაინდულ სახეს ანიჭებდა?

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბოლო წლების რეპერტუარს თუ გადავავლებთ თვალს, იგი იშვიათად ან თითქმის აღარ ჩნდებოდა სცენაზე და მაინც, აუცილებელი ადამიანი იყო დასში.

პირველ ყოვლისა, იმით იყო გამორჩეული, რომ ქართული გენის საუკეთესო წარმომადგენელი გახლდათ, სულით ხორცამდე თავადი, გელოვანების დიდებული გვარის ღირსეული მემკვიდრე... მეორე – იმით, რომ გადაყოლილი იყო ახალგაზრდებზე, სულ მათთან ფუსფუსებდა, ჭკუას ასწავლიდა, თანაც საოცარი სიფრთხილითა და კეთილგანწყობით... მესამე და, ალბათ, უმთავრესი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული, ბატონი გოგი პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერას. უამრავმა მსახიობმა სწორედ მისი წყალობით "ამოიღო ხმა".

მისთვის დასვენების დღე არ არსებობდა. იგი მუდამ თეატრში იყო; თუ რეპეტიცია ან სპექტაკლი არ ჰქონდა, მაშინ მისი საგრიმიორო ოთახიდან ქართული სიმღერის საოცარი ჰანგები მოისმოდა. ხშირად მარტოც იყო... ძველ სიმღერებს იხსენებდა, თხზავდა, სხვადასხვა ვარიაციებს აკეთებდა...

მისგან მსმენია – მე ყველას ვცდი, ზოგს ქართული სიმღერის მოსარევი სმენა არა აქვს, ზოგს – ხმა, მაგრამ მერე რა? თუ სხვას ვერაფერს მივაღწევ, კარგ მსმენელს, კარგ შემფასებელს ხომ გავზრდიო... მე მგონი, არც ეს იყო ცოტა.

სუფრასთან ხომ მასთან ყოფნა ერთ რამედ ღირდა. ხშირად შეხუმრებიან კიდეც, თამადის ინსტიტუტი უნდა დაგიარსოთო. ამას იგი საოცარი სიმსუბუქით, ლხინისათვის და არა ღრეობისათვის დამახასიათებელი ეშხით აკეთებდა, არ დაგღლიდა, არ მოგაწყენდა, თან თუ თვითონ თამადობდა, მასზე მეტს არ დაგალაპარაკებდა, არა იმიტომ, რომ ეშინოდა, მასზე უკეთესად არ ჩამოგეყალიბებინა სათქმელი, არა! უბრალოდ თვლიდა, რომ თამადა სუფრის ხელმძღვანელია, "დიქტატორია" და რომ "დემოკრატია" ამ შემთხვევაში არეულობის ხელისშეწყობაა და მეტი არაფერი; ხელოვნების რანგში აყვანილი მისი ეს რიტუალი სწორედ ამიტომაც იყო გამორჩეული.

არავის პატიობდა ქალის უპატივცემულობას. მის გარემოცვაში მყოფთ რაინდული თვისებების გამომუშავებას ავალდებულებდა.

გოგი გელოვანი ქართული ლიტერატურის, პოეზიის საოცარი პატივისმცემელი გახლდათ. დაინტერესებული იყო მეცნიერული მიღწევებითა და აღმოჩენებით... თავს არ იზღუდავდა, მისი ინტერესთა სფერო არ შემოფარგლულა მხოლოდ ერთი დარგით. გიორგი გელოვანი მრავალფეროვნებისა და მრავალსახოვნების მოტრფიალე კაცი იყო და ამასაც ქართული სიმღერის პოლიფონიისა და მრავალხმიანობის საიდუმლოს ამოხსნის დარად ახერხებდა.

მსახიობის გამოსათხოვარ წერილში მის შემოქმედებაზე წინ ბატონი გოგის სხვა ღირსებებზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მიმაჩნია მისი დაკარგვით ჩვენი საზოგადოება, უპირველესად, რაინდული თვისებებით აღსავსე პიროვნებით გაღარიბდა...

ოთხმოცამდე როლი მარჯანიშვილელთა სცენაზე, ორმოცამდე კინოფილმი, უამრავი მუსიკალურად გაფორმებული სპექტაკლი, თუ ამას დავუმატებთ მის საკონცერტო მოღვაწეობას – საკმაოდ სოლიდურ და შთამბეჭდავ შემოქმედებით გზას დავინახავთ.

მაყურებლის გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა ალექსანდრე ჯინჭარაძე "ძველ ვოდევილებში", სადაც ბატონი გოგი ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ელენე ყიფშიძესა და ვასო გოძიაშვილს. საინტერესო სცენური სახეები შეიქმნა სპექტაკლებში: "რას იტყვის ხალხი", "რაიკომის მდივანი", "ბაფთიანი გოგონა", "მეფე ერეკლე", "რომეო და ჯულიეტა", "ძია ბაღდასარი", "წმინდანები ჯოჯოხეთში", "ბერიკონი", "გმირთა ვარამი", "კვაჭი კვაჭანტირაძე", "დიდოსტატის მარჯვენა", "შენსკენ სავალი გზები", "გრაალის მცველნი", "მილიონერი ნეაპოლი", "ძეცდომილი", "ყვარყვარე" (ამ უკანასკნელში, გენერლის როლი ბოლო აღმოჩნდა გოგი გელოვანისათვის).

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი შემოქმედებითი შეხვედრა, ჩემს პირველ რეჟისორულ ნამუშევარში "ქამუშაძის გაჭირვება". გარდა იმისა, რომ ასრულებდა სევასტის როლს, იგი გახლდათ სპექტაკლის ლოტბარიც. მის მიერ ამ წარმოდგენისათვის შერჩეული იმერული სიმღერები და მოტივები, ზუსტად ესადაგებოდა სპექტაკლის ტონალობას, სათქმელსა თუ რიტმს.

გიორგი გელოვანს არ დასცალდა გარემონტებულ და განახლებულ, მისთვის უსაყვარლეს, მარჯანიშვილის თეატრში გაეგრძელებინა შემოქმედებითი ცხოვრება.

თბილისმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილი, გამორჩეული ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი საოცარი ერთგულებით, მეგობრებისათვის თავგადადებული კაცი, ყველას ქომაგი და მრჩეველი, ეროვნული სულით გაჟღენთილი, საქართველოს წარსულისა თუ აწმყოს მოყვარული და ჭირისუფალი - კაცი, რომელიც ცხონებულმა ოთარ მამფორიამ "რესტავრირებულ ტაძარს" შეადარა.

# რა იცით ავეჯის შესახებ?

ანა კორძაია-სამადაშვილი

### გაიარეთ სადარბაზოებში!

ერთ კერძო ანტიკვარულ გალერეას თავის ინტერნეტ-გვერდზე განსაკუთრებით საამაყო ექსპონატებთან ერთად ხელსაქმის მაგიდაც აქვს გამოტანილი – რვა ფოტოსურათით და ძირითადი მონაცემებით: "ლუი მაჟორელი, საფრანგეთი, 1900-იანი წლები, არტ ნუვო. 82X59,5X35,5 სანტიმეტრი". ეს წითელი ხის ნაკეთობაა, ბრინჯაოს დეტალებით დამშვენებული, "მარკიტრის" ტექნიკით შესრულებული. შესანიშნავი ნივთია, კერძო კოლექციონერებისთვის, გალერეებისთვის და სათანადო დონის ინტერიერების დიზაინით დაკავებული პირებისთვის უაღრესად საინტერესო, და ასეთი ნივთი მისთვისაც კი ჩინებული საჩუქარია, ვისაც სხვა ყველაფერი უკვე აჩუქეს.

მაგრამ მსგავსთა ნახვა საქართველოში მცხოვრებლებს მხოლოდ ინტერნეტ-გვერდზე, ანტიკვართა კატალოგებში ან "მდიდრებთან" როდი შეუძლიათ. ის შეიძლება საკუთარი ბინის კუთხეშიც აღმოაჩინოთ ან სოლოლაკისა თუ ჩუღურეთის "კომუნალკად" ქცეული სახლის სადარბაზოშიც. მრავალი წელი სოცრეალიზმის დიქტატით მსგავს ავეჯს არად ვაგდებდით, ბოლო დროს კი ეს კულტურული ფასეულობები საქართველოდან დიდი ოდენობით გაიზიდა და ნაწილობრივ ღუმელშიც კი იყო შეკეთებული. ერთ დროს მათი ადგილი გაპრიალებულ, უსახურ "კედელებს" ეკავა, ამჟამად კი კარგ ტონად მიჩნეული ევრორემონტის ფონზე, როგორც წესი, ასეთივე "კასტრირებული" ავეჯი იწონებს თავს.

არადა ის, რაც ბებიებმა და ბაბუებმა დაგვიტოვეს, ნამდვილად არ იმსახურებს არც გადაყრას და არც სოფელში გამგზავრებას. ასეთი ნივთები ჩვენთვის საოცნებო და მისაბაძ დასავლეთში საუკეთესო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია წარმოდგენილი, და იქიდან ჩამოსული და საქმეში ჩახედული კაცი აუცილებლად გადაუსვამს ხელს თქვენს ტანსაცმლის კარადას – იმას, თქვენ რომ არასდროს არაფრად აგდებდით: "ორიგინალ!" დიახ, ორიგინალურია, ხელნაკეთი, ნამდვილი ხისა. ერთი ისაა, რომ ოციოდე წლის წინ, როგორც მოგახსენეთ, ყველას ჰქონდა, და ამიტომ არაფრად მიგაჩნიათ და სადარბაზოში გაქვთ გაძევებული.

### ტიფლისური ბუფეტი

თურმე, იმ ბუფეტს, რომელიც, ზემოთხსენებული კარადისა არ იყოს, ლამის ყველა ოჯახში იდგა, საგანგებო სახელიც კი ჰქონია: "ტიფლისური ბუფეტი". ასეთი ნივთი აუცილებლად გექნებათ ნანახი: როგორც წესი, სამნაწილიანია, თავსა და ზედა განყოფილების კარებს სარკეები უმშვენებს. გარდა იმისა, რომ გარეგნულად ფრიად სიმპათიურია, ტევადიც გახლავთ, და საერთოდ, ყველა ნიშნით სჯობს დუბაიდან ჩამოტანილ და მამასისხლად ნაყიდ დესაუს – თუ დესაოს, დღემდე ვერ დავადგინე.


*სტუმრად ანტიკვართან*

თურმე, ეს ბუფეტები ხელწამოსაკრავი ნივთი არ ყოფილა. თურმე ოდესღაც, საუკუნის დასაწყისში, მათი დამზადება ჩამოსულმა ოსტატებმა თავიანთ შეგირდებს ასწავლეს – ინვესტიციაც ასეთი უნდა! და მას შემდეგ შეგირდები თავად აკეთებდნენ "ტიფლისურ ბუფეტებს". ამ ნივთის შეძენის მსურველი ოსტატს უკავშირდებოდა, ისიც სახლში ეახლებოდა და იქვე აუგებდა ისეთს, როგორიც იმ ოთახისთვის იყო საჭირო, ინტერიერისა და, ცხადია, დამკვეთის ჯიბის გათვალისწინებით. დაკვირვებიხართ, რომ ამ ერთნაირი ბუფეტებიდან ერთნაირს ორსაც ვერ იპოვნით? სწორედ იმიტომ, რომ მათი სერიული წარმოება არ არსებობდა, მათ თქვენთვის ამზადებდნენ, საგანგებოდ თქვენი ოთახისთვის და თქვენთვის.

და თუკი ექსკლუზიური ტანსაცმელი მოგვწონს, თუკი არ გვინდა, რომ ვინმეს ზუსტად ჩვენნაირი ფარდა ეკიდოს, რატომ ვამჯობინებთ მაგული ბიცოლას თუ თათიასნაირ ფსევდო-რენესანსულ ავეჯს იმას, რაც ოდესღაც ჩვენთვის, ჩვენი ერთადერთი და განუმეორებელი სახლისთვის, ერთადერთმა და განუმეორებელმა ოსტატმა ააგო?

### რესტავრატორ-რეანიმატოლოგი

სტილის გარდა, ძველ ნივთებს იმის გამოც ერჩიან, რომ ისინი დაძველდა: ბუფეტს სარკეები ჩაუტყდა და უჯრები ძნელად იხურება, ვენური სკამები მოირყა და ჭრიალებს, კარადაში რაღაც გაუგებარი სუნია... მაგრამ ამ საქმეს სულ იოლად ეშველება, რადგან ამქვეყნად არსებობენ ავეჯის რესტავრატორები, რომლებმაც ზუსტად იციან, რა ეშველება "პაციენტს". შველით კი, როგორც გავიგე, ყველას ეშველება.

მთავარია, ოსტატი იპოვნოთ და არა ისეთი ვინმე, როგორსაც ერთი არქიტექტორი ქალბატონი გადაეყარა. რესტავრაციის შემდეგ მისმა სკამებმა ფრიად უზრდელური თვისება შეიძინეს: იჩქმიტებიან, და როცა შეწუხებული წამოდგომას ეცდებით, ძალიან საეჭვო ხმას გამოსცემენ. მე კი ძალიან გამიმართლა – ერთ ძალიან საინტერესო კაცთან აღმოვჩნდი სტუმრად - ბატონ იური ხარლამოვთან, რომელიც ამ საქმის საუკეთესო მცოდნეც ბრძანდება და ჩინებული მთხრობელიც.

ერთხელ ბატონმა იურიმ ბაბუამისის სკივრში ხელნაწერებს მიაგნო. ბაბუის პროფესიას ჰქვია позолотчик – ქართულად ვერაფრით ვთარგმნე ისევე, როგორც მის მიერ გამოყენებული მასალის, сусальное ოქროს სახელწოდება. ეს უთხელესი ოქროს ფურცლებია, 60 ფურცელი მხოლოდ 1,2 გრამ ოქროს შეიცავს. "პოზოლოტჩიკები", ძირითადად, ეკლესიებისთვის მუშაობდნენ, ხატმწერებსაც ისინი უმზადებდნენ ოქროს ფონს, რომელზეც შემდეგ ხატი იქმნებოდა, და ამიტომაც ანათებს მათზე გამოსახულ წმინდანთა სახეები.

მე კი იმას მოგახსენებდით, რომ ბატონმა იურიმ ბაბუის სამუშაო ჩანაწერები იპოვნა, შეისწავლა, და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვში აღმოჩნდა, კრემლში, თავისი ოსტატობის საჩვენებლად და სამუშაოდ.

სწორედ იმ დროს – ამას, ალბათ, ბედისწერა ჰქვია, - საბჭოთა კავშირის ჰოკეისტებმა კანადელთა დამარცხება შეძლეს, რაშიც დიდი წვლილი ვალერი ხარლამოვს მიუძღვოდა. ხარლამოვი ლამის ეროვნულ გმირად იყო აღიარებული, და მოსკოვში ჩაბრძანებულ მის ახალგაზრდა მოგვარეს, თან ჭაჭით და მსგავსებით აღჭურვილს, კრემლში მუშაობის ნება დართეს – კრემლის კომენდანტის, შატალინის საშვით მან ორი კვირა იმუშავა და იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა, 475 მანეთი მიიღო! ბატონმა იურიმ მიამბო, რომ ამ ფულით "მეტროპოლში" დიდი სუფრა გაიშალა, და მას შესანიშნავი საჩუქარი გადასცეს, უზარმაზარი ყუთი, რომელშიც მისი პროფესიის კაცისთვის ყველა აუცილებელი ნივთი ეწყო.

მაგრამ, როგორც ბატონმა იურიმ ბრძანა, ოქროს ცხოვრებაც დამთავრდა და ოქროც – ვინღა დაგიდევს მოოქროვილ ნივთებს! და მან ახალ, არანაკლებ საინტერესო საქმეს მიჰყო ხელი: ავეჯის რესტავრაციას, ისეთივე რუდუნებით, როგორითაც უწინ ნაკეთობებს ოქროს უთხელეს ფენას ადებდა.

ამჟამად მასთან ერთად მისი ვაჟი, ოსტატები და შეგირდები მუშაობენ. მისი თანამშრომელი ქალბატონი ვერა, Золотая Ручка, ერმიტაჟის შეკვეთითაც "კურნავს" ავეჯს. ბატონმა იურიმ თავისი ყველა "პაციენტის" შესახებ ყველაფერი იცის – საიდან მოაბრძანეს, ვინ და როდის გააკეთა. მისი თქმით, ზოგიერთებმა მაინც "გაილვიძეს" და მიხვდნენ, როგორი არაჩვეულებრივი ავეჯი უდგათ სახლში.

■ ■ ■

მე ადრეც ძალიან მომწონდა ჩემი ბუფეტი, მაგრამ ბატონ იურისთან სტუმრობის შემდეგ ერთიათად მომწონს. ისეთივე ამბავია, გვერდით მყოფი ადამიანის შესახებ რომ არაფერი იცი და უცებ აღმოაჩენ, რომ ის სწორედ ის ყოფილა... გაწმენდას ვეცადე, მაგრამ ბევრი არაფერი გამომივიდა, და ალბათ ისევ ბატონ იურის ვთხოვ, თვალი შეავლოს და მითხრას, რა უჭირს და რა ეშველება. ასე უყურადღებოდ რატომ უნდა იდგას, ტიფლისური ბუფეტია, ბოლოსდაბოლოს!

# ველური პენი

"მისტიკური მდინარე" თბილისში

ირაკლი მახარაძე

რამოდენიმე წლის წინათ ჟურნალმა The Civilized Man-მა გამოაქვეყნა საინტერესო სია ე.წ. "ველური" ადამიანებისა, რომელთა გარეშეც "მსოფლიო ძალზე მოსაწყენი, უფერული და, ამავე დროს, ალბათ, უფრო წყნარი და ცივილიზებული იქნებოდა". ეს სია გარდაცვლილ "ველურებთან" ერთად ასიოდე სახელს ითვლის. აი, ზოგიერთი მათგანი: ტედ ტერნერი, ჯონ მაკინროი, ჯერი ლი ლუისი, ნიკ ნოლთი, რობერტ დე ნირო, ბორის ელცინი, ქით რიჩარდსი, დენის ჰოპერი, ტომ კრუზი, ედი მერფი, დონალდ ტრამპი, შერი, პრინცესა სტეფანი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი, ჯონ ბელუში, არისტოტელე ონასისი, ნიკიტა ხრუშჩოვი...

ჟურნალი ასე ახასიათებს ველურებს: "ნამდვილი ველური სხვა ადამიანებისაგან თავისი მოულოდნელი მოქმედებითა და ქცევით, ჩაცმულობით განსხვავდება. ნამდვილი ველურობა შინაგანი თვისებაა და ველურობის თამაში შეუძლებელია. მაგალითად, ჯერი ლი ლუისი ველურია, მაგრამ ვინც მას ბაძავს, ის უკვე ველურად აღარ ითვლება...

შეიძლება ადამიანი გარეგნულად წყნარი და მშვიდი ჩანდეს, მაგრამ ველური იყოს თავის პროფესიაში...

ველური ადამიანი რაღაც შინაგან, გიჟურ ხმას მიჰყვება, რომელიც მხოლოდ მას ესმის და ხშირად ამ ხმის კარნახით მოქმედებს. თუ გარშემო მყოფთათვის ველურის საქციელი არანორმალური და არაბუნებრივია, მისთვის ეს ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ველური არასოდეს დაუშვებს რათა საზოგადოების აზრი წინ აღუდგეს მის ველურობას, რადგან მიაჩნია რომ იგი ყოველთვის სწორად იქცევა.

ველურმა იცის, როდის უნდა გარისკოს - პოლიტიკაში იქნება ეს, ბიზნესსა თუ კინოში..."

ზუსტად ერთმა ასეთმა "ველურმა" მიიღო წელს "ოსკარი" მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის, ეს არის მსახიობი და რეჟისორი შონ პენი. არავის ეგონა რომ იგი გაიმარჯვებდა, რადგან პენი ცნობილია თავისი უკიდურესად მწვავე, უკომპრომისო გამოხტომებითა და დამოკიდებულებით ჰოლივუდისა და ისთებლიშმენტის წინააღმდეგ (მან თავისი ოჯახიც კი განარიდა ჰოლივუდს, რათა მისი შვილები "ოცნებათა ფაბრიკის" გავლენის ქვეშ არ მოჰყოლოდნენ), აგრეთვე თავისი ანტისაომარი გამოსვლებით, სადაც პრეზიდენტს ბუშს უწუნებდა ომის პოლიტიკას ერაყში (იგი სამი დღით ბაღდადშიც კი იყო ჩასული, რის გამოც ოფიციალური წრეები ვაშინგტონში აღშფოთებას ვერ მალავდნენ და მოუწოდებდნენ მსახიობს, რათა საჯაროდ ბოდიში მოეხადა, რაზეც პენმა უარი განაცხადა). გასაგებია, რომ ასეთი ფიგურა უმრავლესობას გულზე არ ეხატება; მოგეხსენებათ, მეამბოხეები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უყვარდებათ ხოლმე, რადგან იციან რა რომ ისინი უკვე ვერაფერს მოიმოქმედებენ, და ამიტომაც, წყნარად შეიძლება მათი ღვაწლის დაფასება. მაგრამ აქ თამაშდება რაღაც სხვა სცენარი, შეიძლება ეს არის ჰოლივუდის "მზაკვრული" ხერხი მსახიობის გადაბირებისა (პენი უკვე სამჯერ იყო ნომინირებული ოსკარზე) ან კიდევ კინოაკადემიკოსები ვერ აღუდგნენ ჭეშმარიტ ნიჭიერებას და მერწმუნეთ, ის, თუ როგორ ითამაშა პენმა ქლინთ ისთვუდის "მისტიკურ მდინარეში" ნამდვილად დაფასების ღირსია (ასევე კარგი სასწავლო მაგალითია ბევრი ჩვენი მსახიობისათვის, თუ როგორ შეიძლება ძუნწი დეტალებით მძაფრი ემოციების გამოხატვა ყვირილის, ხელების ქნევის და "როჟების კერვის" გარეშე, რაც მსახიობთა უმრავლესობას ახასიათებს). ხოლო ცოცხალი კლასიკოსის, ქლინთ ისთვუდის ფილმი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ თურმე ყველანაირი ელფების, ჰობიტების, მაჯლაჯუნებისა და ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშეც შესაძლებელია მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა.

ერთხელ შონ პენი სპორტულ ჟურნალში "რინგი" შემთხვევით წააწყდა კარგად მოკრივე ათი ცნობილი მსახიობის სიას და კოლეგებს რომ არ ჩამორჩენოდა, გადაწყვიტა ვარჯიში დაეწყო მძიმე წონის მოკრივესთან. თუ რა შედეგებს მიაღწია, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მისი "არაოფიციალური" მატჩების არასრული სია შთამბეჭდავია.

1985 წელი, ნეშვილი. გადაღებებზე მყოფ პენთან სანახავად მისი მეგობარი მადონა ჩამოვიდა. ცნობილ წყვილს ორი ინგლისელი ჟურნალისტი აეკიდა და მათი ფოტოგადაღება მოინდომეს. პენს მოთმინების ფიალა აევსო და ისინი უზარმაზარი ქვის მეშვეობით გააგდო.

1986 წ. მაკაო. პენი და მადონა "შანჰაის სიურპრიზის" გადაღებაზე იმყოფებოდნენ (ეს მათი ერთადერთი ერთობლივი ფილმია, რომლის პროდიუსერი ჯორჯ ჰარისონი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ კომედიაში "ბრმა პაემანი" ამ წყვილს უნდა ეთამაშა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო პენი ბრიუს უილისმა შეცვალა, რის გამოც მადონამ ფილმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და მისი ადგილი კიმ ბესინჯერმა დაიკავა). სასტუმროში ლიფტიდან გამოსულ წყვილს სამალავიდან გამოსულმა პაპარაციმ ფოტო გადაუღო. პენი მას ეტაკა და მცველმა ძლივს გააგდებინა ხელიდან საცოდავი ფოტოგრაფი.


შონ პენი და მადონა

1986 წ. ლოს ანჯელესი. ღამის ბარში კომპოზიტორი დეივიდ ვოლინსკი ესაუბრებოდა თავის ძველ მეგობარს მადონას. ეჭვიანი პენი გაბრაზდა: "რატომ ცდილობდი ჩემი ცოლის კოცნას?" ვოლინსკიმ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ პენმა ორი მშვენიერი დარტყმით იგი სკამიდან გადმოაგდო და შემდეგ ეს სკამიც ლამის თავზე გადაამტვრია.

1987 წ. კალიფორნია. კინოფილმ "ფერების" გადაღების დროს (ფილმის რეჟისორია ცნობილი "ველური" დენის ჰოპერი. სხვათა შორის, პენმა თავის ვაჟს სახელი დაარქვა მეგობრების, ჰოპერისა და ჯეკ ნიკოლსონის პატივსაცემად - ჰოპერ ჯეკი) სტატისტმა ჯეფრი ქლეინმა პენს სურათი გადაუღო. მსახიობმა ეს შენიშნა, მივარდა მას და ჩხუბი აუტეხა. ქლეინმა აუხსნა რომ იგი სტატისტია და, რომ მის გარდა ფოტოებს სხვებიც იღებდნენ. მაშინ პენმა მას სახეში შეაფურთხა, ქლეინმაც არც აცია, არც აცხელა და საპასუხოდ ერთი მაგრად შეაფურთხა. მაგრამ, მან არ იცოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე, გაშმაგებულმა მსახიობმა მას ცემა დაუწყო. იქვე მყოფი ხალხი შეეცადა მის დაშოშმინებას, მაგრამ პენის დაკავება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა, იგი სამჯერ დაუსხლტა გამშველებლებს და სტატისტი კინაღამ შემოაკვდა. "იგი ძალიან წააგავს ბრაზიან ძაღლს, რომელიც უმიზეზოდ და თანაც მტკივნეულად იკბინება" - აცხადებდა ქლეინის ადვოკატი.

ვოლინსკის ინციდენტთან დაკავშირებით პენს ჯარიმის სახით 1700 დოლარი გადაახდევინეს და 12 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. ქლეინის ცემისათვის კი მას 60 დღით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა გამონაკლისის სახით საშუალება მისცეს გერმანიაში გამგზავრებულიყო ფილმის დასამთავრებლად. გადაღებების შემდეგ იგი კვლავ ციხეს დაუბრუნდა და სასჯელს იხდიდა ციხის იმ ნაწილში, რომელსაც "ადმინისტრაციული სეგრეგაცია" ერქვა. პატიმრები იქ ბევრად უფრო უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ და ეს სიამოვნება პენს დღეში 80 დოლარი უჯდებოდა. სამაგალითო ქცევისათვის მსახიობი 32 დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

პენი ცნობილია არა მარტო თავისი მუშტი-კრივის წყალობით, მის სასიყვარულო თავგადასავლებზეც ბევრი დაწერილა. ჰქონდა რომანი ბრიუს სპრინგსტინის დასთან, მსახიობ ელიზაბეთ მაქგოვერნთან და სიუზენ სარანდონთან, რომელიც მასზე 17 წლით უფროსია (მოგვიანებით, სარანდონი ცოლად გაჰყვა მსახიობსა და რეჟისორს ტიმ რობინსს; რობინსის ფილმში "მკვდარი მოდის" (1995) მსახიობებმა ერთად ითამაშეს, რისთვისაც სარანდონი "ოსკარით" დააჯილდოვეს, ხოლო პენი ნომინაციით. წელს კი პენთან ერთად "ოსკარი" რობინსმაც დაიმსახურა "მისტიურ მდინარეში" მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისათვის). ყველაზე მღელვარე რომანი, რომელიც ქორწინებით დასრულდა შონ პენს მადონასთან ჰქონდა. ამ ორი ნიჭიერი და არაორდინარული პიროვნების ერთობლივი ცხოვრება მშვიდი არასოდეს ყოფილა, მათ შორის განუწყვეტელი ჩხუბი და სკანდალი იყო, რაც ბოლოს განქორწინებით დასრულდა.

შონ პენი დაიბადა 1960 წლის 17 აგვისტოს ბერბენქში, კალიფორნიაში ტელერეჟისორ ლეო პენისა და მსახიობ ეილინ რაიანის ოჯახში. სხვათა შორის, მამამისი მაკარტიზმის პერიოდში შავ სიაში იყო შეტანილი და დიდი ხნის განმავლობაში თავის საქმეს იყო მოწყვეტილი. ბავშვობაში შონი თავის ძმასთან, ასევე მსახიობ ქრისთან ერთად რვა მილიმეტრიანი კამერით იღებდა სიუჟეტებს განგსტერებისა და პოლიციელების შესახებ. შონ პენი სანტა მონიკას კოლეჯში ავტომექანიკოსობის ხელოვნებას ეუფლებოდა, მაგრამ მალე თავი მიანება და მოღვაწეობა თეატრში დაიწყო. პენი იმ ამერიკელი მსახიობთა მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომელსაც სცენური გამოცდილება გააჩნია. როდესაც 80-იან წლებში მსახიობმა ითამაშა პიესაში Hurlyburly (1998 წელს ამ პიესის ეკრანიზაცია გაკეთდა პენის მონაწილეობით), ავტორმა, დეივიდ რეიბმა განაცხადა: " ...ვიცოდი, რომ პენი კარგი მსახიობია, მაგრამ ვერც კი წარმომედგინა თუ მისი ოსტატობა ასეთ მაღალ დონეზე იყო."

მისი კინოდებიუტი 1981 წელს, ჰაროლდ ბექერის ფილმში "კადეტებში" შედგა, რასაც კარგი რეცენზიები მოჰყვა და მას ზედიზედ იღებენ ფილმებში. ყველა უწინასწარმეტყველებდა მშვენიერ კარიერას, მაგრამ ყველას გასაკვირად შონ პენი დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ირჩევდა როლებს, ხშირად ამბობდა უარს კომერციულ პროექტებზე. "თქვენ ვერ გადამიხდით 20 მილიონ დოლარს იმ ტიპის ფილმებში, რომლის გაკეთებაც მე მსურს. ერთიორჯერ იყო შემთხვევა ისეთი ფილმების გაკეთებისა, რომელიც დიდ ფულს მომიტანდა. ვიწყებდი სცენარის კითხვას და ვაფიქსირებდი, თუ რამხელა ფული იყო იქ ჩადებული და ვეძებდი მიზეზს რომ გამეკეთებინა ის, მაგრამ ასეთ მიზეზს ვერ ვპოულობდი", აცხადებდა პენი. თუ გადაავლებთ თვალს მის ფილმოგრაფიას იქ ე.წ. "ხალტურას" თითქმის ვერც კი მოძებნით ერთი-ორი განმონაკლისის გარდა. მაგრამ ზუსტად ამ "ხალტურამ" აალებინა ხელი პენს მსახიობობაზე და მან 1990 წელს განაცხადა კიდევაც, რომ იგი მეტს აღარ ითამაშებდა. 90-იან წლებში მან რეჟისურასაც მიჰყო ხელი, გადაიღო სამი ფილმი: "ინდიელი მორბენალი" (1991), რომელშიც ჩარლზ ბრონსონმა თავისი ამპლუასათვის უჩვეულო და, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო როლი შეასრულა, აგრეთვე Crossing Guard (1995) და "ფიცი" (2001) ჯეკ ნიკოლსონის მონაწილეობით. აგრეთვე მან გადაიღო ლაილ ლოვეთისა და პიტერ გებრიელის მუსიკალური კლიპები. საბედნიეროდ, მალე პენმა საკუთარი სიტყვა გატეხა და 1993 წელს ბრწყინვალედ შეასრულა კორუმპირებული და ბინძური ადვოკატის როლი ბრაიან დე პალმას ფილმში "კარლიტოს გზა". მომდევნო ათი წლის განმავლობაში პენმა სხვადასხვა ჟანრის ფილმებში მიიღო მონაწილეობა (ოლივერ სტოუნის "მოსახვევი", თერენს მალიქის "წვრილი წითელი ხაზი", ჯესი ნელსონის "მე ვარ სემი", ქეთრინ ბიგელოუს "წყლის სიმძიმე") და დაამტკიცა, რომ იგი სერიოზული და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობია.

თუ შონ პენის შემოქმედების თაყვანისმცემლები მისგან ახალ-ახალ სიურპრიზებს ელოდებიან, მსახიობის პირადი ცხოვრება წყნარად მიმდინარეობს. როგორც ამბობენ, იგი უკვე აღარ ერჩის ჟურნალისტებს, 40 წლის ასაკში მოწევას თავი დაანება ჯანმრთელობის გაუარესების გამო (პენი დღეში ოთხ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა). 1996 წელს იგი დაქორწინდა მშვენიერ რობინ რაითზე (ამ მსახიობმა ჩვენს მაყურებელს თავი დაამახსოვრა, როგორც თომ ჰენქსის საყვარელმა ფილმში "ფორესთ გამპი"), მათ ჰყავთ ორი შვილი და როგორც რეჟისორი ნიქ კასავეტისი ამბობს: "ამ წყვილის შემხედვარე ყოველთვის ვოცნებობ, ღმერთო მეც მაღირსე ასეთი სიყვარული".

# ამერიკელი ფრანგი

დღეს ლიუკ ბესონი 45 წლის ხდება

სალომე კიკალეიშვილი

რამოდენიმე დღის წინ ფრანგულ ტელეარხ TV-5-ზე ერთ ნაცნობ სახეს წავაწყდი. ამაღლებულ, წვრილ სკამზე საოცრად კომიკურად გამოიყურებოდა: მრგვალი, აბურძგნული თმებით და სევდიანი გამომეტყველებით. ზამთარში, ხის გაყინულ ტოტზე ჩამომჯდარ, გაფუებულ, პატარა ჩიტს მოგაგონებდათ, რომელიც წყნარი გამომეტყველებით უყურებდა გვერდზე ექსცენტრულად მოლაპარაკე რომელიღაც ფრანგ მსახიობს და ჩუმად წამოისროდა დროდადრო მოკლე რეპლიკებს; ეს იყო და ეს. – "არა, არა, მე სრული თავისუფლება მჭირდება გადასაღებ მოედანზე. არ მაქვს სარეჟისორო სკამი ჩემი სახელით, არ მყავს ასისტენტი, ანდა პირადი მენეჯერი. არც ვინმე მჭირდება მრჩევლად" - აცხადებდა ლიუკ ბესონი.

მან მთლიანად შეცვალა წინაპართა ესთეტიკა და ახალი, გამოგონილი, ფანტაზიითა და ბავშვური ოცნებებით სავსე სამყარო შექმნა, წმინდანად შერაცხულიც და უბრალო ქილერიც, ობოლი, აცრემლებული, იარაღმომარჯვებული 12 წლის მატილდა თუ არაამქვეყნიური, ლამაზმანი ლილუ, რომელსაც კაცობრიობის გადარჩენა აქვს დაკისრებული. ტიპური ჰოლივუდი ("მეხუთე ელემენტი") და აბსოლუტურად განსხვავებული, ფრანგული ესთეტიკა ("ცისფერი უფსკრული")... ბევრს არ მოსწონს მისი ფილმები, განსაკუთრებით კი ფრანგებს, რომლებიც "ახალი ტალღის" და მათი "მამების" ფრანსუა ტრიუფოს, ჟან-ლუკ გოდარის, ლუი მალის და სხვათა პრინციპებზე აღზრდილნი, ბესონმა სრულიად ახალ, თავგადასავლებითა და ამერიკული სულით გამსჭვალულ სამყაროში გადაისროლა.

რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი ლიუკ ბესონი, 1959 წლის 18 მარტს წყალქვეშა ცურვის ინსტრუქტორთა ოჯახში დაიბადა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე აღზრდილს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახური ტრადიციის გაგრძელება, თუმცა მიღებული ტრამვის გამო, იძულებული გახდა დაევიწყებინა წყალქვეშა ცურვა, ბავშვობის ოცნება - გამხდარიყო პროფესიონალი მყვინთავი და საბოლოოდ კინოში აღმოჩნდა. მაგრამ ის არაერთხელ დაუბრუნდება ბავშვობასა და აუხდენელ ოცნებებს, მხატვრული ფილმით "ცისფერი უფსკრული", დოკუმენტური "ატლანტისით" თუ თავისი სტუდიის უცნაური სახელით - "დელფინების ფილმი".

"ცისფერმა უფსკრულმა" რეჟისორსა თუ მთავარი როლის შემსრულებლებს, ჟან რენოს და ჟან-მარკ ბარის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ბესონის წყალქვეშა სამყარო (თვითონ იყო წყალქვეშა გადაღებების მთავარი ოპერატორი) და მეგობრის, კომპოზიტორ ერიკ სერას ნაზი, მსუბუქი მუსიკა ერთ დიდ უკიდეგანო სამყაროდ გადაიქცა. ამერიკამ, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული ფილმი, ისევე როგორც საერთოდ, ლუკ ბესონი, არ მოიწონა – ზედმეტად მშრალი და ცივიაო. საფრანგეთში კი... დღესაც სამამულო ფილმების საუკეთესო ათეულში შედის. ჟან რენო მისი თილისმა, მისი "ალტერ ეგო", როგორც ბევრი უწოდებს, მუდმივად მოჩანს ბესონის ფილმებში, რომელიც ჯერ კიდევ 80-იან წლებში, მის ადრეულ მოკლემეტრაჟიან ფილმებში გამოჩნდა.

მოიგონე ერთი საწყალი ადამიანი, შეუქმენი გამოუვალი მდგომარეობა, გადატვირთე ათასი დაძაბული მომენტით და მაყურებელი ნამდვილად აღარ მოშორდება ეკრანს. 1990 წელს გამოდის ბესონის კიდევ ერთი წარმატებული ფილმი "ნიკიტა". ფილმი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ერთი უბრალო, მათხოვარი ქალი სპეცდანიშნულების ქილერი, სადაც პარალელურად სასიყვარულო ისტორია ვითარდება. აქ პირველად გამოჩნდა ბესონთან მკვლელი, გმირი მკვლელი, რომელსაც მისი ყოფილი მეუღლე ან პარილო ასრულებდა. ფილმის პოპულარობას და აშკარა კომერციულ წარმატებას, ჰოლივუდის რიმეიკი და ამერიკული ტელესერიალიც მოჰყვა. ბესონმა კიდევ ერთხელ სცადა წარმატებული თემის გადათამაშება 1994 წლის ფილმით "ლეონი". ამორძალი, ბიჭური გარეგნობის ნიკიტადან, შექმნა წვერგაუპარსავი, პირქუში გამომეტყველების მკვლელი ლეონი, 12 წლის მეწყვილით. სცენარი სპეციალურად ჟან რენოსთვის იყო დაწერილი, ბოლომდე არც აცალა სცენარის წაკითხვა, ისე დაითანხმა ჰარი ოლდმანი, და 2 ათას პრედენდენტს შორის ამოარჩია 12 წლის ნატალი პორტმანი. "არანაირი სიშიშვლე და ძალადობა" – ასეთი იყო პორტმანის მშობლების მკაცრი მოთხოვნა. არადა სცენარი საპირისპიროს მოწმობდა, თან ნატალი ზუსტად ის იყო, ვინც სჭირდებოდა, ამიტომაც ბესონი კომპრომისზე წავიდა და საბოლოოდ ფილმი საგრძნობლად რბილი გამოვიდა, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. ოსტატური თხრობა, თავგადასავალი სისულეებით (როგორც თავად ბესონი ამბობს), დაძაბულობა და ფრანგული სენტიმენტალიზმით გაჟღენთილი "ამერიკული" ფილმი გულგრილს ვერ დაგტოვებდათ გაუნათლებელ, წერა-კითხვის უცოდინარი მკვლელის მიმართ, რომელიც შეიძლება უკეთესი ადამიანი იყოს, ვიდრე "ხალხის სამსახურში მყოფი" პოლიციელი.


ზღვა ბესონის სისუსტეა

ყოველ 5 ათას წელიწადში ერთხელ კაცობრიობა განადგურების წინაშე დგება, მას ბოროტებისა და ქაოსის ძალები ემუქრებიან. 23-ე საუკუნე სწორედ ამ საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. საჭიროა ვიღაცა, ტიპური ამერიკული ფილმების უნივერსალური პიროვნება, რომელიც ბოლო წუთში მთელს კაცობრიობას გადაარჩენს. აბა, ვინ იქნებოდა სუპერმენად ქცეულ ბრიუს უილისზე უკეთესი? რომელიც არ იქნება არც ჭკვიანი მეცნიერი და არც გამჭრიახი, მაღალი ჩინის მქონე სამხედრო, ისევე როგორც ამერიკულ ფილმებშია მიღებული. მსოფლიოს გადამრჩენელი არის უბრალო ტაქსისტი - კორბენ დალასი. "ეს გმირი ჯერ კიდევ ბავშვობაში 16 წლისამ გამოვიგონე, როცა პარიზიდან 60 კილომეტრის მოშორებით გაზრდილი, არც ისე განებივრებული ვიყავი მეგობრებითა და გართობით. ვიგონებდი ახალ, ფანტასტიკურ სამყაროს, საჰაერო მანქანებს..." - იხსენებდა ბესონი. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან წამოსულ ოთხ სასიცოცხლო ელემენტს: წყალს, მიწას, ჰაერსა და ცეცხლს, ბესონმა მეხუთე ელემენტი – სიყვარული დაუმატა, და არაამქვეყნიური არსება ლილუ შექმნა, რომელსაც სამყაროს გადარჩენა დაეკისრა. 80 მილიონიანი პროექტი, ჟან პოლ გოტიეს არამიწიერი, "გიჟური" კაშკაშა კოსტიუმები, 23-ე საუკუნის ფანტასტიკა, ჰოლივუდელი ვარსკვლავებით, ლუკასის "ვარსკვლავთის ომებს" მოგაგონებდათ. მართალია, ამ ძვირადღირებულმა სანახაობამ და აბსოლუტურმა სიჭრელემ, ნამდვილად გაამართლა, საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზით დაჯილდოვდა რეჟისორი და კანის 50-ე კინოფესტივალის გახსნაც ხვდა წილად, მაგრამ ეს მაინც ტიპური ჰოლივუდი იყო, ამერიკა, ფრანგი სპილბერგი, ლუკასი...

2000 წელს გამოსულმა "ჟანა დარკმა" მისი ყოფილი მეუღლის მილა იოვოვიჩის მონაწილეობით შეიძლება ითქვას, საერთოდ ვერ გაიჟღერა, ან ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც თავად რეჟისორს უნდოდა, რომელიც თავის მერვე ფილმს საუკეთესო ნამუშევრად თვლიდა. ლილუს წარმატების შემდეგ კი, ჟანას როლმა იოვოვიჩს "ოქროს ჟოლო" მოუტანა, უარესი უარესთა შორის.

შეიძლება სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ბესონმა უარი თქვა ფილმების გადაღებაზე და ძირითადად საპროდიუსერო საქმიანობით დაკავდა. დღეს ის თითქმის ყველა წარმატებული ფრანგული ფილმის სცენარის ავტორი ან პროდიუსერია ("ვასაბი", "ტაქსი"...)

"არ გადავიღებ ახალ ფილმს, სანამ არ ვიგრძნობ, რომ შემეძლება რაღაც ახლის, განხვავებულის თქმა" – უპასუხა მან ინტერესით შემყურე ჟურნალისტს.

ფეხბურთი

# შუშაკი ტიტულების დაცვას იწყებს

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

დღეს განახლდება საქართველოს მე-15 ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, რომლის მთავარ ფავორიტადაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თბილისის "დინამო" რჩება. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ "დინამომ" უახლოეს მდევართან, თბილისის "ვიტ ჯორჯიასთან" 8-ქულიანი ჰანდიკაპი შეიქმნა, თუმცა, ჩემპიონატის სისტემის თანახმად, მეორე ეტაპზე გუნდებს ქულათა განახევრებული მარაგი გადაჰყვათ. შესაბამისად, ტიტულის დასაცავად მებრძოლ "დინამოს" და მის მდევარ "ვიტ ჯორჯიას" მეორე ეტაპის სტარტზე სულ რაღაც 4 ქულა აშორებთ. არც "სიონია" მაინცდამაინც უკან: ბოლნისელები ვეტერინარებს მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

იმის გამო, რომ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების რაოდენობა 6-მდე შემცირდა, ყოველ ტურში სულ 3 მატჩი გაიმართება. ასე რომ, რომელიმე თამაშის ტურის ცენტრალურ შეხვედრად დასახელება ერთობ რთული საქმე გახდება. ყველა მატჩი თავისებურად ცენტრალური იქნება და ყველა შედეგი სერიოზულ გავლენას მოახდენს სატურნირო ცხრილის საბოლოო ფორმირებაზე. ამდენად, იმის თქმა, რომ ეროვნულ სტადიონზე "დინამოსა" და "ლოკომოტივის" მონაწილეობით დღეს გასამართი მატჩი ცენტრალურია, მხოლოდ იმის გამო იქნება გამართლებული, რომ სწორედ ამ შეხვედრაზე აპირებს დასწრებას და ეროვნული გუნდისთვის კანდიდატების შერჩევას ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი.

ჩემპიონატის განახლებასთან დაკავშირებით გუშინ თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა გამართა ღია ვარჯიში, რომლის დაწყებამდე ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.



ივო შუშაკი გამარჯვებაში დარწმუნებულია

შუშაკის თქმით, "დინამო" სერიოზულად მოემზადა მეორე ეტაპის სტარტისთვის და, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს 4 წამყვანი ფეხბურთელი (ხიზანეიშვილი, ამისულაშვილი, დარასელია, ალექსიძე) გამოაკლდა, "დინამო" ამ სეზონშიც ძველ მიზნებს ისახავს.

"მართალია, ჩემი გუნდის ძირითადი შემადგენლობის 4 ფეხბურთელი სხვა გუნდში აგრძელებს კარიერას, ლადო ბურდული კი ტრავმირებულია, მაგრამ ეს ჩვენს მიზნებზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. ჯერ ერთი, წასულების ნაცვლად რამდენიმე გამოცდილი და რამდენიმე ახალბედა ფეხბურთელი დავიმატეთ. ამას გარდა, "დინამოს" ისედაც აქვს საამისო პოტენციალი, რომ წარმატებით იბრძოლოს შიდა სარბიელზე და როგორც ჩემპიონატში, ისე დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში გაიმარჯვოს.

აქედან გამომდინარე, მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩს "ლოკომოტივთან" დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. პირველი ეტაპის შემდეგ უახლოეს მეტოქეს 8 ქულით ვუსწრებდით, ახლა ქულები გაგვინახევრდა და ჩვენი უპირატესობა 4 ქულამდე შემცირდა. ამიტომ, ქულების დაკარგვისა და ამით მეტოქეებისთვის ფსიქოლოგიური უპირატესობის დათმობის უფლება არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ "ლოკომოტივი" ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერია, რასაც ყოველწლიურად ამტკიცებს, ხვალ მას მთელი 90 წუთის განმავლობაში მძიმე ბრძოლა ელის. ჩემი გუნდის წარმატებაში დარწმუნებული ვარ", - იმედიანადაა შუშაკი. ის ასევე მიიჩნევს, რომ მეორე ეტაპზე ზეექვსეულში იოლი, ეგრეთ წოდებული "ქულების ასაგროვებელი" მატჩები პრაქტიკულად არ იქნება. "დინამოს" ჩემპიონობის შესანარჩუნებლად დიდი ოფლის ღვრა მოუწევს და მთავარი კონკურენტი, მწვრთნელის აზრით, "ვიტ ჯორჯია" იქნება.

"ყველა გუნდმა შემადგენლობისა თუ სამწვრთნელო შტაბის როტაცია განახორციელა. ეს პროცესი ყველაზე ნაკლებად "ვიტ ჯორჯიას" შეეხო და მგონია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ყველაზე დიდ კონკურენციას სწორედ ვეტერინართა გუნდი გაგვიწევს. არანაკლები ამბიციები ექნება "თბილისსაც", რომელიც პერსპექტიული, ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. საპრიზო ადგილებისთვის "სიონიც" იბრძოლებს. დარჩნენ "დილა" და "ლოკომოტივი", თუმცა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს გუნდები რამეს უბრძოლველად დათმობენ, ძალიან ცდება. არანაირი შედეგი ჩემთვის მოულოდნელი არ იქნება, რაც იმას ამტკიცებს, რომ გულშემატკივარს მე-2 ეტაპის სახით ძალზე საინტერესო სანახაობა ელის", - ასეთია ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერის მწვრთნელის აზრი.

რაც შეეხება ზეექვსეულის პირველ ტურს, მასში ერთმანეთს შეხვდებიან:

დინამო – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – სიონი
თბილისი – დილა

მე-2 ეტაპის სასტარტო სატურნირო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| დინამო | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 21 |
| სიონი | 20 |
| თბილისი | 18 |
| ლოკომოტივი | 17 |
| დილა | 17 |

# ბილბაოს „ატლეტიკი„ - მსოფლიოს ყველაზე კონსერვატორული გუნდი

ნინო პირველი

მადრიდის ტერაქტის მეორე დღეს თავზარდაცემულმა მსოფლიომ დამნაშავის ძებნა დაიწყო. მაშინვე ორი ვერსია წარმოიშვა - ამ საშინელი მასობრივი მკვლელობის ავტორი ან აგრერიგად სახელგანთქმული, დასავლეთისთვის საფრთხობელად ქცეული ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდა" უნდა ყოფილიყო, ანდა ბასკური "ეტა", რომელიც უკვე რა ხანია, ესპანეთის მთავრობის დიდ თავსატკივრად ქცეულა. ბევრს ეცადა ესპანეთის მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელი ხოსე მარია ასნარი, მატარებლების აფეთქება "ეტასთვის" გადაებრალებინა და ამით არჩევნების წინ საკუთარი პარტიის კრახი აეცილებინა თავიდან, მაგრამ სამხილი იმდენად აშკარა იყო, ისე ნათლად მიუთითებდა ტერაქტში "ალ ქაიდას" მონაწილეობას, რომ ბასკებისთვის ამ დანაშაულის "შეწერა" შეუძლებელი აღმოჩნდა. ასნარზე კარგად ვინ იცოდა, თუ რისთვის მოაწყვეს ეს საშინელება ტერორისტებმა. მისი მთავრობა ხომ ყველაფერში ჯორჯ ბუშს უკრავდა კვერს და უყოყმანოდ გაგზავნა ჯარისკაცები ერაყში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამის წინააღმდეგი იყო. ყველაფერი მალე გაირკვა. ესპანელები მიხვდნენ, რისთვის დასაჯეს ტერორისტებმა ასე სასტიკად - სწორედ ერაყის ომში მონაწილეობის გამო. მიხვდნენ და არჩევნებში სოციალისტებს დაუჭირეს მხარი. ამ ტერაქტის მიზანიც სწორედ ეს იყო. ესპანეთში მთავრობა შეიცვალა, სოციალისტებმა ერაყიდან ჯარების გამოყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი. "ეტა" კი საყოველთაო რისხვას გადაურჩა.

თუმცა, ამ ტერაქტს ბასკეთისთვის სრულიად უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. 11 მარტის მერე ამ პატარა მხარის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ბასკეთი, მართლაც, უჩვეულო ფენომენია ესპანეთში, აქაური "ატლეტიკი" კი უცნაურზე უცნაური მოვლენაა ფეხბურთში. ეს ყველაზე კონსერვატორული და ტრადიციული კლუბია მთელ მსოფლიოში. ალბათ, ამქვეყნად არ მოიძებნება მეორე ისეთი გუნდი, რომლის მთელი შემადგენლობაც ერთი ეროვნების მოთამაშეებით იყოს დაკომპლექტებული. "ატლეტიკში" არაბასკი ფეხბურთელის თამაში წარმოუდგენელია. აქ მხოლოდ იმ სპორსტმენებს იღებენ, რომლებიც "ატლეტიკის" ახალგაზრდულ გუნდში არიან აღზრდილი. ამაზე მეტი რომანტიზმისა და პატრიოტიზმის წარმოდგენა, უბრალოდ, შეუძლებელია... და ეს ყველაფერი ხდება იმ საუკუნეში, როცა გუნდის ძლიერება ინტერნაციონალური ვარსკვლავების შეძენაზეა დამოკიდებული. "ბილბაო" არც უცხოელებს იყვანს და არც თავისებს უშვებს სადმე სხვაგან. აი, უკვე რა ხანია, რაც "ბარსელონას" ხულენ გერეროს შეძენას ცდილობს. მისი გადაბირებით "რეალიც" იყო დაინტერესებული, რამდენიმე იტალიური გუნდიც, მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა. ერთ-ერთი ამ კლუბის წინადადება რომ მიეღო, მაშინვე საოცრად გამდიდრდებოდა, მაგრამ გერეროს ეს არ აინტერესებს: "ატლეტიკთან" ერთად ერთი ტიტულის მოგება ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "რეალში" მოპოვებული ათი წოდება", - ამბობს პატრიოტი ბასკი. "ატლეტიკის" ასეთი პოლიტიკა ძალიან უწყობს ხელს ბასკეთში ფეხბურთის განვითარებას და ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენას. ბილბაოელებს სხვა გზა არც აქვთ. მათი სკაუტები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ ბავშვებს, ახალგაზრდებს და გუნდისთვის ნიჭიერი ფეხბურთელები შეარჩიონ. "ბილბაოელთა მუშაობა ახალგაზრდებთან სამაგალითოა", - აქებს "ატლეტიკს" მადრდული გაზეთი "მარკა". "ატლეტიკის" ფეხბურთელები სხვა კლუბში არ გადადიან, მაგრამ, თავიანთი კუდაბზიკობისა და პატრიოტიზმის მიუხედავად, მაინც დიდი სიამოვნებით იღებენ მიწვევას ეროვნული ნაკრების მწვრთნელისგან. ამ გუნდმა თავის დროზე ესპანეთის ნაკრებს ისეთი მეკარეები მისცა, როგორებიც იყვნენ სუბისარეტა და ირუბარი. ხოსება ეჩებერია უკვე კარგა ხანია, რაც ნაკრების უცვლელი წევრია. ბასკები ამით დიდად ამაყობენ. საერთოდ, ამ მხარეში მეტად უცნაური ხალხი ცხოვრობს. ხან "ეტას" მხარდასაჭერ მიტინგებს მართავენ, ხანაც ბასკი ფეხბურთელების ნაკრებში აყვანით ხარობენ და იმავე "ეტას" წინააღმდეგ აწყობენ დემონსტრაციებს. კაცი ვერაფერს გაარკვევს...

უკვე დიდი ხანია, "ატლეტიკს" ტიტული აღარ მოუგია. 2004 წლის ივნისში ოცი წელი სრულდება, რაც ბასკები ესპანეთის ჩემპიონები აღარ გამხდარან. 1984 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მდინარე ნერვიონის ნაპირზე, თეთრ-წითელი დროშებით აღჭურვილმა ბასკმა გულშემატკივრებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს "ბილბაოს" გაჩემპიონება. ძველი ტრადიციის თანახმად, დროშებით მორთული გემი ბილბაოსკენ დაიძრა და ზეიმიც დაიწყო. ბასკების მაშინდელმა თავკაცმა,



გერერო "ბილბაოს" ერთგული დარჩა

ხავიერ კლემენტემ შექმნა შესანიშნავი გუნდი, რომელმაც ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში სიცოცხლე გაუმწარა "რეალს" და "ბარსელონას". ეს წარმატება უკანასკნელი აღმოჩნდა. მას მერე ფანები ამაოდ ელიან ასეთ დიდ გამარჯვებას. "ატლეტიკზე" აუგის თქმა, ალბათ, არ შეიძლება. ეს გუნდი, რომელიც არასოდეს იძენს უცხოელ ვარსკვლავებს და მთლიანად საკუთარ რესურსებზეა დამოკიდებული, ერთხელაც არ გავარდნილა პრიმერა დივიზიონიდან და ყოველთვის მამაცურად ებრძვის გრანდებს. ეს ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ ძველ ჯილდოებს ხომ უკვე დიდი ხანია, მტვერი წაეყარა და გარდასული დიდება განახლებას ითხოვს... ბასკი ფანები იმედს არ კარგავენ, რომ ისევ იხილავენ დიდ "ატლეტიკს". მიმიდნარე სეზონში ბილბაოელები საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. ერნესტო ვალვერდე, "ატლეტიკის" ახალგაზრდა ბასკი ხელმძღვანელი, რომელიც ცოტა ხნის წინ თავად თამაშობდა გუნდში იმ ფეხბურთელებთან ერთად, ვისაც დღეს წვრთნის, ბილბაოელ ფანებს, სულ მცირე, უეფას თასის საგზურს ჰპირდება. გუნდი უკვე მეხუთე ადგილზეა პრიმერა დივიზიონში. "ატლეტიკში" მუშაობა განსაკუთრებული პატივია. ეს არ არის უბრალო საქმე. "ატლეტიკი" ასი წლის წინ დააარსეს ინგლისელმა მეზღვაურებმა, სტადიონი "სან-მამესიც" ინგლისურ სტილშია ნაგები - ტრიბუნები ისე ახლოა მოედანთან, რომ ფეხბურთელებს გულშემატკივრების სუნთქვაც კი ესმით. ასე მოთამაშეებსა და ფანებს შორის მჭიდრო კონტაქტი მყარდება. ამ სტადიონს, რომელიც 1913 წელსაა აშენებული, "კათედრალს" უწოდებენ მისი სიძველის გამო და, ალბათ, იმის გამოც, რომ ფეხბურთი ბილბაოში რელიგიური კულტის დონემდეა აყვანილი. აქ თამაში ყველა სხვა გუნდისთვის მუდამ ძალიან ძნელია. მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სტადიონის მიმდებარე ტერიტორია ხალხით ივსება. ყველაფერი თეთრ-წითელი ფერებითაა მორთული. ფანები სიმღერით მიემართებიან "სან მამესისკენ". ბასკები სტადიონზე არ არჩევენ მეგობარს და მტერს. კარგი თამაშისთვის ორივე მხარეს მხურვალე ტაშით აჯილდოებენ. პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ მატჩში, როცა ბილბაოელები მადრიდის "ატლეტიკოს" ხვდებოდნენ, პაულო ფუტრემ სამი გოლი გაუტანა მასპინძლებს. როცა ის შეცვალეს, მთელი სტადიონი ფეხზე ადგა და ტაშით გააცილა მატჩის გმირი. ყოველი შეხვედრის წინ მოედანზე "ატლეტიკის" ჰიმნი ისმის, დამთავრების შემდეგ კი, შედეგის მიუხედავად, ფეხბურთელებს აპლოდისმენტებს არ აკლებენ. მოკლედ, "ატლეტიკი" ზედმიწევნით ტრადიციული კლუბია, თუმცა, მასაც მოუხდა, თანამედროვე ცხოვრებისთვის აეწყო ფეხი. აქამდე ბილბაოელ ფეხბურთულებს სპონსორი არ ჰყავდათ, მათ მაისურებს არც ერთი ცნობილი თუ უცნობი ფირმის წარწერა არ ამშვენებდა. ახლა კი კლუბის ხელმძღვანელობა ცვლილებების განხორციელებას აპირებს: "ჩვენი ფინანსური მდგომარეობა არც ისე კარგია. ამის გამო, ურიგო არ იქნებოდა, რომელიმე ძლიერ ფირმას დავკავშირებოდით. იმედია, ფანები ამ გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდებიან", - ამბობს "ატლეტიკის" პრეზიდენტი. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა წლიური აბონემენტების ფასის გაზრდასაც აპირებს, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. იქნებ არაბასკი ფეხბურთელებიც აიყვანოს გუნდში. ვინ იცის... უკვე დროა, გემი ისევ მოადგეს მდინარე ნერვიონის ნაპირებს, როგორც ამას ძველი ჩვეულება მოითხოვს და ბასკებმა, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ისევ იზეიმონ "ატლეტიკის" გაჩემპიონება...

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსი" ახლა ანდრეი შევჩენკოს გადაბირებითაც დაინტერესდა. უკრაინელი თავდამსხმელის სანაცვლოდ რომან აბრამოვიჩი "მილანს" 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს და არგენტინელ ერნან კრესპოს სთავაზობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კრესპო იტალიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და 20 მილიონ ფუნტად კიდევ სხვა, უმაღლესი დონის ფორვარდის შეძენა უპრობლემოდ შეიძლება, "მილანისთვის" ეს მეტად სარფიანი წინადადებაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩი, იმის გარდა, რომ "ჩელსის" მეპატრონეა, ჩუკოტკის გუბერნატორიც გახლავთ და რუსეთის ამ მხარის დახმარებას კვლავინდებურად ცდილობს. 20 მარტს, აბრამოვიჩის მიწვევით, ლონდონში გაემგზავრება 50 ახალგაზრდა ჩუკოტკელი ფეხბურთელი. ისინი ინგლისის დედაქალაქში ორ დღეს დარჩებიან და ლონდონის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. დაესწრებიან "ჩელსისა" და "ფულჰემის" მატჩს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მასიმილიანო ვიერი, კრისტიან ვიერის უმცროსი ძმა, ავსტრალიის ნაკრებში გამოიძახეს. მოგეხსენებათ, კრისტიანი და მასიმილიანო ავსტრალიაში არიან დაბადებული და მათ ორმაგი (ავტრალიურ-იტალიური) მოქალაქეობა აქვთ. კრისტიან ვიერი იტალიის ნაკრების ფეხბურთელია, თუმცა, მასიმილიანო "სკუადრა აძურას" ინტერესის მიღმა დარჩა. უმცროსი ვიერი "იუვენტუსის" საკუთრებაა, თუმცა, ახლა "ნაპოლიშია" განათხოვრებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა, კარლოს ალბერტო პარეირამ პარაგვაის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის განაცხადში შეიყვანა რონალდო, თუმცა, ეს უკანასკნელი ტრავმირებულია. ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ რონალდო უახლოეს დღეებში მოიშუშებს ტრავმას. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების განაცხადი ასე გამოიყურება: მეკარეები: *დიდა, მარკოსი;* დაცვა: *კაფუ, ბელეტი, რობერტო კარლოსი, როკე ჟუნიორი, ლუსიო, ჟოანი, ედმილსონი;* ნახევარდაცვა: *ჯილბერტო სილვა, კლებერსონი, ზე რობერტო, ჟუნინიო პერნამბუკანო, კაკა, რონალდინიო, რენატო, ჟულიო ბაპტისტა, ალექსი;* თავდასხმა: *რონალდო, ლუიშ ფაბიანო, ადრიანო.*

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ათენის "ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი თანამდებობიდან დაითხოვეს. ყოველივე ეს თანაქალაქელ "აეკ"-ის წინააღმდეგ დამარცხებას მოყვა. "ოლიმპიაკოსის" მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა კლუბის ყოფილი თავდამსხმელი სინიშა გოგიჩი, რომელიც აქამდე პროტასოვის ასისტენტად მუშაობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "ცსკ"-ს პრეზიდენტმა ევგენი გინერმა განაცხადა, რომ კლუბი უახლოეს ხანებში დაიწყებს ახალი სტადიონის მშენებლობას. საკუთარი სტადიონის ასაშენებლად საჭირო თანხას "ცსკ"-ს ახალი სპონსორი, კომპანია "სიბნეფტი" გაიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ორი დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა ალექსეი მიხაილიჩენკო. თუმცა, "დინამოს" თავკაცები ამ ინფორმაციას უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ "ამ მომენტისთვის მიხაილიჩენკო "დინამოს" მწვრთნელია". გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მიხაილიჩენკოს გამოსაცდელი ვადა მისცეს. კლუბის ხელმძღვანელობა მეტად უკმაყოფილოა გუნდის თამაშით და "შეცდომების გამოსასწორებლად" მწვრთნელს ერთ თვეს აძლევს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ფრანგი ჟან ალეზი კვლავ მიუჯდება ფორმულა 1-ის საჭეს, თუმცა, არ გეგონოთ, რომ ყოფილი პილოტი აქტიურ სპორტში აპირებს დაბრუნებას. მიმდინარე სეზონში პირველად გაიმართება გრან-პრი ბაჰრეინში. ამ ტრასის გახსნასთან დაკავშირებით მოეწყობა ფორმულა 1-ის ისტორიული მანქანების ჩვენება, რომლის დროსაც ჟან ალეზი Mercedes-Benz W196-ს წარმოადგენს. თავის დროზე ამ ბოლიდით სახელოვანი ფანჰიო ასპარეზობდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ცნობილია, რომ ბერნი ეკლსტოუნი იმოლას გრან-პრის გაუქმებას გეგმავს. ამას წინათ ფორმულა 1-ის ფედერაციის თავკაცმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის აპრილში იმოლაში უკანასკნელი რბოლა გაიმართება. იტალიელებს კი ფორმულა 1-თან განშორება სულაც არ უნდათ. მაგრამ ეკლსტოუნი მათ ულტიმატუმს უყენებს: იმოლას გრან-პრის მომავალზე მხოლოდ მაშინ დავიწყებ ფიქრს, როდესაც ტრასას გაარემონტებთო. რემონტისთვის კი 25 მილიონი ევროა საჭირო. იტალიის ავტოსპორტის ფედერაციამ უკვე მიმართა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, სილვიო ბერლუსკონის, რათა მთავრობამ იმოლას ტრასის რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა გაიღოს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "მაკლარენ-მერსედესის" რიგებში განხეთქილებაა. მიმდინარე სეზონის პირველი გრან-პრი გუნდისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა - "მაკლარენმა" დევიდ კულჰარდის წყალობით ერთადერთი ქულა მოიპოვა, კიმი რაიკონენმა კი საერთოდ ვერ შეძლო რბოლის დასრულება. საჯინიბოს მექანიკოსები "მაკლარენის" ხელმძღვანელს, რონ დენისს აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ ის მთელ ყურადღებას სამომავლო გეგმებს უთმობს და საერთოდ არ ზრუნავს დღევანდელ დღეზე.

ჩოგბურთი

# ლაბაძე მეოთხედფინალშია

მაროკოელი ჰიშამ არაზის დამარცხების შემდეგ ირაკლი ლაბაძე გუშინ, გვიან ღამით, მერვედფინალურ მატჩში ტურნირის 22-ე ნომერს, არგენტინელ აგუსტინ კალიერის შეხვდა. ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც რეიტინგის მიხედვით 90-ე ადგილზეა, მოსკოვის ტურნირზე ერთხელ უკვე შეხვდა აგუსტინ კალიერის და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ამჯერად დიამეტრულად განსხვავებული მდგომარეობაა. ლაბაძე შესანიშნავ ფორმაშია და კარლოს მოიას ძლევის შემდეგ ფსიქოლოგიურადაც კარგად გამოიყურება. "კალიერისთან მატჩი დიდი გამოცდა იქნება", - ამბობდა ქართველი ჩოგბურთელი მატჩის წინ.

გუშინდელ მატჩში ქართველმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი პირწმინდად დათმო. აგუსტინ კალიერიმ 6:1 გაიმარჯვა. თითქოს ისტორია მეორდებოდა, მაგრამ ირაკლიმ მეორე სეტში შეცდომებს უკლო, მეტოქის მოწოდება აიღო და 6:3 მოიგო. გადამწყვეტი სეტი უაღრესად დაძაბული გამოდგა. ირაკლი ლაბაძემ არგენტინელს ორი სეტი აართვა და 5:2 დაწინაურდა, მაგრამ დაძაბულობის ფონზე უნებლიე შეცდომები დაუშვა და კალიერის საშუალება მისცა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაეყვანა, 5:4 არგენტინელის მოწოდებაზე. თუმცა, ეს მაქსიმუმი იყო, რისი გაკეთებაც გუშინ აგუსტინ კალიერიმ მოახერხა. ლაბაძემ, გადამწყვეტ მომენტში კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე, მოიგო მეტოქის მოწოდება და მასთან მატჩიც. 1:6, 6:3, 6:4 - ქართველი ჩოგბურთელის სასარგებლოდ. მეოთხედფინალში ირაკლი ლაბაძე ამერიკელების - ჯეიმს ბლეიკსა და ტეილორ დენტს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამ ჩოგბურთელთა მატჩი გვიან ღამით გაიმართა.

მანამდე კი მამაკაცთა თანრიგში პირველი ოთხი მერვედფინალური შეხვედრები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, მიხაილ იუჟნი ანდრე აგასისთან დამარცხდა და ინდიანა-უელსი რუსების გარეშე დარჩა. აგასიმ, რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრად არის განთესილი, მატჩის შემდეგ შეაქო ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელი და მას პერსპექტიული უწოდა. "პირველ სეტში გამიჭირდა, მაგრამ მეორე სეტის ბოლოს საჭირო რიტმი დავიჭირე. ამის შემდეგ ჩოგბურთის თამაშით, უზრალოდ, სიამოვნებას ვიღებდი", - განაცხადა ანდრე აგასიმ.



ირაკლი ლაბაძემ არაზის კალიერიც მიაყოლა

ქალთა ნაწილში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ტურნირის პირველმა ნომერმა, ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა ორ სეტში - 6:3, 6:4 დაამარცხა ჩეხი ბარბარა სტრიკოვა, ხოლო მესამე ნომრად განთესილმა ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა, ასევე ორ სეტში მოუგო თანამემამულე მეგან შონესს - 6:1, 6:3. მეოთხედფინალში გავიდა რუსი ანასტასია მისკინაც, რომელმაც ახალგაზრდა თანამემამულეს, მარია შარაპოვას არ დაუტოვა შანსი - 6:2, 6:1.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ირაკლი ლაბაძე (საქართველო) - აგუსტინ კალიერი (არგენტინა, 22) | 1:6, 6:3, 6:4 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - მერდი ფიში (აშშ, 18) | 6:4, 6:1 |
| გილიერმო კორია (არგენტინა, 4) - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13) | 3:6, 7:6 (7:2), 6:2 |
| ანდრე აგასი (აშშ, 5) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 7:5, 6:2 |
| ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 32) - ტომი ჰაასი (გერმანია) | 6:4, 6:2 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) - ბარბარა სტრიკოვა (ჩეხეთი) | 6:3, 6:4 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 3) - მეგან შონესი (აშშ, 20) | 6:1, 6:3 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 4) - მარია შარაპოვა (რუსეთი, 16) | 6:2, 6:1 |
| ნატალი დეში (საფრანგეთი, 19) - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 6) | 2:6, 6:2, 6:2 |
| კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 11) - ბარბარა შეტი (ავსტრია) | 6:1, 6:2 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 12) - ემი ფრეზერი (აშშ) | 6:0, 6:3 |
| ფაბიოლა სულუაგა (კოლმბია, 15) - ლაურა გრანვილი (იტალია) | 7:5, 6:2 |
| გიზელა დულკო (არგენტინა) - მარისა ირვინი (აშშ) | 7:6, 7:6 |

ფეხბურთი

# ჭანყი საფეხბურთო ევროპაში

*ევროპაში ახალი ძალით იფეთქა საფეხბურთო აჯანყებამ ფიფა-უეფას წინააღმდეგ. წამყვანმა ევროპულმა კლუბებმა, რომლებიც G-14-ის შემადგენლობაში შედიან, ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელიც მწვანე შუქს უნთებს ფიფას წესების უგულებელყოფას. ულტიმატუმი, რომელიც ძველი კონტინენტის ყველაზე გავლენიანმა კლუბებმა ზეპ ბლატერს წაუყენეს, მსოფლიო ფეხბურთს განხეთქილებით ემუქრება.*

ოთხშაბათს ვალენსიაში დასრულდა ყრილობა, რომელშიც G-14-ში გაერთიანებული წამყვანი ევროპული კლუბები მონაწილეობდნენ. ვალენსიის ყრილობა პასუხი იყო ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის ინიციატივაზე, რომელიც საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ნაცვლად, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემოღებას ითვალისწინებდა. შეგახსენებთ, რომ, ბლატერის გეგმით, საკლუბო ჩემპიონატში ექვსი კონტინენტის საუკეთესო გუნდები მიიღებდნენ მონაწილეობას. ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ანუ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისა და ლიბერტადორესის თასის მფლობელი გუნდები ასპარეზობაში ნახევარფინალური ეტაპიდან ჩაებმებოდნენ და, ფაქტობრივად, მათ, ერთის ნაცვლად, ორი მატჩის ჩატარება მოუხდებოდათ, მაგრამ ბლატერის ინიციატივა G-14-ისთვის საბაბი გახდა ფიფას წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

მოკლედ, ფიფას პრეზიდენტის ინიციატივაზე მაგნატი კლუბების საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა. ვალენსიაში დასრულებულ შეკრებაზე ევროპის 18 უმდიდრესი კლუბის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას ფიფას ახალ წამოწყებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას "მილანი", "რეალი" ან G-14-ში შემავალი რომელიმე კლუბი მოიგებს, მაშინ 2005 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე ევროპას გუნდი არ ეყოლება.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ტრიუმფატორი უკანასკნელად იბრძოლებს საკონტინენტთაშორისო თასის მოსაპოვებლად და ამ ტიტულისთვის, ტრადიციულად, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდს - ლიბერტადორესის თასის გამარჯვებულს შეხვდება.

თუმცა, საინტერესო ის არის, რომ ეს საკითხი უმთავრესი არ ყოფილა, რისთვისაც G-14 შეიკრიბა. ვალენსიაში შეკრებილებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არ სურთ თავისი ფეხბურთელები ფიფას და უეფას ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში, ამა თუ იმ ეროვნულ ნაკრებში გაუშვან, თუ ფედერაციები კომპენსაციის სახით სათანადო თანხას არ გადაიხდიან.

"საფეხბურთო მილიონერების კლუბმა" ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან მოითხოვა, G-14-ის ანგარიშზე გადარიცხოს იმ შემოსავლის 5-10 პროცენტი, რომელსაც ფიფა და უეფა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ჩატარებიდან გამოიმუშავებენ.

ეს თანხა მოხმარდება იმ ხარჯების დაფარვას, რომელიც ეროვნული ნაკრებიდან დაბრუნებული ტრავმირებული ფეხბურთელების მკურნალობას დასჭირდება. მიუნხენის "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე იმედოვნებს, რომ ამ საკითხის გარშემო ფიფასთან შეთანხმება ევრო 2004-ის დაწყებამდე, ანუ 2004 წლის 12 ივნისამდე მოხერხდება.

ჯგუფმა ორგანიზაციის გენერალურ მენეჯერს დაავალა, ფიფას კანონმდებლობის შესაბამისად, შეისწავლოს ეროვნულ ნაკრებებში ფეხბურთელთა გამოძახების კანონიერების საკითხი, რომლის მიხედვითაც კლუბებს საკომპენსაციო თანხა არ ერიცხებათ.

კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში კლუბები დიდი ხნის წინათ დაქადებულის აღსრულებას აპირებენ - ფიფასა და უეფას შემადგენლობიდან გასვლით იმუქრებიან. ამრიგად, ევროპაში შეიძლება ჩამოყალიბდეს საფეხბურთო სუპერლიგა, რომელშიც მსოფლიო ფეხბურთის ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი აკუმულირდება. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, რომლებშიც ეროვნული ნაკრები გუნდები მონაწილეობენ, ფაქტობრივად, დევალვირებული იქნება.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, თუ როგორი იქნება ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერისა და უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის საპასუხო რეაქცია.

კალათბურთი

# ბიორდი vs მეჯიქი: ეს იყო 25 წლის წინათ

სანდრო ნავერიანი

ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 5 აპრილს გაიმართება, რომელი ორი გუნდი უნდა შეხვდეს ერთმანეთს, რომ ტელერეიტინგის რეკორდი მოხსნას? არც ერთი გუნდი, არც ერთი მოთამაშე, არც ერთი მწვრთნელი არ არის იმ დონის, რომ ტელემაყურებელთა ისეთი ყურადღება დაიმსახურონ, როგორც ეს ლარი ბიორდისა და მეჯიქ ჯონსონის (როდესაც ისინი სტუდენტურ ლიგაში თამაშობდნენ) დაპირისპირების დროს იყო.

1979 წლის ფინალს ფანტასტიკური რეიტინგი ჰქონდა - 24.1. 1978 წელთან შედარებით, რეიტინგი თითქმის ორჯერ იყო გაზრდილი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მეოთხედი საუკუნის წინ არ ყოფილა 24-საათიანი სპორტული ტელეარხები, საკაბელო ტელევიზიაც ის-ის იყო იდგამდა ფეხს, მაგრამ მაშინდელმა იანკებმა ყველას და ყველაფერს 1979 წლის სტუდენტური ფინალის ყურება ამჯობინეს და ამით მხოლოდ მოგებულნი დარჩნენ. სტატისტიკური მონაცემებით, დღევანდელი ამერიკული კალათბურთის გულშემატკივრები ყველაზე მეტად სწორედ 1979 წლის სტუდენტური ფინალის ვიდეოჩანაწერს ყიდულობენ. 1979 წლის ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ ინდიანას შტატის უნივერსიტეტი ლარი ბიორდის მეთაურობით და მიჩიგანის უნივერსიტეტი ირვინ "მეჯიქ" ჯონსონის მეთაურობით.

იმ ფინალურ მატჩს ხშირად აჩვენებს **ESPN classic**-ი, მაგრამ ერთია თამაშის ყურება, როცა შედეგი იცი და სულ სხვაა, როგორც ამბობენ, "ლაივში" ხილვა. მართლაც, სულ სხვაა, დაჯდე ტელევიზორთან, განიცადო, უქომაგო, გადაიტანო მთელი ის სიხარული თუ მწუხარება, რაც მოედანზე სუფევს.

ის ფინალი "ვარსკვლავების" დაპირისპირება იყო, "ვარსკვლავებისა", რომლებიც სხვადასხვა სამყაროდან არიან.

შავი და თეთრი.

ქალაქელი და სოფლელი.

თავისუფალი, უკომპლექსო, მხიარული, რომელიც მუდამ იღიმის, და ჩაკეტილი, თავშეკავებული, სევდიანი.

პირველი - ეს, რა თქმა უნდა, მეჯიქია - ჟურნალისტთა საყვარელი რესპონდენტი, რომელსაც არასოდეს უარი არ უთქვამს მათთან საუბარზე.

მეორე - ეს, რაღა თქმა უნდა, ლარი ბიორდია. ის ყოველთვის ერიდებოდა რეპორტიორებს. თამაშის დამთავრებისთანავე გასახდელში გარბოდა. ერთხელ, შუა სეზონში, როდესაც ფინალურ მატჩებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საერთოდ არ უნდა მათთან საუბარი და ეს ასე ახსნა: "კალათბურთი გუნდური თამაშია და არაფერში არ მჭირდება რეპორტიორებთან საუბარი, მათგან მხოლოდ ჩემი ქება-დიდების მოსმენა და დანარჩენი გუნდის იგნორირება", - ასეთი მკაცრი იყო ლარი ბიორდი.

და აი, როგორც იქნა, 1979 წლის ფინალური მატჩი აღარ იყო თანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირება. ბიორდის გუნდი - ნაკლებად ცნობილი, ინდიანას შტატის, ღმერთისგან დავიწყებული კონფერენციის გუნდი "მისური უელი", ხოლო მეჯიქის გუნდი - მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტის, ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ქვეყნის უძლიერესი კონფერენციის გუნდი "ბიგ-10".

ნამდვილად არ არის საჭირო იმის ახსნა, თუ რატომ გულშემატკივრობდა ყველა ლარი ბიორდის გუნდს. ლარი ბიორდმა მთელი ჩემპიონატის განმავლობაში საოცრებები მოახდინა, მან მთელ ამერიკას შეაყვარა თავი და ფინალამდე ისე გაიყვანა თავისი გუნდი, მარცხი არ განუცდია. მაგრამ მეჯიქმა და კომპანიამ ბიორდსა და კომპანიას მაინც გადმოაყრევინეს მწუხარების ცრემლები, თავად მეჯიქი კი ისე იცინოდა, როგორც მხოლოდ მას შეუძლია. ლარი ბიორდს თავზე პირსახოცი გადაეფარებინა და სლუკუნებდა, მაგრამ ეს აღარაფერს უშველიდა.

მეჯიქსა და ლარის მთელი საკალათბურთო კარიერის მანძილზე ძალიან ბევრი გუნდური თუ პირადი ტიტული მოუპოვებიათ, ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ფინალურ მატჩებშიც. მართალია, ხშირად ბიორდი იმარჯვებდა, მაგრამ ყოველთვის ამბობდა, რომ მეჯიქმა მას "ცხოვრების მატჩი" მოუგო. მეჯიქი, თავის მხრივ, ღიმილით პასუხობდა ლარის ასეთ ქათინაურზე და იყვნენ ასე ტკბილად და გემრიელად - ხან ერთი იმარჯვებდა და ხან მეორე.

დიახ, ეს ის ლარი ბიორდი და მეჯიქ ჯონსონი არიან, რომლებმაც კალათბურთის რუკაზე საბოლოოდ შემოავლეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კონტური და სამარადჟამოდ დაიტანეს ამ რუკაზე. დიახ, ეს ის ლარი ბიორდია, რომელმაც უარი თქვა, მეჯიქთან ერთად, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მიეღო მონაწილეობა და იმ ისტორიულ მატჩზე ესაუბრა. ეს ის მეჯიქ ჯონსონია, რომელსაც შიდსი აღმოაჩნდა, მაგრამ კალათბურთის თამაში წლების მერე შეწყვიტა, ისიც იმიტომ, რომ ასაკი აღარ უწყობდა ხელს.



კალათბურთის ორი ლეგენდა – ლარი ბიორდი და მეჯიკ ჯონსონი

ეს ის ლარი და მეჯიქი არიან, რომლებიც უამრავი მომავალი კალათბურთელისთვის კერპებად იქცნენ.

მატჩი, რომელიც 25 წლის წინ გაიმართა, ნამდვილად არ ყოფილა არაჩვეულებრივი სანახავი, მაგრამ სწორედ ამ ფინალიდან დაიწყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დაპირისპირება "მეჯიქი-ბიორდი". ვისაც ეს მატჩი გინახავთ, ნამდვილად გაქვთ შვილიშვილებისთვის მოსაყოლი ზღაპარი. თუ გინდათ, "მეჯიქი და ბიორდი" დაარქვით, თუ გინდათ, ქართული ზღაპარივით დაიწყეთ: "იყო და არა იყო რა" და ასე დაამთავრეთ: "ჭირი იქა, ლხინი აქა". რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოჰყვებით. მთავარია მოჰყვეთ.

მოკლედ

# სერენა ბრუნდება



სერენა დაბრუნდა, რათა მოიგოს

ოდესღაც მსოფლიოს პირველი ნომერი, ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი კორტზე დაბრუნებას აპირებს, რათა კვლავ საუკეთესო გახდეს და დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს. 8-თვიანი შესვენების შემდეგ შავკანიანი ჩოგბურთელი მონაწილეობას მიიღებს მაიამის ტურნირში, რომელიც მომავალ კვირაში დაიწყება.

სერენა უილიამსმა უკანასკნელ დიდ გამარჯვებას უიმბლდონის შარშანდელ ტურნირზე მიაღწია. შარშანვე, აგვისტოში კი მუხლის ტრავმა მიიღო. ამის გამო მან ვერ შეძლო თავისი ტიტულების დაცვა და ამიტომ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში პოზიციები დათმო.

"ჩემთვის ეს დაბრუნება ძალიან ბევრს ნიშნავს, - თავის გადაწყვეტილებას კომენტარი გაუკეთა 22 წლის ჩოგბურთელმა, - ძალიან ძნელია, უყურო, თუ როგორ თამაშობენ სხვები და ამ დროს შენ არ შეგეძლოს თამაში".

სერენა უილიამსი დარწმუნებულია, რომ აუცილებლად დაიბრუნებს პირველობას, ოღონდ ფიქრობს, რომ ამას დრო დასჭირდება. "შეიძლება დიდი შრომა დამჭირდეს იმისთვის, რომ რეიტინგში პირველობა დავიბრუნო, მაგრამ სხვა შედეგი არ დამაკმაყოფილებს. ახლა მზად ვარ, ჩოგბურთს მივუძღვნა თავი", - განაცხადა სრენა უილიამსმა.

# იყიდება "პარმა"?

სააგენტო "როიტერის" ცნობით, იტალიური "პარმა" უახლოეს მომავალში ახალ პატრონს შეიძენს. კონცერნ "პარმალატის" წარმომადგენლებმა, რომლებიც "პარმას" ახლანდელი მფლობელები არიან, განაცხადეს: კლუბის გაყიდვა აუცილებელია, რათა კონცერნმა უზარმაზარი ვალი დაფაროს.

პრინციპში, ყველაფერი ამისკენ მიდიოდა. კლუბის არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე იტალიური პრესა უკვე რამდენიმე თვეა საუბრობს და, როგორც იქნა, ყველა ჭორის ოფიციალური დასტური გამოქვეყნდა: "პარმას", მართლაც, ეყოლება ახალი პატრონი.

შეგახსენებთ, რომ დეკემბერში იტალიის ფინანსურმა პოლიციამ კონცერნ "პარმალატის" საბუღალტრო აღრიცხვაში მრავალმილიონიანი დარღვევა აღმოაჩინა. ამის შემდეგ კომპანია ღრმა კრიზისმა მოიცვა. ახლა კი დავალიანების დასაფარავად კომპანია "პარმალატმა" გადაწყვიტა, არაპროფილირებული აქტივები გაყიდოს. მათ შორის ერთ-ერთი სწორედ საფეხბურთო კლუბი "პარმაა".

თუმცა, ჯერ კიდევ ამ ამბებამდე "პარმალატი" შეეცადა, ვალებისთვის თავისი საფეხბურთო კლუბის ხარჯზე დაეღწია თავი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ კრიზისის ფონზე დაიწყო კლუბმა საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა. კლუბისთვის უმთავრესი დანაკარგი იყო ბრაზილიელი სუპერფორვარდი ადრიანო, რომელიც მილანის "ინტერში" დაბრუნდა.

ამჟამად, ფინანსური პრობლემების მიუხედავად, "პარმა" იტალიის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, რაც კლუბს გარკვეულ ფინანსურ შეღავათს გაუწევს. თუმცა, ამის მიუხედავად "პარმალატმა", როგორც ჩანს, მტკიცედ გადაწყვიტა, გაყიდოს კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი. ვინ გახდება "პარმას" ახალი მფლობელი, ჯერჯერობით, უცნობია.

TV–სპორტი

## ხუთშაბათი. 18 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მორის ჩიკსი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. ფინალი. "NEW JERSEY NETS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-3 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. "კრუზეირო" (ბრაზილია) – "უნივერსიდად დე კონსეპსიონი" (ჩილე)
15:00 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ყუბანი" – "ტერეკი". პირველი მატჩი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ბავშვთა ლიგა. ისტორიები დიდებისთვის
17:25 "დარტყმა გოლისთვის"
17:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "არსენალი" – "სელტა". საპასუხო მატჩი
19:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:05 "FUTBOL MUNDIAL"
20:35 თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:00 ლიბერტადორესის თასი. "კრუზეირო" (ბრაზილია) – "უნივერსიდად დე კონსეპსიონი" (ჩილე)
22:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ – "ფეიენოორდი". შესვენებისას (23:35) – თავისუფალი დარტყმა
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:40 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: ბილ უოლტონი
04:30 NBA TV. დღიური

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 17:20, 19:30, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:40 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ). შესვენებისას (14:00) – პრესცენტრი
15:00 "ჰარმონიის ფორმულა"
15:20 "ათენის გზაზე"
16:20 "Power week - NHL-ის კვირა"
16:50 "კეგლის დროა"
17:35 ბრძოლა წესების გარეშე – "Ultimate Fighting Championships"
19:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
19:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა-უელსი (აშშ)
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "თოვლის სამყარო"
23:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:30 ფიგურული სრიალი. კატარინა ვიტის შოუ
00:30 როდეო. "Bull Riders"
01:15 ახალი ამბები
01:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
02:00 "თოვლის სამყარო"
02:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
03:00 03:00-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "PHILADELPHIA FLYERS" - "TORONTO MAPLE LEAFS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
11:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
13:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:30 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
14:15 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
19:30 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
20:15 ბიატლონი. გრან-პრი რუსეთში
21:00 სნუკერი. ევროპის ღია ჩემპიონატი
23:00 სუპერბოლები გამოსასვლელ დღეებში
00:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
01:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:45 ახალი ამბები
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
04:15 ახალი ამბები

# სახლი რენესანსულ ფლორენციაში

სახლები მაშინაც პატრონთა სიმდიდრის მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ყველაზე ღარიბი საცხოვრებლის დათვალიერება ყველაზე ადვილი იყო: ჩვეულებრივ ეს ქოხმახები ქალაქის კედელს იყო მიშენებული ან სამოქალაქო ომის შედეგად განადგურებული რომელიმე სასახლის ნანგრევებს. ქოხში ერთადერთი ოთახი იყო, ერთდროულად სასადილო, საძინებელი და სამზარეულო. ცენტრში განლაგებული იყო კერა, კვამლი კი ან კარიდან გამოდიოდა, ან ერთადერთი ფანჯრიდან. მცხოვრებლებს იატაკზე ეძინათ.

მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ვითარება გაცილებით უკეთესი იყო. ერთი ოთახის ნაცვლად უკვე ორი გვაქვს — ოთახი და სამზარეულო. სამზარეულოში ჭამენ და ისვენებენ, ანუ იმასვე აკეთებენ, რასაც ქართული სოფლის სახლებში ქვედა სართულზე. ოთახში კი მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისას შედიან და ის ისევე გამოუყენებელია, როგორც ქართულ სოფლებში ზედა სართულები, სადაც დგას "კარგი" ავეჯი, რომელსაც არავინ იყენებს. ფლორენციულ სამზარეულოში შუაცეცხლია, ჭურჭლის კარადა კი კედელშია ამოკვეთილი. ხის ფართო ფიცარი დღისით მაგიდაა, ღამით კი — საწოლი. ჰაერისა და სინათლისათვის ერთადერთი სარკმელია: იმხანად შუშები მხოლოდ განსაკუთრებულ მდიდრულ სასახლეებსა და საკათედრო ტაძრებში იყო ჩადგმული. ზამთრობით სარკმელს გაქონილ ქსოვილს აფარებდნენ ხოლმე შუაცეცხლის მწირი სითბოს შესანარჩუნებლად. ფანჯრის შუშების წინააღმდეგ კი ერთი საეკლესიო მქადაგებელი სასტიკი კრიტიკით გამოდიოდა: მქადაგებელს ეს დაუშვებელ ფუფუნებად მიაჩნდა და 1333 წლის კატასტროფულ წყალდიდობას ამ ფუფუნებისათვის საღვთო სასჯელად წარმოადგენდა.

აი მდიდრები კი მართლაც რომ სასახლეებში ცხოვრობდნენ. კედლები აქ შიშველი აღარ იყო, როგორც ღარიბ და საშუალო კლასის სახლებში: მათ ჯერ ზეთის საღებავით გამოყვანილი გეომეტრიული ან მცენარეული ორნამენტი ამკობდა, XIII-ის მომდევნო საუკუნეებში კი — აბრეშუმის ქსოვილები და გობელენებიც. გარედან აგურისა და ქვის კედლები უკვე მარმარილოთი იყო მოპირკეთებული.

მდიდრებს სასახლეებში უკვე ნამდვილი მისაღები დარბაზები აქვთ. მაგრამ იქ მხოლოდ დიდი წვეულებები იმართება, სტუმრებს უფრო ხშირად საკუთარ საძინებელში ღებულობენ. მაგალითად პაპი ბონიფაციუს VIII, რომელიც ფლორენციაში იმყოფებოდა ხანგრძლივი ვიზიტით, ზამთარში აუდიენციებს ისე მართავდა, რომ საწოლიდან არც დგებოდა ხოლმე. ამის გაგებაც ადვილია: მდიდართა სახლებშიც ისევე ციოდა, როგორც ღარიბულ ქოხმახებში, რადგან დიდი ხნის განმავლობაში გათბობა იტალიური სახლების ყველაზე სუსტი ადგილი იყო. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდნენ მდიდრები, რომ საჭირო იყო "გადამწყვეტი ზომები" შეუმინავი ფანჯრებიდან შემოსული სიცივის დასამარცხებლად. ასე შემოვიდა მოდაში ბუხრები და საკვამურები. ეს სიახლე საკმაოდ სწრაფად გავრცელდა საქმიანი ბურჟუაზიის წრეებშიც.

მდიდრულ სასახლეს ადრეულ პერიოდში ერთადერთი სადარბაზო აქვს. ალაყაფის კარს პირდაპირ შიდა ბაღში შეჰყავს სტუმარი. ამ ბაღის გარშემო აშენებულია მთელი სასახლე. ქვედა სართულზე ღვინის მარანი, ზეითუნის ზეთის შესანახი სათავსოები და სხვადასხვა საკუჭნაოებია განლაგებული. ქვის კიბით ზედა სართულზე ადიან, მას კეთილშობილი სართული ეწოდება და სწორედ აქ ბინადრობს სასახლის მფლობელი. კიბე თავდაპირველად გარეგანი იყო და მხოლოდ მოგვიანებით გადაინაცვლა თვით სასახლის შიგნით. აქ, ზედა სართულზეა განლაგებული მისაღები დარბაზი და საძინებლები. მისაღებ დარბაზს ფასადის მთელი სიგანე უჭირავს და მისი ფანჯრები მთავარ ქუჩაზე გამოდის.

მესამე სართულზე (ფლორენციაში, ჩვეულებრივ, ეს ყველაზე მაღალი სართულია თვით უმდიდრეს სასახლეებშიც კი) განლაგებულია მსახურთა საცხოვრებელი ოთახები. აქვეა ბეღელი, სადაც ხორბლის დიდი მარაგი ინახება. სასახლე გარშემორტყმულია საკმაოდ მაღალი ქვის გალავნით. გალავანს ზემოდან კბილანები აქვს მოშენებული. უნდა ითქვას, რომ მოსკოვის კრემლის კედელი სწორედ გვიანი შუა საუკუნეების იტალიურ ყაიდაზეა აგებული. უფრო მოგვიანებით, XV საუკუნეში, როცა სასახლე კარგავს ავტონომიური ციხესიმაგრის ფუნქციებს, მას ირგვლივ უკვე დახურულ ლოჯიებს შემოაყოლებენ ხოლმე.

თავდაპირველად, ხშირი სამოქალაქო ომების გამო, ფორტიფიკაციისთვის გამიზნული სასახლეები უხეშად დამუშავებული ქვისგან აიგებოდა. მაგრამ მოგვიანებით ქვის სიუხეშემ დეკორატიული, ესთეტიკური მნიშვნელობა შეიძინა და მაღალი რენესანსის ეპოქაში ჩნდება გამოშვერილი ან სხვაგვარად ხაზგასმული ფორმის ქვებისაგან აგებული გეომეტრიულად სრულყოფილი კედლები.

პირველ სასახლეთა კიდევ ორი დამახასიათებელი თვისება მიიღეს მემკვიდრეობით გვიანდელმა სასახლეებმა: პირველ სართულზე კედელში ჩატანებული რგოლები და ზედა სართული ფანჯრების კარნიზებში ჩამაგრებული კაუჭები. პირველებზე ცხენებსა და ჯორებს აბამდნენ ხოლმე, მეორეებზე — დამარცხებულ მტრებსა და ურჩ მონებს ჰკიდებდნენ. უფრო გვიან, როცა ხალხის ზნეობა შერბილდა, პირველთა ფუნქცია იგივე დარჩა, მეორენი კი მხოლოდ სასახლის ამშენებლის სიმდიდრესა და გავლენიანობაზე მეტყველებდნენ.



ფლორენციული სასახლის ტიპური ფასადი

# რესპუბლიკის დასასრული

გვიანი შუა საუკუნეების ფლორენციაში თანდათან რესპუბლიკური წყობა ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იმ დროს ამ იტალიური ქალაქ-სახელმწიფოს მმართველობა თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის მსგავსი იყო. მაგრამ ჯერ ის უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს იტალიური ქალაქი სახელმწიფო...

ქალაქები ევროპის ყველა მხარეში ძველთაგანვე არსებობდა. ზოგი რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილ გამაგრებულ ადგილებში აშენდა, ზოგიც თავიდან დაფუძნდა. მაგრამ იტალიური ქალაქები ერთი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩეოდა. მაგალითად, პარიზის იურისდიქცია მხოლოდ ქალაქის კედლის ფარგლებში მოქმედებდა, ალაყაფის კარიდან გასვლისთანავე ქალაქი მთავრდებოდა. ასევე იყო სხვაგან. მაგრამ იტალიაში ქალაქის მთავრობის ძალაუფლება ვრცელდებოდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რომელსაც **კონტადო** ეწოდებოდა. ქალაქი და კონტადო ქმნიდა ერთ მთლიანობას, სახელად **კომუნა**. ამ იტალიური სიტყვით აღინიშნებოდა ძველბერძნული პოლისის მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური წარმონაქმნი. კონტადო კვებავდა ქალაქს, ამ უკანასკნელის უწყვეტი ზრდა კი კონტადოსთვის ახალი მიწების მიერთებას ითხოვდა. თანდათანობით კომუნა ფეოდალურ სამთავროდ უნდა გადაქცეულიყო და ეს პროცესი, თუმცა ნელი, მაინც გარდაუვალი იყო. ამჯერად ამ შეუმჩნეველი ეკონომიკური პროცესის შედარებით უფრო ხილული და შესამჩნევი პოლიტიკური მხარე გვაინტერესებს.

თავდაპირველად ფლორენციის რესპუბლიკის ძირითად ინსტიტუციებს გავეცნოთ. XIII საუკუნიდან ქალაქი ოთხ ძირითად უბნად იყო დაყოფილი, ხოლო თითოეული უბანი — ასევე ოთხ **გონფალონიად**, ანუ "სადროშოდ". ყოველი ამ ერთეულის სათავეში იდგა **გონფალონიერი**, ანუ "მედროშე". პოლიტიკურ-ადმინისტრაციული იერარქიის მწვერვალზე აღმსრულებელი ძალაუფლების მაქსიმუმს სამი ორგანიზმი, ანუ სამი პირველი მაგისტრატურა ფლობდა. პირველი იყო **სინიორია**, რომელსაც ცხრა პრიორი შეადგენდა — ორ-ორი თითოეული უბნიდან და კიდევ ერთი, რომელსაც რიგ-რიგობით ირჩევდნენ. ეს უკანასკნელი ყველაზე უფროსი იყო და იუსტიციის გონფალონიერის წოდებას ატარებდა. მის დაქვემდებარებაში იყო ქალაქის შეიარაღებული ძალებიც.

სინიორიას ახლდა კიდევ ორი მაგისტრატურა. ერთი იყო თექვსმეტი გონფალონიერის საბჭო — ოთხ-ოთხი ყოველი გონფალონიიდან; მეორე კი თორმეტი კეთილი კაცის კოლეგიუმი, რომლისთვისაც ყოველი უბანი სამ-სამ კანდიდატურას გამოყოფდა ხოლმე.

სინიორიის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნეოდა მიღებულად, თუ მას ცხრა წევრიდან ექვსი ან მეტი დაუჭერდა მხარს. ამგვარი მდგომარეობა ან ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს განაპირობებდა ან ერთგვარ პოლიტიკურ უძრაობას იწვევდა. ეს უძრაობა განსაკუთრებით საშიში იყო შინაგანი დაძაბულობისა და გარეგანი საფრთხის შემთხვევაში. მაგრამ ფლორენციელი რესპუბლიკელების მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ ქალაქი ხანგრძლივი პერსონალური ძალაუფლების საშიშროებისაგან დაეცვათ. ამისთვის კი გათვალისწინებული იყო სამმართველო კადრების სწრაფი როტაცია: სინიორიის ცხრა წევრი თანამდებობებზე მხოლოდ ორი თვე რჩებოდა, თექვსმეტი გონფალონიერი — ოთხი თვე, თორმეტი კეთილი კაცი — სამი თვე. გამოდის, რომ ყოველი წლის განმავლობაში ასორმოცდაათი კაცი მაინც იყო მოწოდებული ადმინისტრაციული მოვალეობის შესასრულებლად.

მაგრამ სამი სახელმწიფო ინსტიტუციის გარდა სინიორიას დამორჩილებული კიდევ მრავალი დაწესებულება არსებობდა. მაგალითად, ექვსი ვაჭრის საბჭო (განაგებდა კომერციულ საქმიანობას), რვა მეურვის საბჭო (თავდაცვის სამინისტროს მსგავსი ორგანიზმი), ფინანსთა საბჭო, ხელოსანთა საკონსულტაციო საბჭო, პოდესტა, ანუ უზენაესი მოსამართლე (ჩვეულებრივ, ქალაქის მკვიდრი არ უნდა ყოფილიყო), სახალხო კაპიტანი, ანუ დღევანდელი ომბუდსმენის ეკვივალენტი. ყველა ეს ფუნქციონერი ასევე ძალიან დიდი სიხშირით იცვლებოდა. ყველა ამ დაწესებულებას ფილიალები ჰქონდა ფლორენციის ქალაქის გარეთ, მისდამი დამორჩილებული ტერიტორიის უმთავრეს ცენტრებში — პიზაში, არეცოში და სხვაგან.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ორი ასამბლეა წარმოადგენდა: სახალხო საბჭო და კომუნის საბჭო. აქაც ყოველი გადაწყვეტილების მიღებას ხმათა ორი მესამედი სჭირდებოდა და წევრთა არჩევნები ყოველ ოთხ თვეში იმართებოდა. ომიანობის პერიოდში შეიძლებოდა მოეწვიათ ხალხის საგანგებო კრება, ანუ **პარლამენტი**.



კოზიმო მედიჩი

როგორც ვხედავთ, ფლორენციის რესპუბლიკის სტრუქტურა უაღრესად რთული იყო და მოსახლეობის უმრავლესობისათვის სრულიად გაუგებარი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ განათლებულობის გავრცელების მაშინდელ დონეს. ეს სირთულე, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შესანარჩუნებლად, მაგრამ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი საარჩევნო წესები კიდევ უფრო რთული და მოსახლეობისთვის კიდევ უფრო გაუგებარი იყო.

საარჩევნო კანონები ფლორენციაში 1328 წელს შეიმუშავეს და მისი მცირე რეფორმა 1415 წელს ჩატარდა. ეს კანონი ორ ფაზას გულისხმობდა: კანდიდატების სიის დადგენასა და ამ კანდიდატებისთვის თანამდებობების განაწილებას წილისყრის გზით. კანდიდატების სიას ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ადგენდა საყოველთაო არჩევნები. ჯერ კანდიდატებს არჩევდა მთელი ქალაქი, შემდეგ კი ელექტორთა ანუ ამომრჩეველთა მცირე ნაწილი დასახელებულ კანდიდატთათვის ხმის მიცემით მათგან საჭირო რაოდენობას ირჩევდა.

ამის შემდეგ ყველა იმ კანდიდატის სახელი, რომლებმაც ხმათა ორი მესამედი მაინც მიიღეს, იწერებოდა ფურცლებზე, იყრებოდა ტომარაში და სათითაოდ ამოიღებოდა ხოლმე ტომრიდან. ამგვარად ნაწილდებოდა თანამდებობები არჩეულ კანდიდატებზე. ამ პროცედურას გაცილებით უფრო ხშირად ატარებდნენ, როგორც კი როტაციის კანონი კადრების გადანაწილებას მოითხოვდა. ასევე იმეორებდნენ წილისყრას მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ჩნდებოდა ვაკანსია.

ერთი შეხედვით, ეს ორსაფეხურიანი მეთოდი საკმაოდ მარტივი ჩანს: ხუთ წელიწადში ერთხელ ამოირჩევა მოქალაქეთა დიდი რაოდენობა, რომლისგან შემდეგ ხდება თანამდებობების განაწილება ყოველთვის, როცა ამის საჭიროება ან მოთხოვნა არსებობს. მაგრამ ამ პროცესის პრაქტიკული განხორციელება გაცილებით რთული იყო და ისტორიკოსებს ძალიან უჭირთ მასში გარკვევა. ხშირი როტაციის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფლორენციის მოსახლეობა, ძირითადად, მხოლოდ არჩევნებით იყო დაკავებული, არსებითი საკითხების გადასაწყვეტად კი არ ეცალა. გარდა ამისა, ყოველ კანდიდატს კიდევ მრავალი პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა: ასაკობრივი და ქონებრივი ცენზი, ერთსა და იმავე თანამდებობაზე ზედიზედ არჩევის შეუძლებლობა და სხვა. უნდა დაცულიყო კორპორაციათა დასაშვები კვოტები მათ მნიშვნელობისა და რანგის მიხედვით. ყველა ამ დეტალის რეალური მცოდნე მხოლოდ რამდენიმე კაცი თუ იყო. ერთი სიტყვით, ფლორენციული საარჩევნო სისტემის შესასწავლად დღეს მრავალი სქელტანიანი მეცნიერული ნაშრომი მოიძებნება.

თავისთავად ეს რთული სისტემა, როგორც უკვე ვთქვით, იმისკენ იყო მოწოდებული, რომ დაებრკოლებინა ფლორენციაში პერსონალური ძალაუფლების დამკვიდრება, სხვა სიტყვებით, დიქტატურა. მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ელექტორატი, ანუ საარჩევნო უფლების მქონე ადამიანების რიცხვი, მთელ მოსახლეობასთან შედარებით, საკმაოდ მცირე იყო. ფლორენციის პოპოლო, ანუ საშუალო ფენა, რომელშიც შედიოდნენ წვრილი ბურჟუები და ხელოსნები, საარჩევნო სიებში მინიმუმამდე იყო დაყვანილი სხვადასხვა ცბიერი პოლიტიკური ხრიკების საშუალებით. თვით კანდიდატებიც მრავალი სხვადასხვა პირობით "იფილტრებოდნენ" და საბოლოო ჯამში ფლორენციული დემოკრატია ერთი და იმავე სახეების განუწყვეტელი ციკლური ტრიალი იყო.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIII-XIV საუკუნის ფლორენცია ტიპურ ოლიგარქიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, სადაც მთავარ როლს უმსხვილესი მაგნატები და დიდგვაროვანი ოჯახები ასრულებდნენ.

და მიუხედავად ამდენი დაბრკოლებისა, ფლორენციის რესპუბლიკაში მაინც დამყარდა დიქტატურა. დიქტატორად კი ქალაქს ერთ-ერთი უმსხვილესი მაგნატი, **კოზიმო მედიჩი** მოევლინა. თუმცა, ქალაქი მრავალი წლის განმავლობაში არც ამჩნევდა ამას...

კოზიმო მედიჩიმ ერთი ნელი მაგრამ უტყუარი მეთოდი გამოიყენა. 1433 წელს ის ტრიუმფატორად შევიდა ქალაქში მას შემდეგ, რაც მეამბოხე **რინალდო დელი ალბიცი** დაამარცხა. ამ გამარჯვებით მოპოვებულმა ავტორიტეტმა ხელი შეუწყო 73 ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მეტოქის თავიდან მოშორებაში და მათ ადგილზე საკუთარი მხარდამჭერების დაყენებაში, მაგრამ საქმე არც ისე ადვილი იყო. ფლორენცია საუკუნეების განმავლობაში იყო მიჩვეული ძალაუფლების დანაწევრებას, მასში ჩამოყალიბდა დაახლოებით 2000 კაცისაგან შემდგარი მმართველი ფენა. ეს ადამიანები წლიდან წლამდე კენჭს იყრიდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე და მათი გაბნევა თუ უვნებელყოფა იოლი საქმე არ იყო — უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რესპუბლიკური წყობის დანგრევა ფლორენციელთა მოქალაქეობრივი ღირსების შეურაცხყოფა იქნებოდა. საკმარისი ძალებიც რომ ჰქონოდა, კოზიმო წინ ვერ აღუდგებოდა ქალაქს, რადგანაც მას ბატონობა ეწადა და არა საკუთარი საბატონო სივრცის განადგურება.

და ამიტომაც კოზიმო ფლორენციაზე ბატონობას, როგორც იტალიაში იტყვიან, საკუთარი დუქნის დახლიდან იწყებს. კოზიმო არასოდეს ჩნდება ღიად, მისი სახელი თითქმის არასოდეს ჟღერს სინიორიის სხდომაზე, მაგრამ თანდათანობით საკვანძო ადმინისტრაციულ თანამდებობებს მისი მომხრეები და მისგან დაფინანსებული პირები იკავებენ. თავიდანვე კოზიმო ყიდულობს "აკოპიატორებს", ანუ პირებს, რომელთაც საარჩევნო წილისყრის ჩატარება და კონტროლი ევალებათ. ასე ყალბდება არჩევნები და ამ გაყალბების აღმოჩენა ორი მიზეზით არ ხერხდება: ჯერ ერთი, არავის აზრადაც არ მოსდის, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, და მეორეც, "აკოპიატორების" გარდა რთულ საარჩევნო ტექნოლოგიაში ვერავინ ერკვევა.

სინიორიის ფუნქციონირება თანდათან კოზიმო მედიჩის ნებას ემორჩილება. ეს ნება კი არასოდეს ისმის აშკარად: მხოლოდ კოზიმოს სახლში მეგობრული ვახშმებისას, როცა მისი მომხრეები და ყურმოჭრილი ვასალები სრულიად ლეგალურად იკრიბებიან და არ ეშინიათ უცხო ყურისა და თვალის.

მაგრამ კოზიმოს წუთი მოსვენება არა აქვს: სულ ახალ და ახალ სტრატეგიებს იგონებს. მაგალითად, საარჩევნო კანდიდატთა სიაში სულ უფრო ხშირად ჩნდებიან დაბალი ფენის წარმომადგენლები. ეს ის ადამიანებია, რომლებიც კოზიმო მედიჩიმ ტალახიდან ამოათრია და რომლებიც ყველაფრისთვის მხოლოდ მისი მადლიერნი არიან. მეორე მხრივ, მედიჩიმ საინტერესო საგადასახადო პოლიტიკა მოიგონა, სინიორიაში დაამტკიცებინა და მისი წყალობით ადვილად აკოტრებდა ყველა მოწინააღმდეგეს. ასევე ბეჯითად და დაუღალავად მუშაობდნენ მედიჩის ფრთას ამოფარებული მსტოვრები.

როდესაც სიტუაციაზე კონტროლი ხელიდან ეცლებოდა, კოზიმო ყოველთვის ახერხებდა საერთო პარლამენტის რიგგარეშე ასამბლეის მოწვევას და კვლავ იბრუნებდა დაკარგულ ბერკეტებს.

1458 წელს მან ახალი მუდმივი ინსტიტუციის კანონიერ დაარსებასაც მიაღწია. ეს იყო ეგრეთ წოდებული "ასთა საბჭო", რომლის ასი წევრი ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა გამოცვლილიყო. ამგვარმა სამმართველო რეფორმამ კიდევ უფრო გაუგებარი გახადა ფლორენციის ადმინისტრაციული სტრუქტურა. კოზიმო მედიჩი კი მშვენივრად იჭერდა მის მიერვე ამღვრეულ წყალში მსხვილ-მსხვილ თევზებს.

რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა შორის დროდადრო არ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო რაიმე უთანხმოება ან სკანდალი. კოზიმო ამასაც მშვენივრად იყენებდა თავის სასარგებლოდ და წლების განმავლობაში პატიოსანი და მიუკერძოებელი მსაჯულის სახელიც გაითქვა. ოცდაათი წლის განმავლობაში, კაცი, რომელსაც ხელთ ეპყრა ყველა სახელისუფლებო ბერკეტი თუ გასაღები, არასოდეს გამოჩენილა აშკარად. ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ფლორენციის რესპუბლიკა მან "შენიღბული მონარქიად" გადააქცია.

როდესაც 1469 წელს კოზიმო გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეობა ვაჟს, **ლორენცო მედიჩის** ერგო, საგვარეულო ძალაუფლება ერთდროულად მყარიც იყო და მყიფეც. მყარი იმიტომ, რომ კოზიმოს არც ერთი ტრადიციული ინსტიტუტი ღიად არ დაუშლია და არ გაუუქმებია, ფლორენციელებს ჯერაც ეგონათ, თითქოს რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ. მყიფე კი იმიტომ, რომ მედიჩის გვარის მთელი სიძლიერე დამყარებული იყო ხელოვნურად შექმნილ არამდგრად წონასწორობაზე, რომლის მუდმივ შენარჩუნებასა და დაბალანსებას ეწეოდა მმართველი პარტია. ლორენცო მედიჩის მამისაგან მემკვიდრეობით სახელმწიფო კი არ მიუღია, როგორც ეს უფლისწულს შეეფერებოდა, არამედ პოლიტიკური მეთოდი.

ამ მეთოდს გამოიყენებს და დახვეწს ლორენცო მედიჩი ბრწყინვალედ წოდებული, რომ ხუთი წლის განმავლობაში ფლორენცია სახელმწიფოდ აქციოს. მართალია, ეს უკვე ნომინალურადაც აღარ იქნება რესპუბლიკა, მაგრამ ამ სახელმწიფოს ძლევამოსილება და სიდიადე თვით კოზიმო მედიჩისაც არ დაესიზმრებოდა.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*




ლორენცო მედიჩი, ბრწყინვალედ წოდებული

# ლამაზად გამოჭრილი ყელი

სკარიფიკაცია



მოგწონთ?

ანა კორძაია-სამადაშვილი

ერთი-ორი ნაიარევი ყველას აქვს. ზოგს – პაწაწინა ნაკაწრი, ზოგს – დიდი და ღრმა ჭრილობის კვალი. ნაიარევ ქალებს ამშვიდებენ ხოლმე, არ გემჩნევაო, ძლიერი სქესის წარმომადგენლები კი თვლიან, რომ ნაიარევი ჭეშმარიტ მამაკაცს ამშვენებს (მაგალითად, ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ დარჩენილი). მაგრამ საქართველოში არც ერთ ადამიანს არ ვიცნობ, ვისაც თავში აზრად მოუვიდოდა, ზურგი შეგნებულად "დაემშვენებინა", სახე ან სხეული დაესერა და ჭრილობაში ანთების გამომწვევი ნივთიერებები შეეზილა, რომ იქ სამუდამოდ დარჩენოდა მშვენიერი, ლამაზი ნაიარევი.

არადა, ასეთები უხვად არიან, და არა მარტო ეკვატრიალურ ზონაში. მართალია, სკარიფიკაციის მიმდევრები (სხეულის დაკუწვის მოყვარულები თავიანთ საქმეს ასე უწოდებენ, ლათინურად scarifico კაწვრას ნიშნავს) ამას მთლად მხეცურადაც არ აკეთებენ – მე სულ წარმომედგინა, რომ პირში პირსახოცს იტენიდნენ, რომ არ ეყვირათ, და სამზარეულოს დანით ილამაზებდნენ თავს. საბედნიეროდ, ალმოჩნდა, რომ ვცდებოდი.

იარებით დასამშვენებლად ადამიანები საგანგებო სალონებში დადიან, სადაც მხატვრულ ნაიარევებს პროფესიონალები აკეთებენ. ერთხელ ერთ ასეთ ოსტატთან მომიწია საუბარი, მისი სამუშაო ადგილის გვერდით, პატარა კაფეში. ის პირსინგს აკეთებდა, ანუ თავის კლიენტებს ყურებს, წარბებს, ენას, ცხვირს და რა ვიცი, რას აღარ უხვრეტდა, და ჭრილობების მიყენებაც იცოდა. არც სისხლიანი ხელები ჰქონდა და არც ნაიარევები, ჩვეულებრივი კაცი იყო.

მისგან მრავალი საინტერესო ამბავიც მოვისმინე. ოსტატმა მიამბო, რომ ერთმა მისმა კლიენტმა უჩვეულო სამკაული ისურვა – ყელზე ნაიარევი, ვითომ ოდესღაც მოკვლას გადარჩა. მაგას რაღა უნდა – ერთი სწორი ხაზი და მორჩა! ოსტატი იმასაც მოჰყვა, რომ ქალებს ტკივილის ბარიერი მამაკაცებზე ბევრად უფრო მაღალი აქვთ, და მაშინ, როცა დასასერად მოსულ მამაკაცთაგან ბევრი, სკალპელის დანახვისთანავე ფერს კარგავს და გარბის, მანდილოსნები სკარიფიკატორს მამაცურად შესცქერიან თვალებში. მეტსაც მოგახსენებთ: თურმე, საცოდავ ქალებს სხეულის გალამაზების ჟინი ისევე ძლიერად უვითარდებათ, როგორც, ვთქვათ, ალკოჰოლის მიღების მოთხოვნილება. და ისევე, როგორც ქალთა ალკოჰოლოზმი არ ექვემდებარება მკურნალობას, ერთხელ დასერილი ქალიც მანამ დადის სალონში, სანამ მთელ სხეულს არ "მოიპირკეთებს".

ისე, მამაკაცს ნაიარევი ნამდვილად უფრო უხდება – დიდ კუნთზე ოსტატებს უფრო ღრმა ჭრილობების მიყენება შეუძლიათ, და ამიტომ "ნაკეთობა" უფრო რელიეფურია. სწორედ ესაა სკარიფიკაციის დროს ძირითადი მიზანი, იარა გამობურცული უნდა იყოს, ხოლო თუ მაინცდამაინც ლამაზი ნახატი გსურთ, ამას სკარიფიკატორზე უკეთ სვირინგის ოსტატი მოგიხერხებთ.

არავინ იცის, როდის მოუვიდა ადამიანს აზრად, სხეული დაესერა და მერე ამით მოეწონებინა თავი. ცხადია, რომ ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ. მაშინ ამას მხოლოდ სამკაულად როდი განიხილავდნენ: სადღაც ჭაბუკს ნაიარევი სახე მამაკაცად აქცევდა, სადღაც ის სქესობრივი ცხოვრების დაწყების ნიშანი იყო. თურმე, შორს, აფრიკაში, ნუბას ტომის ქალწულებს მუცელს უსერავენ და ზედ ფერფლს აყრიან, რომ ნაიარევი უფრო რელიეფური იყოს. ქალიშვილს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია თავის საყვარელ მამაკაცთან (ცხადია, არანაკლებ დასერილთან ერთად) განმარტოება. ამ ტრადიციის შესახებ თავის დროზე ლენი რიფენშტალის "ნუბაში" წავიკითხე, არა იმიტომ, რომ სკარიფიკაცია მაინტერესებდა, არამედ იმიტომ, რომ ფოტოსურათები და მათზე გამოსახული ხალხი იყო არნახულად ლამაზი.

თურმე, ამ ხალხისთვის ნაიარევი მხოლოდ სამშვენისი როდია. ის ადამიანს ავადმყოფობისა და ბოროტი სულებისგანაც იცავს. გოგონებს მკერდქვეშ პირველ ჭრილობებს თორმეტი წლის ასაკში უკეთებენ, მეორედ - როცა გოგონა ქალი ხდება. პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ კი ითვლება, რომ ქალი ნებისმიერ ტკივილს აიტანს, და მას ორი დღის განმავლობაში "უმუშავებენ" სხეულს. ძალიან მტკივნეული პროცედურაა, მაგრამ სილამაზე, მოგეხსენებათ მსხვერპლს მოითხოვს, და გარდა ამისა, კაუს ტომის ასევე დასერილ და თვალსაჩინოდ ლამაზ მამაკაცებს ასეთი ქალები ძალიან მოსწონთ.

ნუ იტყვით, ველურები არიანო. ჩვენც ხომ ყველაფერს ვიხვრიტავთ, რაზეც ხელი მოგვიწვდება, სილიკონის მკერდს დავათრევთ, მოუხერხებელი ფეხსაცმლით დავკაკუნებთ და ყოველ ბეწვს ბარბაროსულად ვიგლეჯთ სხეულიდან – რა ჯობია, ერთხელ დიდი ტკივილის თუ მთელი ცხოვრება ეპილაციის ატანა?

# კაუს ტომის ნუბიელები



კაუს ტომის გოგონა

1975 წელს ლენი რიფენშტალმა ამ ტომთან ერთად თექვსმეტი კვირის განმავლობაში იცხოვრა, და შემდეგ ამ დროის შესახებ ჰყვებოდა: "ეს თითქმის გაუსაძლისი სირთულეებისა და დაძაბულობის ხანა იყო. ასე ღრმად რომ არ მქონდეს გამჯდარი უჩვეულოსა და სილამაზის დევნის წადილი, ეს სურათები არ იარსებებდა".

ანთროპოლოგები მათ სამხრეთ-აღმოსავლეთის ნუბიელებს უწოდებენ. მათ საკუთარი ენა აქვთ და საკუთარი ადათ-ჩვევები. ეს თავისუფლების მოყვარული და ვნებიანი ტომია. დედამიწაზე არც ერთ სხვა ერს არა აქვს ასეთი ნიღბები, ექსტრავაგანტული მოხატულობა, სასიყვარულო ჩხუბები და ცეკვები. კაუს ნუბიელები ბუნების შვილები არიან და ბუნებას არასოდეს ეწინააღმდეგებიან. მართლაც, მშვენიერ და უჩვეულო ხალხთან გვაქვს საქმე.

კაუს ტომის ქალები ყოველ დილით, ალიონზე, სხეულს იზეთავენ. ამას საკულტო დანიშნულება აქვს, და თან ქალები შიშობენ, რომ მათი ულამაზესი, შიშველი სხეულების შემყურე მზე შეიძლება შურით დაიწვას.

სამაგიეროდ, მათი მამაკაცები ნიღბებს იხატავენ. რაც უფრო ლამაზი ნიღაბი აქვს მამაკაცს, მით უფრო მოსწონთ ის ქალებს. ეს კაცები ძალღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ გოგოების ყურადღება მიიქციონ. კლდის ქიმზე შემოდგებიან ხოლმე, მშვილდივით მოზიდავენ სხეულს და გარეული ფრინველის მსგავსად იწყებენ ძახილს. ეს ნიშნავს, რომ ისინი მსურველებს საბრძოლველად ეპატიჟებიან. მეზობელი სოფელი აუცილებლად იღებს ამ გამოწვევას – კაუს ტომს ლაჩრები არა ჰყავს. მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად ან ერთიერთზე ჩხუბობენ. ისინი ძალიან მოხდენილად მოძრაობენ, თითქოს ცეკვავენო. ჯერ ჯოხებით იბრძვიან, რომლებიც მკლავზე ლითონის რკალით აქვთ დამაგრებული. ამ ჩხუბის დროს სისხლიც იღვრება, რადგან დანებება ნუბიელებს არ სჩვევიათ. მერე კი დოლების ხმა გაისმის: "ნიერტუნ!" – ბრძოლა დასრულებულია.

ამ ბრძოლების ძირითადი მიზანი ისაა, რომ გოგონებმა თავიანთი მამაკაცის არჩევა შეძლონ. ასეთ დროს მათ დედები ახლავთ თან. დედები სიმღერით აქეზებენ თავიანთ ქალიშვილებს, სულ უფრო ცეცხლოვან სიმღერებს მღერიან, და გოგონებიც თავდავიწყებით ცეკვავენ თავიანთი რჩეულების წინაშე. ისმის დოლების ბაგაბუგი, შეძახილები, და სიყვარულის და მარადისობის ცეკვა მთელი ღამე გრძელდება...

## სკანვორდი



## TV პროგრამა

18 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** "ტელელიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ვულკანი". მთ. რ-ში: ტომი ლი ჯონსი, ენ ჰეტჩი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "დორიან გრეი" **11.35** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.25** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **15.15** პარლამენტის არჩევნები **17.15** რამპა **17.20** სტუმრად ოდისეი დიმიტრიადთან **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** დოკ. ფილმი "ინტერპოლი" მე-2ს. **23.30** მხ. ფილმი "შერეკილები გამოცდებზე"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "მე ცეზარი ვარ". მთ.რ-ში ჟიულ სიტრაკი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სიკვდილის შემდეგ". მთ. რ-ში ჩარლი შინი, გერი ლიუნსი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ქურდის ბედი" (ჯეიმს მარშლი) **23.00** მხ. ფილმი "ვატერლოო" (როდ სტაიგერი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-4ს. **21.05** ენერგია **21.30** აფხაზეთის ტვ. **22.10** მხ. ფილმი "სირანო დე ბერჟერაკი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "წიწილა" **14.00** მხ. ფილმი "ძმები ბლუზები" **15.00** მხ. ფილმი "საუკუნის დანაშაული" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "პიტერ პენი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შერბურგული ქოლგები" **00.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "მატრიცა" **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ლუდის ბატონები" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზურგის ქარი" 1-ლი ს. **20.00** "ქართული ფეხბურთი" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ღამის მატარებელი **01.00** რუს. ფილმი "ჩვენ ჯაზიდან ვართ".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.45** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.40, 17.20, 02.05** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "ასი" **11.30** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** არტ-ბულვარი **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.00** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი)-"ლოკომოტივი" (თბილისი) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.50** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "მტვრის გემო" **21.30** საქმე ტ **22.45** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **23.40** მხ. ფილმი "უდაბნოს მთვარე" (ა.ჯოლი) **01.20** "ნბა"-ს ჟურნალი

### არხი

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **18.00** ტელე-სინე ვიდეო **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** თრილერი "რეკრუტი" **11.25** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** სათავგადასავლო ფილმი "განძეულობა" **13.50, 15.40** მუსიკა **14.10** დრამა "პონეტი" **16.29** მულტფილმი "მონსტრების კორპორაცია" **17.50, 21.40** მუსიკა **18.30** მხატვრული ფილმი "ლეგენდა გოლიათზე" **20.10** თრილერი "შიში იქსი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მიუზიკლი "ჰელოუ, დოლი!" **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.00** თრილერი "უძილობა"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 11.20, 20.00 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Сериал "Секретный фарватер", 3 с. 14.40** "Большой взрыв". "Властелины ядерных колец" **15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Фабрика звезд" **17.50** "Большая стирка" **19.25** "Дядя Боря - "Ералаш" **21.00 Детектив "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** Время **23.40** "Человек и закон" **00.50** Ударная сила. "Гонки по вертикали. ЯК-141" **01.20** "Гении и злодеи". Мата Хари **01.50** "Империя чужих", часть 3 **02.20 Комедия "Открытка с края бездны" 04.10 Худ.фильм "Рейд Ульзаны"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Тайны следствия 3 " 10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.25, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50, 23.00 Детектив "Пан или пропал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени 2. Оптический обман" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Детектив "Пассажир без багажа" 21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+ **00.20** "Исторические хроники"."1917. Керенский" **01.30 Худ.фильм "Гамлет" 04.15** Дорожный патруль **04.25** Агентство одиноких сердец **04.50 Сериал "Навеки Джулия"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Рокировка" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос: розовое - Лизе, зеленое - Полине **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Расследование" 15.10** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** Протокол **20.40 Сериал "Таксист". 12 с. 21.50 Сериал "Рокировка". 4 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!" Ток-шоу **00.40** Тайны разведки **01.15 Сериал "Таксист"**

# სენ-ლორანის პირველი პერსონალური გამოფენა



ლეგენდარული მოდელიორის, ივ სენ-ლორანის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა პარიზში, მისი სახელობის მოდის სახლის შტაბ-ბინაში გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია ის, რაც ოსტატმა მაღალი მოდისთვის შექმნა – შარვლები, ქურთუკები, საღამოს კაბები, რომლებმაც თანამედროვე მოდას ჩაუყარა საფუძველი.

თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ივ სენ-ლორანის მრავალი ნამუშევარი პიკასოსა და ბრაკის შემოქმედების შესწავლის შემდეგაა შექმნილი. გამოფენილ ექსპონატთა რაოდენობა სიმბოლურია – 42. თავისი სიცოცხლის სწორედ ამდენი წელი მიუძღვნა მან მაღალ მოდას.

ივ სენ-ლორანი ამჟამად მაროკოში ცხოვრობს და პარიზს იშვიათად ეწვევა ხოლმე. მან 2002 წელს, სკანდალით დატოვა მოდის სამყარო. ამჟამად მისი პირადი სახელოსნოს მუზეუმად გადაკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ის დიზაინერის სახელობის ფონდს ეკუთვნის.

# აღმოაჩინეს კონან დოილის ხელნაწერები

დიდ ბრიტანეთში ცნობილი მწერლის, შერლოკ ჰოლმსის შესახებ მოთხრობების ავტორის, არტურ კონან დოილის ხელნაწერები აღმოაჩინეს. ორმოცი წლის განმავლობაში ისინი დაკარგულად ითვლებოდა.

ამ ქაღალდებს შორისაა დედუქციის გენიალური ოსტატისადმი მიძღვნილი პირველი რომანის შავი პირიც. "ეტიუდი მეწამურ ფერებში" თავდაპირველად "ჩახლართული გორგალი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავტორს ეს სათაური საკუთარი ხელით გადაუხაზავს. ხელნაწერს კონან დოილის მიერ შესრულებული ჩანახატიც ახლავს, შერლოკ ჰოლმსის სახე. ექსპერტები ამბობენ, რომ მისი ფასი 150 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწევს.

ქაღალდები ერთი ლონდონური იურიდიული ფირმის ოფისშია აღმოჩენილი. "კრისტის" სააუქციონო სახლის ხელნაწერთა სპეციალისტის, ჯეინ ფლაუერის თქმით, ისინი პირველად 1949 წელს ჯონ დიქსონ კარის მიერ დაწერილ კონან დოილის ბიოგრაფიაშია მოხსენებული. კონან დოილის პირადი ნივთები 1930 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ მისი საწერი მაგიდიდან იყო ამოღებული. მაგრამ შემდგომ მასალა დაკარგული იყო.

14 მაისს ეს რარიტეტული კოლექცია, რომლის ფასიც ორ მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება, "კრისტიში" იქნება გამოფენილი. აუქციონის გამართვას ორგანიზატორები გამოფენის დახურვის შემდეგ აპირებენ.

კოლექციაში შესული ხელნაწერების უდიდესი ნაწილი არასოდეს გამოქვეყნებულა. ის 3 ათასი ეგზემპლარისგან შედგება. მათ შორისაა წერილები, ჩანახატები და ჩანაწერებიც. კორესპონდენციაში შემონახულია მწერლის და-ძმის, ასევე ვინსტონ ჩერჩილის, ოსკარ ვაილდის, ბერნარდ შოუსა და თეოდორ რუზველტის მიერ გაგზავნილი წერილები.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

*22, 29 მარტი*
*5, 12,19, 26 აპრილი*
"თავისუფალი თეატრი"

*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36  98-58-21*



მეუღლე ბიჭი ომიაძე, შვილები კოტე და გია, შვილიშვილები სალომე და ეკა, რძალი ბაია გოგოხია, ძმა ანრი ყრუაშვილი ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ნაი ილიას ასული ყრუაშვილი**

პანაშიდი 18-19 მარტი, 17.00 სთ-ზე

დაკრძალვა 20 მარტი, 15.00-ზე.
მისამართი: კანდელაკის ქ.4




**ბრიტანული სამედიცინო - ფარმაცევტული კომპანია "გლაქსოსმიტკლაინის" წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე ქ. თბილისში.**

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (ძველი საბჭოური სტილის);
- ავტობიოგრაფია ინგლისურ ენაზე (ე.წ. CIVI);
- უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი 3X4;

საბუთების მიღება წარმოებს 2004 წლის 26 მარტის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:
**ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 54**
**ტელ: 25-08-14; 25-24-92**













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.